

ლიტერატურული გაზეთი

№113 17 - 30 იანვარი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

პაატა შამუგია


წვრთნა

ფრაგმენტი მომავალი პოემიდან „კორპორატიული პლატონი“

შენ როცა გისმენ,
 თავში იდეების ტყე მიშრიალებს,
 სიბნელიდან ყვავები მოფრენენ
 და ტოტებზე თავს ითავავენ.
 ყვავიან ყვავები...
 ჩემი სიტყვები აყვავდნენ და დაიბუდეს
 უცხო ხალხის ყურებში.
 საოჯახო ჭურჭელივით უბრალოა ჩემი სიტყვები,
 ჩემი სიტყვები უბრალოა, როგორც ჭურჭელი
 საოჯახო. შესაკრებთა გადანაცვლებით
 ვსიმულირებ განწყობის შეცვლას.
 ასე ვებრძვი მონყენილობას, დეპრესიას,
 მარტოყოფნას.

მე გიშვებ სახლში,
 აი, შეხედე —
 ეს კოცონია,
 მასზე შეიძლება ადამიანის შენვა, მოხარშვა,
 როგორც ნაწილ-ნაწილ, ისე მთლიანად,
 ადამიანი ხომ ისაა, რასაც ის ჭამს,
 ვიყოთ ადამიანები —
 შევჭამოთ ჩვენი მოყვასის ხორცი,
 ლბილ სასაზე მივიდნოთ და გადავყლაპოთ.
 მე სახლი არ მაქვს — ეს ჩემი სახლია:
 „მადონას“ სერვისი და რაფაელის „მადონა“
 ერთ ჭერქვეშ
 გამოხატავენ იდეების სწორხაზოვან სვლას —
 როგორც „თუნუქის დოღში“,
 სადაც ჰიტლერის და ბეთჰოვენის სურათები
 ერთმანეთს დაბოლმილები შეჰყურებენ
 როგორც მე და შენ —
 როცა ერთმანეთის წარმოსახვის
 გლუვ ზედაპირზე ფეხს ვერ ვიკიდებთ
 და ასე უსინდისოდ ვიტყუებით,
 რომ პოეზია მარტოობაში ვარჯიშია
 და ეს კარგია.
 ეს ცუდია, უნდა შევთანხმდეთ,
 და შეგვიძლია ამაშიც ღმერთს დავდოთ ბრალი.
 მაგრამ ის გამოცდილი დემაგოგია
 და ყოველთვის ექნება ალიბი,
 რომ ჩვენი შექმნისას არ არსებობდა.
 ეს სიმღერაა, ხეებიდან დაძრული,
 კვირტების ენა,

ეს ტკივილია, ეს სიხარული.
 ეს ქართველი ჟურნალისტიკა,
 თუმცა გულის სიღრმეში — მწერალი.
 ეს სარეკლამო პაუზაა — 25 60 60...
 ეს სარკეა,
 მე იქ არასდროს ვიხედები.



ლია სტურუა

შიშის დაქლავა

იმდენი რამის მეშინია,
 ერთმანეთზე რომ მიანყო
 და გაასაგნო, ერთი ოთახი დაჭირდება,
 ამხელა ზამთარს ვერ ჩავატევ,
 გარეთ გავიტან,
 ქუჩა ყინულს შემოიფცქვინის
 და ყალყზე დადგება — სეზონის აგრესია...
 ვილაცას უნდა დაერეკა და არ რეკავს,
 ვინც უნდა მოსულიყო, აღარ მოდის,
 ღამის მწერები ოთახის ჰაერს აშრიალებენ,
 სინათლის წყაროებს
 შუშის სიფრთხილით დაატარებენ,
 ვისთანაც უნდა მივსულიყავი,
 აგრესიული ქუჩის თანხლებით,
 ხეების ანტიდოტით ამის წინააღმდეგ,
 აღარც მე მელოდება, აღარც სასწრაფოს,
 კვდება...
 კიდევ ერთი გაუქმებული ტელეფონი,
 ერთი შავი დროშა ტვინში,
 აზროვნების პროცესს რომ
 ნითელი ლაქით აღნიშნავს,
 წარმოსახვას — ლურჯით,
 ფსიქოლოგიის კათედრა ეპარება ცხრილებში,
 სფეროების მუსიკა ხმაში
 როგორ წარმომიდგენია ამ მუსიკის შეშუპება,
 რით ვპასუხობ ამდენი წელი?!
 შიშით,
 რომელიც თვითონ გავასაგნე
 და თავი ჩავიკეტე?
 შიში გადამდებია
 ავიღებ ამ ვირუსს, დეკადანსის მაღალ პოზას,
 ნორმალურობის მცდელობას,
 ერთმანეთში ავრეგე,
 დღეში სამჯერ მივიღებ, წყალს დავაყოლებ
 და შენთან მოვალ...

ბიბლიოთეკა აქვია

ხატავ, წერ, მაღალ ბგერაზე დგახარ,
 მაინც, ერთი ნაბიჯით ჩამორჩები
 ჭეშმარიტებას
 წეროებს უცნაური ბავშვები მოყავთ:
 ცოცხალი ტანის კანონებით კი არ ცხოვრობენ
 პეპელას სადაც უნდა ფრენით,
 ერთჯერადობით...
 ტონა წიგნს როდისღა ჩააყლაპებ?
 ამ გადახარული მასალიდან რა გამოვა?
 ერთი შორისდებული „ო“
 ეკლესიის ყელივით მაღალი?
 საიდან ეს უნივერსალი?
 ქლოროფილის მარცვლები უყრიათ ტანში,
 თუ შენი გენები?
 ფეთქებადი ხასიათი უნდა ჰქონოდათ
 და შენთან მოსულიყვენ,
 ისეთი გადამდები ალისფერით,
 რომ მიწას ყელზე დასდგომოდი,
 იქაც ვერ მოგესვენა
 ვის უთქვამს უარი კაშკაშზე?
 ტვინში რომ საზღვარი წაიშალა?
 ოთახი, საფლავი, კუბო —
 მთელი ეს მოძალადე გეომეტრია
 მოკავშირედ გაიხადო!
 ვისი შვილი ხარ, ვისი დედა?
 რა ნაღმებს ითხოვს
 ანემიური ბავშვების ტემპერამენტი?
 წეროებიანი პეიზაჟი?
 ყველა კარგად მოძებნილ სიტყვაზე
 რომ აფეთქდე,
 ყველა შეკითხვას წიგნში შეასწრო?
 აქვე არ ცხოვრობ, ბიბლიოთეკასთან
 და სულ ერთი ნაბიჯით
 ჩამორჩები ჭეშმარიტებას.

VII

თეონა დოლენჯაშვილი

რეალური არსებები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

TEA MORALITIES

ნია ჯინსს და მაისურს იხდის და საძინებლის დიდი
 სარკის წინ დგება. საკუთარ შიშველ სხეულს
 უყურებს. ნია ვნებებისგან დაღლილია და სხეულსაც,
 როგორც ძვირფას კაბას ან ტელეფონს, ისე ათვა-
 ლიერებს. აკვირდება, სადმე რამე ნუნი ხომ არ აქვს,
 რამე ხომ არ დაუზიანდა, ამოეკანრა, რომ უმალ
 გამოცვალოს და გააახლოს. სხეული მისი განძია,
 ქონებაა, რომელსაც უნდა გაუფრთხილდეს, კარგად
 შეფუთოს და საზოგადოებაში გამოსაფენად
 გაიტანოს. გასაყიდად აღარ! მადლობა ღმერთს, ეს
 უკვე აღარ სჭირდება.

ამჯერადაც გამოსაფენად აპირებს წასვლას დიდი
 ბრიტანეთის საელჩოში. 5 საათის ჩაიზე. ნიას უყვარს
 ისეთი ადგილები, სადაც შესვლა მხოლოდ საშვები-
 თაა. სადაც ელჩი და მისი ვერცხლისფერთმიანი
 მეუღლე მიესალმებიან და საკუთარი ხელით
 მოდულდებულ ჩაის მიათმევენ. სარკეში არეკლილ
 საათს უყურებს, რომელიც დროს უკუღმა აჩვენებს.
 ჯერ ოთხია. ხუთამდე კი ნია მოასწრებს ისე შეიფუ-
 თოს, რომ ზუსტად დაიცვას ვიქტორიანული მორა-
 ლი. ეგრეთ ნოდებული Tea Moralities. არჩევს პიჯაკს,
 ტანზე შემოკრულ ქვედაბოლოს, თხელ წინდებს
 ნაზი, შავი მაქმანით...

საელჩოს შესასვლელში ტრადიციულ შემონმებას
 გადის, გულზე იმაგრებს ბაჯს წარწერით — „სტუ-
 მარი“ და ლონდონური სულით გაჟღერებულ თბილი-
 სურ დარბაზებს მიუყვება. მისაღებ ოთახში შესული
 ხედავს საპატიო სტუმრებს, საელჩოს თანამშრომ-

ლებს, კომპანიის მმართველებს, რამდენიმე
 ლამაზმან პიარ-მენეჯერს. ჩაის სმის რიტუალი იწყე-
 ბა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამყარო-
 ში მთავარი რიტუალებია, წესები, ფორმები. ეს მწყ-
 ობრი, დალაგებული სისტემა, გათვლილი დრო. ნუთე-
 ბი, როდესაც ჩაი საჭირო გემოს და ფერს მოგვცემს...
 ლამაზ ჭიქებში კოვზების რანკა-რუნკი, სითხის ნება-
 ნება სმა, შეგრძნება, რომ ყველაფერი კარგადაა,
 ძალიან კარგად და სწორად.

მაგიდასთან ჯდება, ახალგაზრდა ბრიტანელის
 გვერდით. უფრო მოწყენილობის გამო აკვირდება.
 ერთი შეხედვით, თითქოს, ისეთი არაფერი აქვს, რაც
 მის თავს მოაწონებს. ნიას უფრო შავგვრემანი,
 სამხრეთული გარეგნობის მამაკაცები მოსწონს.
 ციცხლი, რომელსაც სწრაფად შეუძლია ანთება. შესა-
 ძლოა, ასევე სწრაფად ჩაქრობა, მაგრამ მთავარია,
 ციცხლი. თუმცა ცოცხალი ბრიტანელის მშვიდი,
 ცივი გარეგნობა სიამოვნებს. კარგად აწყობილია. აქვს
 განიერი მხრები, ღია ფერის თმა, შუაზე გაყოფილი
 ნიკაპი.

ირკვევა, რომ წარმატებული ლონდონელი ბიზნეს-
 მენია. ჯორჯი ჰქვია. ქართულად რომ ვთარგმნოთ,
 ამ ქვეყანაში ყველაზე გავრცელებული და
 საკრალური სახელი — ერთდროულად წმინდანის და
 მინათმოქმედის. გველუშაპთმუსერელი წმინდანის
 და უბრალო მინათმოქმედის. შესაძლოა, ესეც რამეს
 ნიშნავს. მთავარი სახელებია, რიტუალები, ნიშნები...

VIII-X



ნანა ქელეხიძე

სიტყვა

ჩაჭედებული ლურსმნებია შენი სიტყვა,
ცარიელი ხელებით რომ უნდა აძრო ფიცრიდან.
ჩასისხლიანებული თითებით რომ უნდა აძრო
ფიცრიდან გულის
უხეში, გაურანდავი.

მერე ამ ფიცრით,
მოღრუბლულ დღეს ცეცხლს თუ დაანთებ,
თან მიეფიცხო,
თან ცას უყურო —
იქნებ მოასწრო, იქნებ გათბე,
სანამ იწვიმებს.

ტკივილზე ისე როგორ უნდა წერო —
არც მოსაწყენი იყო,
არც სასაცილო.

— რა ბოროტი ვარ. რა მგელი ვარ.
ყველა წავიდა,
მე კი ისევ ცოცხალი ვარ, ალაგს დამრჩალი, —
მეუბნება მეზობელი მოხუცი ქალი.
ვგრძნობ, როგორ იხლენს ყელიდან სიტყვებს
და არ ვიცი, რით ვანუგეშო.

ისე ძნელია, იჯდე მთელი დღე,
ელოდებოდე! ელოდებოდე!
სიკვდილს! სიკვდილს! სიკვდილს!
ან სიყვარულს!

მგელივით მიზიხარ გულში.
ვერაფრით გიგლეჯ.
შიგნიდან თუ ამომჭამ შენს თავს.

სიკვდილივითაა ყელში ამოჩრილი ტკივილი.



თეთრი კედელი

აღმოსავლურია ჩემი სიყვარული —
ბათქაშზე მუქად გახაზული ტუჩები.
დუმს.
ყველა სიტყვას კედლის შიგნით იბრუნებს.
ახლა ყველაფერი სხვაგვარად არის,
ამ უსიტყვო მორჩილებას კი ვერაფრით გადავეჩვიე.
სულ მინდა დავამშვიდო, რომ მეტი საშინელება,
ვიდრე ეს კედელია,

აღარ მოხდება.
სულ მინდა ვუთხრა, რომ
ამის იქით დაბრუნება აღარ არსებობს.
ის კი მაინც ზურგით დგება და მიშვებს.
ეს ისეა, როგორც —
კარი შეხსნა და ტრიალ მინდორზე აღმოჩნდე.
ეს ისეა, როგორც —
გზები დაბრუნდნენ და შენ ვერსად გიპოვონ.
მე ვისწავლე ჩუმად ყოფნა.
მის მორჩილებას კი მაინც ვერაფრით გადავეჩვიე —
მივდივარ ხოლმე კედელთან და
ტუჩის კუთხესთან ყვითელ ზაფრანებს ვახატავ.

შპე

როცა შენ მოხვალ, როცა არავინ იქნება და
როცა შენ მოხვალ
და მე ყოველთვის გამახსენდება ზამთარი და
ქარი და თოვლი,
შენი ტუჩები და გაყინული შენი თითები გამახსენდება,
როცა მოხვალ და მე არაფერს გეტყვი და ღამე
იქნება თეთრი. თეთრი სუნი ექნება თმასაც.

როცა შენ მოხვალ, როცა მე აღარ ვიქნები და
როცა შენ მოხვალ
და კიდევ ერთხელ გაგახსენდება ზამთარი და
თოვლი და ქარი
და კართან მდგომი მოლოდინი, სიცივე და ჩემი თითები
გაგახსენდება და არავინ გაგიღებს კარს და...
ნეტავ როგორი თვალები აქვთ უმწეო კაცებს?

როცა არავინ არ მოვა და აღარავინ არ მოვა მეტად
და არც არავის არ დახვდება არავინ და აღარც არავის
ემახსოვრება თეთრი თოვლი და
არც ეს ჩვენი ღამეები ემახსოვრება —
ბოლოჯერ მომკლავს სინანული და
ბოლოჯერ მომიღებს ბოლოს,
რომ არასოდეს არ გითხარი, როგორ მიყვარდი.

სე

რაც უფრო ახლოს ვეცნობი ცხოვრებას,
მით უფრო ეჭვი მეპარება სახელებში,
ისტორიის ფურცლებმა რომ შემოგვინახა.

ის ხე უფრო მაინტერესებს,
ამ წიგნისთვის ძირში რომ მოჭრეს —
რა ერქვა,
ან რა ფერის ქონდა მერქანი...

რატომ მგონია,
ცულით ხელში როცა მიადგნენ,
მის სიღრმეში, —
როგორც ტუჩებზე —
დამცინავი ღიმილი გაკრთა?

მზავარი

„ძალე იყოს თქვენი მკვდრისადა!“

თითქოს და, სულში ათასი ძალი ჩაგაკლეს,
შენ მაინც, (მკვდარიც კი!), არცერთი თემის არ იყავი.
რიჟრაჟი შეპარვით ეხვევა ტანმალალ აკლდამებს
და რკინის მამალმა — პირველმა საყვირმაც იყივლა.
ქალაქი ზმორებით, გულდაგულ იმშრალეებს ჭრელ სახეს,
უფორმო სხეული მიუგავს ნაზამთრალ არყის ხეს.
შენ ნეფხარ მინაზე, მთის ძირში, გულს იჭერ ხელებით
და გული ხელებში გიფეთქავს დამფრთხალი ბარტყივით.
სადღაც კი, ქუჩებში, ხორხიდან სისხლი სდის აკლდამებს
და როგორც სვავები, დღეები ნასუფრალს კორტინან,
ამოგდის ყელიდან ათასი ჩაკლული ძალი და
თაკარა მზის პირზე დგებიან გახრწნილი მკვდრებივით.

ყველაზე უმწეო როცა ვარ,
მაშინ უნდა ვენდობოდე ადამიანს.
ვერავინ ვნახე
ზურგით მივეყრდნო და თვალმდახუჭული დავრჩე.
სულ ამოვარდნაზე მაქვს გული,
თითქოს გავრბივარ და უკან ტყეები მომსდევენ.

სისულელეა,
როცა გესმის რაზეც წერ.
სისულელეა
სასტუმრო ოთახივით მონესრიგებული ლექსები.
ისე უნდა გეძინოს,
პირქვე იწვე და მინას ჩაჰყურებდე.
ზოგთან მხოლოდ სიკვდილი მოვა და
ცისკენ აახედებს.

ისინი

ვინ არიან ისინი,
ჩვენი ოჯახის სამუდამო წევრები —
მიტოვებული ქალები,
დავინყვებული სიყვარულები,
რომ იციან ჩვენი სახლის ყველა კუნჭული,
ფუძე და ჭერი,
ღობე და ყორე...
სხედან ხოლმე,
ფეხი ფეხზე გადადებული,
გაუთლელ ვაშლს მხიარულად ახრამუნებენ
და გამჭოლ მზერით,
უხილავი სიღრმეებიდან,
ჩვენს თბილ, ოჯახურ იდილიებს,
დამცინავად აკვირდებიან.

ნასპლა

განა რა უნდა მომხდარიყო —

ხეები მოკვდნენ, მოკვდნენ ხეები, ხეები მოკვდნენ. ხეები წელში გადატყდნენ და დახარეს თავი. ტოტები ახლა ქარისაგან გაფანტულ ფოთლებს გაჰყურებენ და ყველაფერი ელვარებს შავად.

შავად ელვარებს ყველა ჩრდილი დამრეცილ გზაზე, მინა ბელტებად ამოიმტვრევს გადაღლილ სხეულს, როგორც ომის დროს დატოვებულ ერთადერთ მძევალს, მომკლავენ უცებ და დამრჩება თვალები ღიად.

განა ვინ უნდა ნასულიყო —

ამაზე მეტი, მეტი სხვაზე და შენზე მეტი, განა რა უნდა მომხდარიყო — არც წვიმა ცრიდა... ხეები მოკვდნენ და მოხარეს გამხდარი მხრები და მზე კუპრივით ჩაიღვარა მენამულ ცაზე.

რაში მჭირდებით ისინი, ვინც, როცა მჭირდება გვერდით იყოთ, გვერდით არა ხართ?

ჩემი ყველაზე ერთგული სიკვდილი, ჩემი ყველაზე ვნებიანი შეყვარებული, მოვა ერთხელ და ცხელ ხელებს წელზე შემომხვევს.

როგორ მრცხვენია, რომ ვლალატობდი შენთან, ჩემო ტკბილო, სიცოცხლე, როგორ მრცხვენია, რომ ვლალატობდი... მე ხომ ვიცოდი, ერთადერთი, ვისაც ვჭირდები — სიკვდილია, სიკვდილამდე ვინც მელოდება.

გვანცა ჯობავა

აქსიოს!

ჩვენ ვთქვით „აქსიოს“ და რამდენგზის დავადასტურეთ, დავიჯერეთ ჩვენი სიმართლის. იმათიც, ვინც გზად „გაგვიპრავა“, დავიდასტურა, მარტივად თვალი აიხვია შავი მანდილით და არ ინალღლა, არც იფიქრა, არც თავი დადო, და მით უფრო, არც ჩვენ მოგვანდო. უბრალოდ გვითხრა „აქსიოს“, და გზა განაგრძო.

„აქსიოს!“ რადგან ჩვენი სიყვარული მრავლობითია, ერთგულეობა ფეხზე გვკიდა, ფეხზე გვკიდა ამაზე დარდიც! „აქსიოს!“ რადგან ცხოვრებაა უნდობიც და დაუნდობელიც,

მხოლოდ ეს გვბოჭავს, ნებას არ გვრთავს სხვები დავინდოთ! „აქსიოს!“ რადგან თუ არ მოვკლავთ, ვერ მივხვდებით, ვერ შევიცნობთ, ვერ გავიაზრებთ, რომ, როცა ვკლავდით, ბოროტებამ დავიმორჩილა, და რომ მოვკალით, მაშინ მივხვდით, სულაც არ გვსურდა, ასე მწარედ გავსწორებოდით.

„აქსიოს!“ რადგან ჩვენ ბავშვებმა ზურგი გვაქციეს, თქვეს, რომ არ სურდათ დაბადება ამ ქვეყანაზე, მით უფრო ჩვენი გამრავლება არად მიაჩნდათ, რადგან პირველად ჩვენ გადავდგით ნაბიჯი უკან, ზურგი ვაქციეთ, არ დავბადეთ, და სიცოცხლის ნება არ დავრთეთ.

„აქსიოს!“ რადგან სულ უბრალოდ მეფობა გვინდა ამა ქვეყნის და თუ ვინებეთ, იმ ქვეყნისაც გავხდებით უმაღლესი.

და ამ ნოდების მისაღებად რა არ შევითხინეთ, გამოვძიერეთ და დავიჯერეთ ბოლოს თავადვე. დავიმსახურეთ სხვებმაც ირწმუნონ, არც რამე გვკითხონ, გამოიძიონ, მარტივად გვსურს, რომ თავი დაგვიკრან. „აქსიოს!“ რადგან ამ ცხოვრებამ გულში ჩაგვიკრა, გაგვამდიდრა, გაგვათამამა, და არც ის უთქვამს, რომ ჯიბეზე ხელი გავიკრათ, ეს მას არასდროს წამოსცდენია. სწორედ ამიტომ ყოველ ღამე მშვიდად ვიძინებთ. თუმცა ხშირად მდიდარ ნაცნობებზე ფიქრი გვაძიმებს და ვშფოთავთ კიდევ.

„აქსიოს!“ რადგან ჩვენი რწმენით სხვებს თავს ვამეტებთ, თავი მოგვაქვს, რომ ბევრი ვისწავლეთ და ახლა სხვებზე ბატონობის უამრად დამდგარა. დამდგარა უამრად დაიჩოქონ არა ღმერთის, კაცის წინაშე და თქვან: „აქსიოს!“

რომ მერე გულში კიდევ დავცინოთ. „აქსიოს!“ რადგან ეს ქვეყანა ფეხზე გვკიდა, ფეხზე გვკიდა მისი წარსული, ახლანდელი და მომავალს ხომ, მითუმეტეს რაღას დავეძებთ. ფეხზე გვკიდა ხალხი, რადგან ამ ხალხმა შეგვქმნა, და ამიტომაც ყველაფერი დაიმსახურა, ყველა ცრემლი, ყველა ტკივილი, დაიმსახურა შიმშილიც და უსახლკარობაც, ან საკუთარი სახლებიდან გამოყრაც კი დაიმსახურა.

და ამ ქვეყანამ, მინა-წყალმა, რომელმაც გვითხრა, დასახლდით და მიბატონეთო, მანაც ყოველი დაიმსახურა, სულ გოჯა-გოჯა გაყიდვა და განიავება, თუ გვინდა, წყალი წალეკავს და თუ გვინდა, ჩვენი სიძულვილი ბოლოს მოუღებს. მაინც გვჯერა, რომ ყველაფერი დაიმსახურა.

და ამიტომაც, როცა ერთ დღეს, უფალმა ბრძანა: „მინა ხარ და მინად იქცევი!“ ვერავინ ვერ შეეკამათა, ვერ იმართლა თავი უტიფრად, ვერც სხვა დაიცვა, და მორჩილად დაუდასტურა: დაე, მინამ მინად გვაქციოს! „აქსიოს!“ „აქსიოს!“ „აქსიოს!“

„ჩვენი ეზო“

ჩვენს დიდ ეზოში დედამინა ხან უკან მიდის, ჩვენს დიდ ეზოში ემიგრანტებს ზრდიან დედები, აქ საამშობლოსთვის გულში მჯილებს იცემენ მუდამ, და სიყვარული გვრჩება კვლავაც შეუმეცნებო.

ჩვენ ჩვენს სახლებში რწმენას გვხდიან და გვაშიშვლებენ, ნაფოტებივით სცვივა ზეცას ხმელი ღრუბლები, და გამომშრალი ასფალტიდან ავარდნილ მტვერში, ამინდის პროგნოზს რუპორებით ხშირად ვუძღვებით.

ჩვენს დიდ ეზოში გვენატრება სხვისი ჯორჯია, სხვისი იუ ეს ეი, იუ ქეი და დემოკრატია, და დაკარგული არჩევანის დასაბრუნებლად თმას ვიღებავთ და სულ უბრალო ემოდ გვაცვია.

ჩვენს დიდ ეზოში გუშინ თქვეს, რომ ბედმა დაგვცადა, თქვენს დიდ ეზოშიც ალბათ ბევრჯერ უთქვიათ ასე, და დღეს კუთხეში ატუზული მოსწავლეები, თავჩაქინდრულნი შესანდობარ ბარათებს ვავსებთ.



მე როგორც ფრთებშემოკვეცილი თეთრი ტუსალი, ვიქნე ფრთებს, მაგრამ ფრთები უკვე არ გამაჩნია, თუმცა არასოდეს ამ ქვეყნის რომ აღარ ვინამო, სიყვარულისთვის დევნილები არ დამაცდია.

„ნეტარ არიან“ შვილები

ღმერთო, რა ხანია ველარ ვიხსენებ, როდის გახდი მამაჩემი, რატომ გახდი მამაჩემი, მე გთხოვე თუ შენით ისურვე?! და მას მერე, რაც ჩემი მეგობრების მამებმა, ჩემი ახლობლების მამებმა, მამაჩემმა, თქვეს, რომ შვილებმა უკვე დროა აღარ იტირონ მათ იმედად — რადგან „ნეტარ არიან“ შვილები, რომელთაც ანუგეშებენ, და აღარ ანუგეშებს — ჩემმა სევდიანმა მეგობრებმა, ჩემმა სევდიანმა ახლობლებმა, მე, გადავწყვიტეთ, ჩუმი ვიტიროთ, რადგან „ნეტარ არიან“ შვილები, რომლებიც აღარ ტირიან სხვების იმედად, თუმცა კი ხშირად ფიქრობენ ასე: ნეტავ ღმერთია მამაჩემი, რომელიც ზოგჯერ დავკარგო ლამის, თუ მამაჩემია სწორედ ის ღმერთი, რომელიც იყო, რომელიც არის?!

CLOSED

მე ვერ ვწერ შენზე... მერამდენედ დავიწყე უკვე და მერამდენედ ყალბი გამომდის. მე ვერ ვწერ შენზე, ისე როგორც მტკივა გული, ისე როგორც შენს თავს განვიცდი. მოდი, არ დაწერ... მოდი, არ გეტყვი... მოდი, ამ ლექსმა მაპატიოს ჩემი სიჩუმე, მოდი, მოდი...

კადრი (ქალწულის კოშკი)

ჩემი სიყვარული უსაგნოა. არც უმნიკვლოა ჩემი სიყვარული, არც ერთადერთი. ასეთს, „ერთადერთს“, ვერ შეხვდები ვერც ერთ განედზე, მკაცრად ვინამე, და უკვე არ მსურს, რომ უკანსვლით დავბრუნდე უკან, რითაც დავიწყე. მზე მაინც ჩავა, დღესაც ჩავა, ხვალაც, მაზგაგაც. და პასუხად გეტყვის მარტივად, რომ ასეთად ის ღმერთმა შექმნა, თუ ალაჰმა, თუ ბუდამ და ან და კიდევ ვინ მოთვლის მხსნელად რამდენ ვინმეს მოიშველიებს, გააჩნია, რომელი მხრიდან შეხედავ და უსაყვედურებ.

თოფქაფის პარკში მიჩქმალული კაფე მასწავლეს, ბოსფორს უყურებს, ან ბოსფორი გიყურებს აქეთ, თუ ჩამოვქეი, განმარტოვდი, გაითავისე. ჩაის ვსვამ უხმოდ გამჭვირვალე მინის ჭიქიდან, თურქული წესით ვიღებ ხელში, ეხეც შევნიმნე. და ვფიქრობ ჩემი სიყვარული რა უსაგნოა, არც უმნიკვლო, არც ერთადერთი. ზღვაში კი თეთრი, ხან მოთეთრო ან მუქი ფერის ხომალდები მიდი-მოდიან, პორტში შედიან, გამოდიან, სხვა არაფერი. მათგან კი, იქვე, სიახლოვეს „ქალწულის კოშკი“ დგას ზღვაში მტკიცედ, გაუნძრევლად და ხმას არ იღებს.



რბ ბიბლიოთეკიდან — ნიგნების ნახევარზე მეტი თხუთმეტი წლის წინ დამენვა, რაც დამრჩა, დამრჩა. ძირითადად, ავტორების ან ახლობლების ნაწილი. ყველაფერთან ერთად ნიგნიც ისე გაქვირდა, შექმნაზე ოცნებალა თუ შეიძლება. ჯერ ასეთი სათაური მინდოდა — „რატომ და კიდევ რაზე დავწერდი ლექსებს, პოეტი რომ ვიყო“. მერე გადავიფიქრე და მგონი, არც შევმცდარვარ...

ჩემთვის, და არამარტო ჩემთვის, მეტისმეტად რთულ თემას ვეხები — პოეზიას, რაც, რა თქმა უნდა, გრძობიდან იბადება, უფრო სწორად — მართებს იბადებოდა. პოეზია ლამაზი სიტყვებით გადმოცემული ინფორმაცია კი არა, გულით შობილი განცდაა, რომელიც მერე მეტად მრავალგვარი და მრავალფეროვანი ხდება: ხალასი და მქისე, ამაღლებული თუ უღირსი, ცივი და თბილი, მწარე და ტკბილი და ა.შ. და ა.შ... გონება კი, თავის მეტაფორებით, ჰიპერბოლებითა თუ ლიტოტესებით, მოგვიანებით ერთგვება, მაგრამ „რა გული წავა, იგიცა (ცნობა და გონება) წავლენ და მისკენ მიდიან“, როგორც ამბობს შოთა რუსთაველი. ახლანდელი პოეზიის ძირითადი მახასიათებელი სხვადასხვა „უბანში“ იმედგაცრუებაზე გაუთავებელი ნუწუნია და არა ამ გრძობის გამომწვევ მიზეზსა და შედეგზე ნუხილი ან სიხარული. პირველ „ლექსებს“ ყმანვილობაში წერენ. აბა, რა გონება და ცნობა უნდა ჰქონდეს ბავშვს?! გრძობა კი მანამდეც ჰქონდა ადამიანს (და არამარტო ადამიანს) სანამ მიხვდებოდა, რომ ადამიანი იყო... კარგია, როგორ არ არის კარგი სილამაზეზე, სიკეთეზე, სიყვარულზე ლექსების წერა, მაგრამ ამთანტონიმებზე წერაც საჭიროდ მიმაჩნია, რადგან ვთვლი, რომ დრამატული პოეზია (არც კი ვიცი, ლიტერატურათმცოდნეობაში ასეთი ტერმინი თუ არის) უფრო ეხლება გულს, ვიდრე პროზა. ამის მაგალითები, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, არასაკმარისად. საინტერესოა, ვის როგორი გრძობა ანერინებს ლექსს გულიდან ამოსული თუ გონებით შეთხზული.

მინდა, **ცხარე** მაგალითი მოვიყვანო: „ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო, თუ ეცდები დაყოფასა ხორცთა შენთა სული გაჰყო!“

ჰო-ჰო-ჰო! რა ცეცხლს აფრქევს განრისხებული ნესტანი?!

მწარე:
„ტურფა საქართველო ყორნებს
წაუღიათ
სპარსეთს და ოსმალეთს
შუაზე გაუყვიათ,
ჩაშლილა თვალი და ჯაჭვი
ჩარღვეულა
იყალბო დაკეტილა,
გელათი დანგრეულა.“

ჩაშლილა თვალი... **მურმან ლებანიძე** შეიძლება ჯაჭვის პერანგის თვალს გული-სხმობს, მაგრამ ვინ დამიშლის „ჩიქილამ-სხმობს“ და კერიადანგრეული ქალიც გამახსენდეს. საღამომობით, ბუხართან მყუდროდ მჯდომი, ქმარ-შვილს წინდებს რომ ვეღარ უქსოვს ცრემლით ამომწვარი თვალისჩინის გამო. ჩარღვეული ჯაჭვით კი სამშობლოდანგრეული კაცების კბილთა ღრჭიალი გავიგონო.

მლაშე:
„შენ ჩემ ურუმრად გაგიღია
ჩემი კარები
და ჩემს ზვინებში შეგიშვია
შენი ქარები.
შენს ქარებს ტყისკენ გაულალავთ
ჩემი ტყეები
და მწვანე თმებში გაუბრუნდავთ
ჩემი ტყეები.“

ვინ დაატეხდა თავზე ამ ჭექა-ქუხილს თუ არა უზომოდ შეყვარებული და უსაფუძვლო ეჭვებით გაგულისებული მამრი, ანუ პოეტი **ანზორ სალუქვაძე**, სატრფოს.

უნდობლობით შეურაცხყოფილი და გაჯიუტებული მიჯნურის პასუხი კი ასეთია:
„ლიად შენ განგებ მიატოვე
შენი კარები,
განგებ შეუშვი შენს ზვინებში
ჩემი ქარები,
ჩემს ქარებს განგებ დაადვენე
შენი ტყეები,
ჩემს თმებში განგებ გაახვიე
შენი ტყეები!“


თბილი:
„...მთვარე რა ლამაზია,
დედიკო, მთვარე ვინ გააკეთა?“

„შეკრთები, თრთოლვით
დავაკვირდები
მე შენი სულის პირველ გახელას...
ღმერთო, ძლიერო, მაღლობელი ვარ...
შემინდე, ღმერთო, ბედნიერება
ჩემი ამხელა...“

ასეთი გრძობა სულაც არ იბადება მაშინ, როცა შეილი თაფლკარაქიანი პურის ნაჭერს მადიანად კებჩს. განა შეიძლება ბედნიერება გონებით იგრძნოს? ეს ლექსი სწორედ გულმა ათქმევინა პოეტ **თამარ ჯავახიშვილ-ამირეჯიბს** და არა გონებამ...

სევდით სავსე **უგემურობა:**
„... ზღვა მაინც გადაეხათ,
სისხლი უკვე უფკუფრო იყო
თანაგრძობის თეთრი კრუხები —
უტემპერატურო
ელექტრონი გვექონდა საერთო,
მავთული გადამიჭრეს,
კბილიდან თუ იყო ამოქაჩული,
ისე მეტყინა...“

მანანა ამირეჯიბი
პოეზია ჩემი ბიბლიოთეკის პროზიდან



ქალბატონი **ლია სტურუა** ისე ცრის და ცხრილავს ადამიანის სულს, რომ ყოველ წუთს არც მოგიხდება მის ლექსებში ჩაღრმავება, ეს უსაშველო სევდას გვრის მკითხველს, არადა სევდის გარეშეც ხომ ფუჭია ყოფა... ამ კბილის ტკივილმა უნებურად გამახსენა ვახტანგ გორგასლის ჩამსხვრეული კბილი და არა ხობობზე ნადირობის სასიამოვნო ინფორმაცია და მითი თბილისის წარმოშობის შესახებ... ერთხელ შენარ ფილიპს თავისი არაჩვეულებრივი მეუღლისთვის უთქვამს, ვაშლის ბალი ვნახე, რომლის მთელი ყვავილები ქარიშხალმა გაანადგურაო. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი გრძობა დაეუფლებოდა ამის მნახველს. როგორი და, როგორიც **პაოლო იაშვილს:** „ამალამ მგონი იქნება ქარი... ვია, დედოფალ ტყემლების ბრალი.“ დრამა კი არა, მგონი უფრო მეტია და, აბა, რა დაგავიწყებს ამ სურათს.

თავის მართლებად მაინც მინდა გავიხსენო აკუტავაგას ციტატა: „ლიტერატურაში კუთვნილი ადგილი პროზას მხოლოდ იმის წყალობით უკავია თუ რამდენად მოიცავს იგი პოეზიას...“

რა თქმა უნდა, კარგია დადებითი ემოციები, მაგრამ სხვანაირ, პირდაპირ ვიტყვი, მკაცრ ლირიკაზეც მაქვს მოთხოვნილება. დედამინაზე ხომ ცუდიც იმდენივე ხდება, რამდენიც — კარგი. იშვიათად შემხვედრია ლექსი უსინდისობაზე, სიხარბზე, ლალატზე, მლიქვნელობაზე, შურზე და ა.შ... ბევრს ალბათ გაუკვირდება, რად უნდა ამათ ლექსით. უნდა, იმიტომ უნდა, რომ ლექსს, გულზე მოსახვედრ ლექსს, უფრო მოკლე და სწრაფი გზა აქვს სხვა გულბებთან მისასვლელად, უფრო მკვეთრად და პირდაპირ ეხლება გულს, ვიდრე მოთხრობა და მით უფრო რომანი, თუნდაც იმიტომ, რომ მცირე ზომისაა და დროც ცოტა მიაქვს, იმიტომ, რომ უფრო დიდია მისი გავლენა ადამიანზე. იმიტომ, რომ ასეთი ლექსის ლირიკულ გმირად ყოფნა არავის მოსურვება. ფუნაგორიებს არ ვგულისხმობ, რომ ნაკითხვად და მეორე წუთს არ გახსოვს.

გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ გადამეთვალთურებიანა ის ადგილები, საჩემო პოეზიას რომ ინახავს. აქვე ვიტყვი, რომ მხოლოდ ლექსში კი არ ვემბ და ხანდახ-

ან ვპოულობ ასეთ პოეზიას, სხვა ხელოვნებაშიც. მაგალითად, მერაბ ბერძენიშვილის „დავით გურამიშვილი“, არჩილ ქიქოძის ფოტოხელოვნებაში, თენგიზ მირზაშვილის ნახატებში... რადგან ასე თუ ისე ლიტერატურის მსახური ვარ მხოლოდ იმიტომ ვეხები მას.

რა ვქნა და, **ფოლკნერი** უნდა დავინყო. ბევრისგან გამიგია, რომ ეს მწერალი არ უყვარს განელილი თხრობისთვის, ამბავში ამბის შემოტანისთვის. კაცია და გუნება, მე არც თუ ძალიან იშვიათად თვალს გადავკვრავ ხოლმე მის თხზულებებს. როდესაც ბოლოს და ბოლოს ამ თემამ მოსვენება აღარ მომცა, მაინცდამაინც ეს მწერალი გამახსენდა პირველად და ეს ნაწყვეტი: „ის ქალიც მაგიდას მოსჯდომოდა ჩემ პირდაპირ, მაგიდის ნათურა ქვემოდან გვაშუქებდა, ისე რომ, კაცმა რომ თქვას, კარგად ხელებს თუ ვხედავდით ერთიმეორისას: მაგიდაზე დაწყობილ ჩემს ხელებს და მუხლებზე, ხელჩანთაზე განაბულ მის ხელებს, თითქოს

სიხარულით სავსე. ედილეი ხომ ვერასოდეს წარმოადგენდა წვიმაში ცეკვას, მიუხედავად იმისა, რომ სიღრმის და სივრცის მფლობელი ადამიანი იყო.

გადავედი ქართველებზე და ქართულზე და აქვე ვიტყვი, მოხმობილი ნაწყვეტები იმას არ ნიშნავს, რომ წაწარმოები მომწონს ან არ მომწონს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩემი პოეზიის იმ ფრაგმენტებს ვემბ მათში, რომელიც არ დამავიწყდა. არც თუ იშვიათად ვპოულობ კიდევ, მაგრამ ვგრძობ, რომ მაინც რაღაც მესაკლისებოდა იმდენად, რომ ბოლოს შევწუხდი, ძალიან დაფიქრდი და მივხვდი, უფრო სწორად, მგონია, რომ მივხვდი. ხსენებაზე სიხარულის ერთ ნაწყვეტს მოვიყვან **არჩილ ქიქოძის** „მურტალი ქართველებიდან“:

„ტარიელა კი სტუმარს ყურს ვეღარ უგდებდა. სხვა რამ ედგა თვალწინ. უკვე ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა... მზე რომ ახალი მიმდგარი იქნებოდა დალესტინის მთის წვერებს გახარებული და გაკვირვებული მირიანა ცხენის ათრთოლებულ ზურგს მოეფერება და უცებ მოველება ზედ... მინას არ შეეხება ისე გაიქროლებს იორლა არხილოს შარავგას იქამდე, სანამ მხედარი მარცხნივ არ დაუქაჩავს ალვირს და ალაზნისკენ არ გააქანებს. მირიანას კობტად, ჯექედურად უჭირავს ტანი თეთრი ცხენის უბელო ზურგზე. ღორღის ჩხრილით ჩაათავებენ გრძელ, ხრიოკ თავდაღმართს და ალაზნისპირა ჭალას შეერევიან... ბუჩქებიდან სულ ხრდღვიალბრდღვიალით ამოიან მამალი ხობობი და ის-ის არის, ნაბიჯზე გადასული გაქაფული ცხენი ფრუტუნით ხტება განზე. მხედარიც თითქოს ამასლა ელოდა — მუცელში ქუსლებს ამოჰკრავს, დაბირკულ-დაძურნულ ნამისგან მუხლამდე სველ ფეხებს მაგრად მოუჭერს და წინ გააქენებს...“

შეიძლება ვინმე იკითხოს, სად არის აქ პოეზიაო. როგორ არ არის! ტარიელა იმაზე ოცნებობს რაც ხვალ იქნება, თავისთვის კი არა, სხვის ხვალინდელ სიხარულზე ოცნებობს. საოცარი არ არის? ვის გამოც წელან გული უსკდებოდა, სოფელი მის გვერდით დამინახავს, იმას უმზადებს დიდ სიხარულს... ნეტავი როგორ განმარტავდა სულხან-საბა სიხარული სხვათა სიხარულზე ზედან. ცუდი ლექსი დაინერგებოდა? ლექსი სადაც მზე და მეს გამო კი არ იქნება სიხარულის თუ ნუხილის განცდა — არამედ **შენზე** და **შენგამო**, **მასზე** და **მისგამო**.

აკა მორჩილაძე „მელიქსეთბაშის თბილისში“ ამბობს: „როცა ჭირი და ქუდბედი იბრძვიან ადგილისთვის შენს ქუდბეგმ, გული, მოგეხსენებათ, ყველაზე პატიოსანი და ყველაზე უნამუსო მოკარნახეა“. დიღმის ნინამე აღმოვჩინე, თან ვეთანხმები და თან არა აღმერალს, გულის უნამუსო მოკარნახე მისი გარყვნილი მსახური — გონება — უფრო მეგონა. რა ვიცი, ძალიან დავიბენი. ამავე მოთხრობაში სწორედ ამ უნამუსობამ, სიხარბემ და უმონყალობამ ჩაადგინა ისეთი გასამტერებელი სისასტიკე გიორგი ქსნის ერისთავს, როგორსაც ტვინის ნაფიქრად უფრო ვთვლი, ვიდრე გულისას. „ყულარა-ლასის ხალათი რომ უბოძა ერეკლე, ერთგულების დასამტკიცებლად თავი გამოიღო. როცა რიყზე ჯალათები საქმიანობდნენ მთელი თბილისის ნინაშე, ერთი დამსჯელი მეც ვიქნებო, გამოდგა ნინა და თავისი ხმლით პირადად მოჰკვეთა თავი პაატა ბატონიშვილს“. ფუჰ! მას და მისნაირებს განა არ ეკუთვნის საქციელის შესაფერისი ლექსი? ისეთი, ამგვარის პოეტნიურ ჩამდენს ტანში რომ გააცეცხვებ.

იქნებ არაფერ შუაში იყო, მაგრამ სახელმა ისევე პაატა გამახსენა **დათო ტურაშვილის** „ჯინსების თაობიდან“. ეს ტრაგიკული მოვლენა, თვითმფრინავის გატაცება, ყველას კარგად გვახსოვს, უფრო კარგად ვიდრე შემდგომ თაობებს. თვითმფრინავში დაჭრილ „ტერორისტ“ „პაატა ივერიელს თვითონ მგზავრებმა შეუხვიეს ფეხი და ერთმა შუახნის ქალბატონმა თავის კაბას ბოლოც კი შემოახნია პაატასთვის ფეხზე გადასაჭერად“. ერთი ადამიანიც არ მეგულება ამ წინადადების ნაკითხვისას გული არ მოეწუროს სიკეთის, მიტყვევის, მზრუნველობის ნარევი გრძობის გაჩენის გამო, განა ის და ყველა მისნაირი საუკეთესო ლექსის ღირსი არ არის? მისი აზრით ბიჭი ხომ ტერორისტი იყო... საკამათოა, -ისტი ხომ რაიმე ხელობაში პროფესიულობას აღნიშნავს. ჩემი აზრით ეს იყო ახალგაზრდული სიცხეტე და უპასუხ-



ჯემალ თოფურიძის გამოუქვეყნებელი ლექსები

არ ალბობს არც ზარი
 არც მოთქმა-ტირილი
 ავნიოთ ეს ყანნი
 ცხოვრება სიცილით
 რომ გავატაროთ
 თუ მოვა სიკვდილი
 მზის ჰიმნის სიმღერით
 არ გავახაროთ
 დავხიოთ ძვლიანი სიცივის
 პირველი წერილი
 და დროს შევავდროთ
 და მზეს შევავდროთ
 ჯიხვი ნებიერი

 დაიმახსოვრე ცა ცისფერია,
 მზეა მზისფერი,
 დაიმახსოვრე მწვანეშია
 უთვლელი ფერი,
 შენ ყველაფერი უსათუოდ
 დაიმახსოვრე,
 ისიც იცოდე, გენიოსები
 გვანან მათხოვრებს
 და რაც არ არის სამახსოვრო,
 დაიმახსოვრე.

ფეხი არ გადადგა არასწორედ
 შენ არასოდეს,
 თუ შეგეშალა, შეეცადე, გამოასწორე
 და თქვი, რა ვქნა,
 ასეთი ვართ მე და ფიქრები,
 გამოვესწორდები, როცა ერთად
 აღარ ვიქნებით.

 დღეს აღესრულა
 ჩვენი შეხვედრის მეათე წელი
 მიიზღაზნება მოგონების უგრძესი გველი
 მახსოვს პირველი ღამის კოცნა
 ნატიფი ხელი
 შავი თვალების დამდნარი ვნება
 შეცვლილი ფერი
 მიიზღაზნება მოგონების უგრძესი გველი
 დღეს აღესრულა ჩვენი შეხვედრის
 მეათე წელი

 აირია ზღვა
 უღალატა მზემ
 აირია ზღვა
 ტალღებს მიჯრით ფენს
 გახსნება წვის
 უფრო მაგრა წვავს
 ელის როგორც ჩვენ
 მოწყურებულ ქალს
 აირია ზღვა
 სხვას აკოცა მზემ
 უღალატა ზღვას
 ზღვა ნაპირებს გლეჯს
 ცრემლით ტირის ზღვა
 და სველ ნაპირს კბენს.

 რა ერქვა ნეტა,
 ვინც პირველმა უსიკვდილოდ
 მოიკლა თავი?!

იქნებ არ ერქვა არც სახელი,
 არც ჰქონდა გვარი,
 ისე მიჰქონდა მარტოობას
 ვერცხლინცილის ჯვარი.

რა სურდა ნეტა?!
 ვისაც სურვილი მეტი ჰქონდა
 თავის ხილვაზე,
 თავისი აზრი დაამსხვრია გალაქტიკაზე
 და არ გაცვალა ნელა ბალახი
 გამხმარ თივაზე.

ერქვა კი რამე,
 ვინც დაარქვა სიკვდილს სიკვდილი,
 ვინც შექმნა გვამი, გახსნის სუნი,
 ვინც შექმნა ზიზღი.
 რა ერქვა პირველ შეყვარებულს,
 მოწყვეტილ ყვავილს
 ტურის სისველეს,
 სიგიჟეს ღამის,
 ოცნების მორევს,
 რა ერქვა ნეტა მზის სიხარულს,
 სასწაულს სიტყვის,
 უნუგეშობას, გათხოვებას,
 სასონარკვეთას

რა ერქვა ნეტა?!
 ანდა ვითომ ერქვა კი რამე
 ასეთი გზების ლაბირინთში
 ურცხვ გადაკვეთას!
 რა ერქვა ნეტა მოხუცი დედის
 უსახსრო თითებს,
 ან მამის საფლავს,
 ან ბავშვების სიცილს,
 რა ერქვა ნეტა სიცოცხლის
 აქლემურ წყურვილს...

ერქვა კი რამე?

 თეთრი ტილოები
 თოვლის და ზამთრის თეთრი სინმინდე
 ჯერ ხელუხლებელი ჩემი პიროვნებით
 თეთრი ტილოები
 ჯერ დაუხატავი
 ჩემი ოცნებები
 ჯერ შეუფარავი
 ჰოდა დავარქვით ამ ლექსებს ტილოები
 თეთრი ტილოები

 თმაში ჭაღარა
 ძვლიანი სიცივის
 პირველი წერილი
 მოდის და არ გვინდობს

ისმგებლობის ტრაგიზმი, ასეთივე დასასრულით.

ზვიად კვარაცხელიას მოთხრობაში „თავიდან“ ერთი „ექიმი“ პაციენტს მშობიარობის დროს ასე ესაუბრება: „ისუნთქეთ, ისუნთქეთ, თორე თქვენი ბიზნესმენი მამა არც დაპირებულ მანქანასა და ბინას მოგცემს და ჩვენც დავრჩებით ექიმის ამ მათხოვრულ ხელფასზე, საჩუქრის გარეშე... გაიჭინეთ, ქალბატონო, გაიჭინეთ, ხედავთ, რა ამაყი ბავშვი იბადება.“ რომელ გზას გაუდგება და რა ებედება მეგზურად იქნებ მართლაც ამაყ ან თუნდაც უბრალო ახალშობილს, სიხარბე, სულმოკლეობა, სიღარიბის გამო დავინწყებული ღირსება? სწორედ რომ გულისამრევი და ვითომ რატომ არ დაინერებოდა ერთი ცოფისმყრელი ლექსი ასეთ თემაზე?

ან ამპარტავნობას რა სიკეთე მოაქვს პატრონისთვის? მხოლოდ დამარცხება და განადგურება. **გიორგი ლეონიძის** „ციციკორეს სულს შავები ემოსა, გულზე თოვლი ედო, ტვინს ნისლი ეხვია, უარსეზოს დაემგვანა, გეგონებოდათ სიტყვის საცეხვი გამოელიაო, კბილი დაკეტა. ნამდვილად, თქვენ წინ კაცი კი აღარ იდგა, არამედ დაკემსილი, გაცრეცილი ღამე!“ რატომ? იმიტომ, რომ მისი სულის ქონებას და სამკაულს — ამპარტავნობას — ბოლო მოუღო ვიღაც „მოთრეულმა“ გარსიამ, რასაც გადაჰყვა კიდევ სოფლის არამკითხე მეუფროსე. ამპარტავნობას, რომელიც პიროვნებას ღუპავს, ირგვლივ მყოფთ კი თრგუნავს...

შიგადაშიგ კარგიც მახსენდება ხოლმე. ამას არც ქარიზმატულ დათას ათქმევინებს **ჭაბუა ამირეჯიბი** და არც პროვოცირების უბადლო ოსტატს — მუშნის.

„აი, როგორ არი, იცი?.. კახეთში, ვთქვით, სიღნაღიდან ალაზნის ველს გადახედავ — ისეთი სანახავია, ტიალი, რომ ყელში ჯვარის გორგალს მოგაყენებს, ეგეთი ძალა აქვს იქაურ ადგილებს, სულზე ფეხს დაგადგამს — შენ ნაკლები ხარო! ადგები და გულის მოსაფხანად შენსავე ხარებს პატრონის დედას შეაგინებ და ამაყ სიმღერას იტყვი. მაშა!.. გურია-აჭარაში როგორ არის, რომა იქაურ მთა-ბარისა და ცა-ზღვის შემხედვარეს ფიქრი ელვასავით დაგირბის, გონებას სისხარტე ემატება, შენი თავი სხვაზე უკეთესი გგონია და, აკი სიმღერაც ქედმაღალი და თავმომწონე აქვთ. სამეგრელოსა და სამურზაყანოში კიდევ, სერზე შემოდგები, არემარეს თვალს მოავლებ და რალაცნაირი მონინებული ხდები, კაცოო! ზრდილობა და თავაზიანობა გწყურია, ღამის უნ-

აგირიდან ჩამოხტე, ცხენს კისერზე მკლავი გადააჭვიო, — მეპატროს, რომ ზურგზე გეჯექო, — და ღილინი მოგინდება, ლაზათიანი, თავმდაბალი, მოკრძალებული ღილინი!“. ამას აღმოსავლეთ საქართველოდან ჩასული ბექარა ჯეირანაშვილი ამბობს, ვისაც სულაც არ სჭირდება განათლება, რომ პოეზია შექმნას, მთავარია გული სილამაზეს გრძნობდეს და თვალი — ხედავდეს, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა...

უმადურობის ორი მაგალითი მომაგონდა. **ვახო სალია**, ადამიანთა ამ თვისების გამოსავლენად ამბობს: „მოურავის მეძებარი ძალი მგელმა დაკბინა, რის შედეგადაც საცოდავ ცხოველს უკანა ფეხები წაერთვა და ველარ მოძრაობდა. სანადიროდ ეს აღარ გამოადგება, ტყუილად უნდა ინვალოსო, განაცხადა მისმა პატრონმა და ტყეში წაიყვანა, რათა მონადირეთა წესის თანახმად, იქ ტყვიით მოეკლა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, მიუშვირა ძალს ლულა, ცუგამ კი პატრონისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გამოსახატავად კუდის ქიცინს უმატა, ვერაფრით დაეჯერებინა, რომ წარსულ სამსახურს დაუვინწყებდნენ და სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ; მან ხომ პატრონს ამავე თოფით უამრავი ფრინველ-ნადირი მოაკვლევინა“. მაინც გაიმეტა, გულგრილობა ხომ მოაზროვნე ცხოველთა თვისებაცაა. მონადირეებისთვის ეს ალბათ ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ ჩემთვის ერთგული არსების, თუნდაც ხეივრის გამეტება, მეტი რომ არ ვთქვა, გულქვაობაა. განა უმადურებს არ ეკუთვნით ერთი ძარღვიანი უმადური ლექსი?

ასეთებსაც **ნუგზარ შატაიძემ** რომ აღწერა: „თავიდან ძალიან მოსწონდათ ეს უფნებელი, კეთილხმოვან ენაზე მოუბარი ხალხი, უკვირდათ იმითი განსაკუთრებული ღვთისმომოშიშობა და უხაროდათ, რომ დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, ყველას ჯვარი ეკიდა კისერზე, მაგრამ სულ მალე მთელ დუნიას მოედო აქაური მოსახლეობის მონყალი გულის ამბავი და ქვეყნის ოთხივე კუთხიდან ლტოლვილები ისეთი უზარმაზარი, უღვევი ნაკადი დაიძრა, რომ ისედაც შეჭირვებულებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ, რადგან ახლა ისინი ხვეწნის, ლოცვა-კურთხევისა და პირჯვრის წერის ნაცვლად უკვე მოითხოვდნენ, ილანძვებოდნენ, მუშკით მოინევენდნენ, არც ქურდობას თაკილობდნენ და არც ძალით წართმევას ერიდებოდნენ“. რა გრძნობაც დაბადა ამ მონაკვეთმა ისეთივე ლექსი მითრისთვის არ შეერგებოდა? ამ უმადურმა მხეცებმა რატომღაც ისევე ფოლკნერის გველი სნოუჰუსები გამახსენა.

რამ მომაგონა, არ ვიცი, ან რამდენად საჭიროა. ეტყობა დავითრგუნე უსიამოვანცდებით... ერთხელ, შატილში, გაზაფხულზე, ასეთი რამ ვნახე და მოვისმინე. ახალგაზრდა ქალი ტყეში ვილაცას გასძახოდა: ვხედავ, შემოდგომასა ვხედავ, დალონებულ ხესთან აინიე და შენც დაინახავ! რას ეძახი-მეთქი, ვკითხე. ხბო არ მოვიდა, ბიჭია მოსაძებნად და იმას ავეყვირო. შემოდგომა რა შუაშია-მეთქი. სახელიაო. ვინ დაარქვა-მეთქი. მე, მოველენ და ნახეო. ვნახე. სხვაგან და სხვა დროს ასეთი ლამაზი ხბო არ მინახავს. ოქროსფერ-ნაზლისფრად ჭრელი იყო და მართლაც მისი დანახვისას დიდ-პატარას უთუოდ გაახსენდებოდა შემოდგომის ტყე. დღემდე გული მწყნდება, რომ ის დალონებულნი ხე არ ვნახე.

სამაგიეროდ ვნახე **ვაჟა გიგაშვილის** განრისხებული „პოეტი, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს“: „უხლა გამოჩნდება ტურა. აი, გამოჩნდა: მორბის საქმიანად, მიზანდასახულად, ბორდიურის გასწვრივ... ხალხი ზედაც არ უყურებს, მათთვის ის ჩვეულებრივი მანანაა ლაქალაქა (ხაზგასმა ჩემია — მ.ა.), მოყვითალო-მორუხო ბუნვით, საშუალო-მომცრო ზომის მოკლე ბუთქუნა კუდით... ტურაა? ტურაა ნაღდი!.. ეს ჩემში მყისიერ აღზნებას იწვევს!.. საიდან? ვის გამოექცა? საიდან? მოდის ჯიგარი, მოტუსტუსებს შუა ქალაქში, ამდენ ხალხში და ეს რეგენები აზრზედაც ვერ მოდიან ვინ არი! ეს კიდევ უფრო დიდ აღფრთოვანებას იწვევს ჩემში და ვლრიალებ გახარებულნი... „ტურა! ეეე! ტურა!..“ ...და სასწრაფოდ იცვლება სიტუაცია... ოცამდე სხვადასხვა ასაკის მამაკაცი გამხეცებული, შემოლილი სახეებით ცდილობს მის ალყაში მოქცევას... ამ ხალხს ყველა კავშირი ხომ აქვს განწყვეტილი გარე ბუნებასთან, რეფლექსებიც ნაშლილი, მაგრამ, აი ეს რეფლექსი — მტრობის რეფლექსი — მაინც მაგრად აქვს გამოჯდარი ტვინში... ჰოდა, ერთმა „ტელეგრაფიკაც“ ესროლა, დააფარა თავის ჭკუაში, მაგრამ ტურა რის ტურაა და ნადირი, რომ ამათ სისწრაფეში აჯობონ... გასხლტა, მტკვრისაკენ ჩაუხვია...“

რა, ჩვენი ხვედრია რომ რალაც უჩვეულოს, საგანი იქნება თუ აზრი, დაუყვონებელი და დაუფიქრებელი ქვეები და ვუშინოთ? სიახლე და მოულოდნელობა გვაძინებს ადამიანებს, გაცვეთილი აზრი — ჩვეულებრივი მანანაა ძალი — რატომ გვირჩევია, რატომ არ ვფიქრობთ, რომ ეს დაუშვებელია, უცნაურობა, სიმბოლურად — ტურა ქალაქში — მაინც

მუდამ იარსებებს, მაინც გასხლტება, თუ რატომ ამას კი ფიქრი უნდა და განსჯა და არა ქვა და დასჯა. ეს რა, პირველმქმნელების და პირველმქმნელების სამუდამო ხვედრია? ვითომ ცუდი თემა იქნებოდა ლექსისთვის?

ხვედრია, მამ რა ჯანდაბაა! **ჯემალ ქარჩხაძის** „იგის“ იმიტომ მიუსაჯეს ქარაფიდან უფსკრულში გადაშვება, რომ უცნაური იყო: ვისაც პირველად შეუყვარდა, ვინც პირველმა გაისწორა ხერხემალი, პირველმა გაიღიმა, გაიკვირვა, დახატა. „თანამომძებნა ისე შეხედეს, თითქოს იგი იგი აღარ ყოფილიყო, თითქოს იგი სულაც არ არსებობდა. ვისაც კი გვერდით ამოუდგა, ყველა სასწრაფოდ გაეცალა. ზედ არავინ უყურებდა.“ ჩვენი თანამომძებნი ხომ არ გაახსენდათ? რა თქმა უნდა გაახსენდათ... პოეტი რომ ვიყო, მე პირადად, მივუძღვინდი ერთ „გემრიელ“ ლექსს სიახლის შიშით გარეგნებულად ამიანებს.

სულ მგონია, რომ ისე ვერა ვთქვი, როგორც ვიფიქრე და ამიტომ ისევ ჩვენს პოეტს დავიმონმებ.

გალაკტიონი რომ დრამატული პოეზიის გენიოსი იყო, ამის მტკიცება ხომ ასურდია, ის ხომ პირველი გადამსახლებელი და ჯადოსმქმნელი პოეტი, ხანდახან ლექსის შინაარსი არც გესმის და არც გინდა გაიგო, მაგრამ ისე მძაფრად განიცდი, რომ დაზეპირება მოგესურვება.

რა დროს დასკვნები და „რომანსეროა“, ასე დავამთავრებ:

„ფიქრს დღე და მოსწრება
 რად გადავალე?
 ლენა, ენისეი, ზაბაიკალიე...
 ან ჩემი ოცნება და ჩემი ღირიკა
 ობოლი ნაძვია — ლარიქს სიბირიკა.
 სხვა იტყვის: სად ჩვენი
 ქართველი პოეტი,
 სად მზე კოლხეთისა და სად
 ჩრდილოეთი!
 განდევნა მინამა, ცამ ვერ შეირიგა
 მალალტანოვანი ლარიქს სიბირიკა.“
 ო, ღმერთო, ჩემო! „ან ჩემი ოცნება და ჩემი ღირიკა ობოლი ნაძვია-ლარიქს სიბირიკა“ სად მზე კოლხეთისა და სად ჩრდილოეთი! განდევნა მინამა, ცამ ვერ შეირიგა მალალტანოვანი ლარიქს სიბირიკა“. მართლაც, რა შუაში იყო სამშობლოდან უამრავი, უდანაშაულოდ განდევნილი ქართველის ტანჯული აღსასრული უცხო ციმბირში... ვისაც ნაძვი მხოლოდ ხე ეგონება და არა ობოლი საფლავი, მისი ნებაა, წეროს და იკითხოს გონებით შეთხზული ლექსები...

ალვირი

დღეს წასვლის დროა, მოუშვებ ალვირს,
და სადღაც იქით, სივრცისკენ წახვალ,
იცი, რომ შენი ქალაქი, ხალხი,
უკვე არაფერს არ გეტყვის ახალს.

როგორ იცვლება სიზმრები სწრაფი,
მოუთმენელი არის ცვლილება,
უკვე გამწყდარა ის წვრილი ძაფი,
სამყაროსთან რომ გაკავშირებდა.

ცხოვრება, როგორც ხანგრძლივი სევდა,
ვერაფერს ხედავ, ვერ ამბობ ამით,
ცხოვრება, როგორც სულ ერთი ელდა,
შენთან ახლოს რომ ეცემა ღამით.

მოუშვებ ალვირს, ამიტომ მიქრი,
არ გჯერა დაცდის, არ გჯერა შიშის,
ზაფხულის მზე და ყინვების ჭირხლი
აღარ გახსოვს და ხელს ველარ გიმლის.

ჰორიზონტია და მოსჩანს ზოლი,
შენ დასასრულის არ გწამს, არც კიდის,
უკან დასტოვე დღეების ბოლი,
ყველაფერი ხომ თავის გზით მიდის.

ამიტომ წახვალ, მოუშვებ ალვირს,
რა უნდა ნახო ღამეში, დღეში,
წრეში დგომა და დარჩენა არ ღირს,
ბედნიერებას რა უნდა წრეში.

ბანა

ბევრი სათქმელი, რითმები ბლაგვი
და პირსაც ვერ ხსნის ვერც ბასრი დანა,
ძილისწინ ფერმკრთალ სტრიქონებს დავთვლი,
მხოლოდ ესა ვარ? ესა ვარ განა?

სად არის ბგერა, სად არის ფერი,
მე სხვანაირი მინდოდა ხანა,
დაბლა, მაღლა და სულ, ყველგან ფსკერი,
ამას სიცოცხლე დავარქვი განა?

ფრა

თავთან მარცხი, ცხოვრებასთან ფრე
და შეიკრა არსებობის წრე.

გონება რომ მიეცემა ძილს,
დანყნარდება ყველაფერი ძლივს.

და მოვუსმენ გრძობებს შიშველს, უმს,
არაფერში დავინახავ წუნს.

ცა იქნება ერთი, არა — ცხრა!
დედამინა გამოჩნდება სხვა.

გააჩერებს მოუსვენარ დროს,
დაიქანცა, ალბათ, ისიც გრძობს.

და მივხვდები მე ვარ ისევ მე,
თავთან მარცხი, ცხოვრებასთან ფრე.

ბავშვობის ტბა

წიგნის სუნი ნეტარი და ძველი,
დაკარგული შეგრძნებები სხვა
და დღეები უდარდელად გრძელი
და ბავშვობის შორეული ტბა.

გინდა ნახო, მოიმარჯვებ დურბინდს,
ცარიელი რეალობა სწანს,
რაც დაკარგე, არ ყოფილა ცუდი,
შენ კი მაღე შეეღიე მას.

კაპაზი

სიჩუმე, როგორც ფრთხილი ალერსი,
სიჩუმე... სიტყვა არაფრად არ ღირს,
კაბებს იცვლიან ჩუმად ქალები,
ელოდებიან სიყვარულს ნამდვილს.

და არის რაღაც, კვალს რომ დასტოვებს,
რასაც შორს ეძებს მკერდი და ბაგეც,
მოგონებებს ფლობს ეს სიმარტოვე,
და მომავალსაც არ ამხელს განგებ.

წამები გადის მაშინ წვალებით,
და გიყვარს, რასაც ვერაფრით აგნებ,
კაბებს იცვლიან ჩუმად ქალები,
ქალები ჩუმად არჩევენ კაბებს.



სიჩუმე, როგორც ფრთხილი სურნელი,
სიჩუმე... სიტყვა არაფრად არ ღირს,
უცვლელი, მაგრამ გამოუთქმელი,
ელოდებიან რაღაცას, ნამდვილს.

ხმაურიანი მელანქოლია

ძალადაცლილი მოდის ხმაური,
ყოველთვის, თითქოს, არის გვიანი,
და დამემართა მე უცნაური,
მელანქოლია ხმაურიანი.

ვერ ვხედავ სიზმარს და ძილშიც მღვიძავს,
არანაირი არ დგება დარი,
ცა აღარა სწანს და ვერ ვგრძნობ მინას,
მზე ველარ მათბობს, ვერ მართობს ქარი.

და ვფიქრობ, ნუთუ, მე მართლა გავჩნდი,
და თითქოს, ადრეც იყო გვიანი,
ძალადაცლილი მოისმის მარში,
მელანქოლია ხმაურიანი.

იქნება

რა გამოლევს უმიზეზო მიზეზს,
რა გამოლევს ლოზუნგებს და დროშებს,
არ გათენდა ქვეყანაში ისევ,
ლექსებისთვის ისევ ვიღებ გროშებს.

იქნებ სჯობდეს, გავეკიდო ბოშებს,
ნებით ავყვე დედამინის ბრუნვას,
ავითქვიფო სივრცესა და დროში,
იქნებ სჯობდეს, დავიკარგო თუნდაც.

იქნებ სჯობდეს, ჩავიკეტო წყნარად.
მოვერიდო განცდებს ჭუჭყით გასვრილს,
ანდა ერთი ბრძენი კაცის დარად,
სამუდამოდ მოვკალათდე კასრში.

მოვერიდო გადაღეჭილ ფრაზებს,
დავივიწყო, დავიჯერე რისიც,
შემოდგომა მომდგარია კარზე,
არსებობის გარდუვალი კრიზი.

რა ვიპოვე, სივრცესა და დროში?!
იყო რამე, ნაწილი ან მთელი?
ღირდა რამე, თუნდაც ერთი გროში?!
ანდა რა ვთქვი, რის ვიყავი მთქმელი?!

ღრუბლები

სინყნარეა... გაქრა სიტყვა უხვი,
ცა კი რუხი, უცნაურად რუხი.

მეჩვენება, უნდათ დაბლა ღრუბლებს,
მინა მათაც ჰყვარებიათ თურმე.

ვერ სცდებიან ყოველდღიურ განცდას
და არ უნდათ, სადღაც ცაში დაცდა.

მათაც სტანჯავთ დასასრულის ხილვა,
იქ გონება ვერასოდეს მივა.

იქ, ყოველი სულერთია თურმე,
მეჩვენება... უნდათ დაბლა ღრუბლებს.

ამდროს

მეგონა, რამეს დავტოვებ, ვიტყვი,
და შევამჩნიე, უეცრად, ამ დროს,
რომ დედამინას დაედო ღიპი,
სჭამს, სძინავს, ახალს არაფერს ამბობს.

და ჩვენთან კიდევ გრძელდება ცირკი,
გულმოდგინედ და ბეჯითად გვენერთინან,

მეგონა, რამეს დავტოვებ, ვიტყვი,
მაგრამ ეტყობა, მოვედი გვიან.

ფურცელი, ლექსი, ძველი თარიღი,
უცებ გამოჩნდა წარსულის ხედი,
რაც დავივიწყე, ჩემგან გავრიყე,
არადა, თურმე ვცხოვრობდი, ვნერდი.

ამ სიამაყის ახლა მრცხვენია,
ახლა, ვერ ვიტყვი ვერაფერ ახალს,
არ დავივიწყო ის, რაც შენია
დაემშვიდობე, სანამ შორს წახვალ.

და მსაყვედურობს სიყვითლე ფურცლის,
მახსენებს, რაღაც ახლობელს, სადას,
გადავაყოლე სიახლის სურვილს,
გადავაყოლე მომავლის მადას.

ფურცელი, ლექსი, ძველი თარიღი,
უცებ გამოჩნდა წარსულის ხედი,
მომნატრებია, ჩემგან გავრიყე,
მომნატრებია, ვცხოვრობდი, ვნერდი.

ლაპარაკი, ხალხი, როცა მბეზრდება,
როცა მინდა მარტოდმარტო წაწნალი,
უცნაური, უჩვეულო დღე დგება,
მაშინ ვხდები სიმუნჯემდე მართალი.

და ტყუილად რამდენს ვლაცობთ, ვხმაურობთ,
და სიმართლის არ დავგვცდება მარცვალი,
სიჩუმეში, მოდით, ვიმოგზაუროთ,
არ გვჭირდება იქ სიტყვების საგზალი

ნაკლებად

გთხოვ, არ დაბრუნდე, რადგან მე გიცდი,
რადგან ვერ მივხვდი, ლოღინი არ ღირს,
რადგან გავიდა ეს დრო, დრო დიდი,
სხვაა ცხოვრება და სხვაა ხალხიც.

გთხოვ, არ დაბრუნდე, მეც უკვე სხვა ვარ,
ვისაც იცნობდი, აღარ დაგხვდება,
საკუთარ თავსაც ნაკლებად ვგავარ,
ნაკლებად მძულს და მიყვარს ნაკლებად.

გთხოვ, არ დაბრუნდე, ვერაფერს ავხსნი,
უკვე ნაკლებად ვწუხვარ და ვხარობ,
რადგან სულ სხვაა ცხოვრება, ხალხი,
უკვე ნაკლებს ვთხოვ, ამ ჩვენს სამყაროს.

არ

მომენატრა ამოსუნთქვა ლალი
და ვასრულებ ფიქრებს მიიმეს, ჭკვიანს,
და რიცხვების მოვიცილე დალი,
არ ითვლება, რასაც ხშირად თვლიან.

მოვიგონებ დღესასწაულს ნამდვილს.
დღესასწაულს უაკანასკნელს, გვიანს,
საუკუნეც ხომ ნამივით გადის,
არ იცვლება, რასაც ხშირად ცვლიან.

უთქმელი

მინდოდა და ვერ ვიპოვე სიტყვა,
თან ვეძებდი, რაღაც რთულს და უთქმელს.
სიმწრისაგან დაიცალა ჭიქა,
აღარ დავნერ, აღარ დავსერი ფურცელს.

ყველაფერი სახელს თვითონ ირქმევს,
რას დაეძებს ჩვენს სურვილს და წადილს,
თოვლი თეთრად მომჩვენებს სიზმრებს,
დათოვლილი გამოჩნდება ცხადიც.

ნარჩენი

მე მინდა წამით უკან მოხედვა,
თვალი რომ მოვკრა, რაც უკან დამრჩა,
რასაც უჩინრად უნგი მოედო,
რაც მყვარებია, რატომ ჰგავს ნარჩენს.

იყოს ნარჩენი, ოღონდაც დარჩეს,
მოვუფრთხილდები ძველსა და მტვრიანს,
ღამით ქალები ალებენ ფანჯრებს,
უყვარდებათ და ვარსკვლავებს თვლიან.

და უკან მრჩება, რაც სწანდა გვერდით,
გამომაკლდება, აღარ მენდობა,
ამას დავარქვი, ეტყობა ბედიც,
ასე დაერქვა ბედს უბედობა.

რა იცი, ღამე რა ხდება!
შეიძლება, ხიდი აკეცონ,
შიგ ჩიტი მოყვეს
და მისივე ფრენის ტრაექტორია
დაადგეს ძეგლად.
იგივე ხელებმა
დილისთვის შენახული ატამი აიღონ
და სინათლე წავიდეს ოთახიდან...
როცა დაღონდები,
შეიძლება, შენც ისე გაგჭოლოს,
რომ ძვლებზეც არ წაიფორხილოს...
რა გინდა, ნელთბილი შეღავათები,
ვარდისფერი ლიბრეტოები შუაში?
თუ ეს სიმკაცრე იყოს
და პარალელური ხაზების გეშით იართო...

ღიჯა

ერთი ნასკვი თავში, მეორე — ფეხებში,
ლარზე გაჭიმული სკოლიოზი —
რამდენი ჰექტარი სიტკბოც,
იმდენივე ტკივილი.
ჩონჩხის ნახატი ძალადობას ვერ იტანს,
ყველა თავისი ბზარი უყვარს,
ყველა თიაქარი, დისკოზის სიცხარე —
ხერხემალში ჩატენილი მზის დისკოები?
ამ მეტაფორასაც ჩაყლაპავს,
გადახრების შესწორებას — არა.
რამდენი ტკბილი მკვდარი
უნდა გყავდეს მინაში,
რომ ვენახი ამოუშვან,
თითქმის, დედა?
რომელიც რეფრენებს არ ექვემდებარება,
მდინარის მკაფიო მაგალითივით,
არც ის იცის,
რამდენი ხორციც მაკლდება
აქსიომებთან ომში,
იმდენ შუქს ვჭამ
სანთლების ნათურების, გაზის ბალონების —
შეუძლებლობის ფორმულა?
ეკიდოს ცოტა ხანს ჰაერში!
დაინახონ.

ლია სტურუა

ზამთარი, ისეთი ხასიათის,
მდულარე წყალს რომ
ნარინჯისფერი ჭიქა უხდება,
ყოველდღე ქარი...
როცა ჩადგება, კბილებს ხეებზე ტოვებს,
მერქანი ტკივათ...
მათთან ერთად რომ დადიოდი,
ქარი მოცულობას გიკეთებდა,
სახლში ზიხარ და ბრტყლად ფიქრობ,
ქვასავით, გამრავლების ტაბულას მღერი.
კაციც რომ იყოს სადმე,
მარტოობა გაგიყოს,
მუცელს მთაზე, მაინც, ვერ მიგაბჯენინებს.
მრავლობით რიცხვს ბავშვები ქმნიან,
იზრდებიან და მიდიან,
ის დროც მიაქვთ
როცა მთვარეზე ხეები შრიალებდნენ...

უქლები შვილი

მოვალეობა. რამ სიმძიმეა!
გინდა, ათჯერ პირობითი დაარქვი,
ანგელოზი დაუსვი სასწორის პინაზე...
იმდენი სანთელივით წმინდა კანონი
შეურყიე ბუნებას
შენი გარყვნილი ფანტაზიით,
რომ მორიგი მისვლა მასთან
სახლში დაბრუნებას აღარ გავს:
არც მოზვერს დაგიკლავენ,
არც პურს მოგიტყუებენ
ჭიქა რძით
ვოკალსაც არ გაგაპრიალევენ ყელში.
დაბრუნდი და დაბრუნდი.
ახლა ბიბლიური სიხარული არ მოითხოვო!
შენ თვითონ უნდა გიხაროდეს
და ცოტა მიწასაც...

ზემგრძობიარე ფოტოაპარატი თვლებში,
ყურებში — სამრეკლო,
ზარებს ენებად
კონვენციური პოეტები აბიათ
ვინ ჩაამონტაჟა, რატომ?
ან ეს შუქი საიდან?
მანქანებმა რომ
ათასსანთლიანი ცხენებით გადაგიარონ
და სიბრძავის ბოლოში კაცი იდგეს...
სულ რომ იდგა,
მაგრამ შენ ახლა შეამჩნიე,
შენც სულ იდექი ფანჯარასთან,
ქინძისთავზე სისხლის წვეთივით
ამ ფანჯრით დასდევ
როდის ამოგიღებს გვერდითი ხედიდან?
დანგრეული რუტინის ემინია,
უხერხული ფოტოების,
მოქმედი პოეტების
ნორმალური მენიერის ადგილას?
და სახლიდან როცა ფანჯარა ხტება,
რომელიც შენ ხარ?
თავზე სისხლის წითელი ქუდით,
ბოლო შვილის გაუქმებული პროექტით?
(ტელევიზორი ხარვეზიანად აორსულებს)
ამ გენეტიკაზე რომ
ცხენის სიმბოლოთი გადაგიაროს!
სადა შეუძლია?
სიბრძავის ბოლოში დგას,
მოკვდება და მოვა,
სამძიმარს გეტყვის საკუთარ თავზე
კედელზე გააკარი სამაგალითოდ!
თუ ქების სიგელივით, ან რეკლამასავით,
ორივე უსისხლოა,
შენი ქინძისთავობაც გაუქმებული,
მენიერის პოეტობაც, ცხენების სუროგატიც,
სინყნარეს სწავლობ...

უკვე დაკარგულ ვხედავ ადგილებს,
შენატრება და ვერასდროს მივალ.
დავშორდე მიჭირს სწრაფად, ადვილად,
დავემშვიდობო უცბად და ცივად.

უკვე დაკარგულ ვისმენ აკორდებს,
მახსენებენ, რომ მიმყვება ვალი,
შეცდომა როგორ უნდა გასწორდეს,
დედამინა ხომ სულ ბრუნავს მრგვალი.

ღამით ქალები აღებენ ფანჯრებს,
უყვარდებათ და ვარსკვლავებს თვლიან,
იყოს ნარჩენი, ოღონდაც დარჩეს,
ოღონდაც დარჩეს... დაბრუნდეს გვიან

შლაში

მიდის ტალღა, რჩება ქვიშა, შლაში,
სანაპირო ჩაუფლია შლამებს,
ვერ ვიპოვნე ველარც ერთი წამი,
გამეცინა, რომ მივსდევდი წამებს.

მიმასწავლე, როგორ ავცდე განცდებს,
როგორ ვნახო შუქი, თუნდაც მკრთალი,
მიმასწავლე, როგორ გნახო სადმე,
მიმასწავლე შენი გზა და კვალი.

შენ იყავი ერთადერთი ქალი,
ვინც ისმენდა ჩემს არეულ ფრაზებს,
ირგვლივ მხოლოდ პლანეტები მრგვალი,
მოლოდინი მელოდება გზაზე.

მეუბნება: ნუ დაითვლი წამებს,
გათვლით მაინც ვერ მიაგნებ ნაპირს,
სანაპირო ჩაუძირავს შლამებს,
ჩაძირული სიყვარულიც არ ღირს.

პრიმიტიული სიგარტლი

ეპოქამ დაფანტა ხურდები,
აკრეფა ყოფილა მისია,
არიან კარგები, ცუდები,
იბრძვიან, ომობენ, ისვრიან.

ცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ,
როდესაც მთავარი ჯიბეა,
და ვიცი, მორჩება არასდროს,
ჰგონიათ, ცხოვრება კიბეა

ვერ მოაქვს საფეხურს სიმაღლე,
და ისიც იქცევა ხურდებად,
რად უნდა პრიმიტივის სიმართლე,
ის მხოლოდ აკრეფას უნდება.

ტყუილად სდებ ეშაფოტზე კისერს,
არ გაქვს თავი და მოგკვეთენ როგორ,
არ გაქვს, რადგან მოიტყუე ისევ,
მოელოდი შენ ბეკეტის გოდოს.

არ არსებობს ქვეყნად ნელი ჯვარცმა,
ნელა–ნელა გეკიდება ობი,
ვინ ხარ? — ისე რომ იკითხოს კაცმა,
თვითგვემაა, მგონი, შენი ჰობი.

მარტოობის სინოტივი

ვიცი, ძველია შენი მოტივი,
უბრალოდ მინის მორიგი ბრუნე,
და მარტოობა და სინოტივე,
აქვს მარტოობას სინესტის სუნი.

დავინყებულნი წიგნი მტკრიანი,
აორთქლებული ხვეწნა, ქადაგი,
მატარებელმა დააგვიანა,
არსაით მიდის ეს ლიანდაგი.

უბრალოდ ბრუნავს, სხვა რა დარჩება,
მარტო იმედის ნარჩენებს თვლიან,
შენ სხვა ვარსკვლავზე გასურდა გაჩენა,
არასდროს არ სწყვეტს, რომელიც კიაფს.

ვიცი, ძელია შენი მოტივი,
უბრალოდ ბრუნავს, ძმობილო ჩემო!
და მარტოობა და სინოტივე,
აქვს მარტოობას სიმზრალის გემო.

სირუხა

წვიმა ხანგრძლივი, რუხი ნესტია,
არ აქვს სირუხეს ფორმა, იერი,
სიცარიელეს ისევ ესვრიან
და გაიცინებს სიცარიელე.

რუხია ცა და რუხია მტკვარი,
უადგილოა ყველა ადგილი,
მინდა, ქალაქში მოვიდეს ქარი,
ქარი უეცრად ამოვარდნილი.

სიზმრის მონაკვეთი

და ერთხელ ენდო საკუთარ სინდისს,
კარი გააღო, აიღო ბარგი,
და იხსენებდა მონაკვეთს სიზმრის,
და მიყვებოდა მშფოთვარე დარდი.

და გაურბოდა ცარიელ კედლებს,
ცარიელს ჭერს და ცარიელ ბინას,
ცარიელ ახსნას, ცარიელ შედეგს,
ვერ მოისვენა სხვაგან და შინაც.

ვერ იბრუნებდა დაკარგულ საწყისს,
წერტილს – დასაწყისს გზის და იმედის,
და დაიღალა სიზმრების გათვლით,
ველარ ცხოვრობდა სინამდვილეთი.

კარი გააღო, ზღურბლზეა ჯერაც,
ზღურბლიდან მაინც არ სჩანს სამყარო,
და ბედისწერის ისევ არ სჯერა,
ისევ დასცინის შიშებს ფატალურს.

ზღურბლიდან მხოლოდ მირაჟი მოსჩანს
და მონაკვეთი სიზმრის წყვეტილი,
და ერთხელ სინდისს მიენდო როცა,
მიხვდა, გამქრალა ყველა წერტილი.

რას ეკითხება მირაჟს მირაჟი,
რას გეუბნება, დაგტოვა ვინაც,
რა ინერება ჭირხლით მინაზე,
უსიყვარულოდ როდესაც ყინავს?!

ალბათ, არსებობს

ალბათ, არსებობს იქ სადმე ხიდი,
რომლის გადასვლას ვცდილობ და ვლამობ,
მე ბოდიშს გიხდი, მე ბოდიშს გიხდი,
ამ გულუბრყვილო ლექსების გამო.

ალბათ, არსებობს სხვა ბედი, სხვა ხსნა,
უმჯობესია ვიყო მდუმარე,
მე ბოდიშს გიხდი, ვერ შევძლე ახსნა,
რომ მე ვარ მხოლოდ შენი სტუმარი.

ალბათ, არსებობს სხვა ფერი, ფონი,
სხვა სიმართლე და სულ სხვა სისწორე,
ბოდიშს გიხდი, რომ დავკარგე ღონე,
უაზროდ, მაგრამ ბევრი ვიბრძოლე.

ალბათ არსებობს სიტყვაც, პირობაც,
არსებობს ნატვრა, მცირეც და დიდიც,
არის ნაპირი, უნაპირობაც,
და არის სადღაც ის ჩემი ხიდიც.

არის სიმდორე, არის დინება,
ალბათ, არსებობს სინყნარეც, ტალღაც,
მე ბოდიშს გიხდი, მიჭირს მიგნება,
იქ სადმე ერთად ვარსებობთ ალბათ.

დასაწყისი პირველ გვერდზე

კაციც უყურებს. მუქი ლურჯი თვალე-ბი ჰქონია. სწორედაც რომ ცეცხლი. ოლონდ უფრო ღრმად, შიგნით. ანუ და-დარი. და ნია ცხოვრებაში პირველად გრძნობს თავს უხერხულად. იქნებ ეს ის უხერხულობა და რიდია, მისი ქვეყნის ქალები უცხოელ მამაკაცებთან რომ გან-იცდიან. რადგან რაღაც განსაკუთრებულ, უფრო მაღალ არსებებად ეჩვენებათ. ისევე, როგორც მისი ქვეყნის მამაკაცები — უცხო-ოელი ქალები. ნიამ გეოპოლიტიკური ფსიქოანალიზისა არაფერი იცის, მაგრამ გულში მაინც ფიქრობს, რომ ეს ალბათ პა-ტარა ქვეყნის ადამიანების კომპლექსია — მოსწონდეთ და ეუფლებოდნენ დიდი ქვეყ-ნის წარმომადგენელ ადამიანებს.

რისი სიმბოლოც და ვინც უნდა იყოს ჯორჯი, კაცი ყველგან კაცია. ხოლო ნიას სილამაზე ზოგადსაკაცობრიო. და გოგოც იქნის ფეხზე იდებს. მკაცრად კლასიკური, მაგრამ გვერდზე შესხნილი კაბიდან კრთე-ბა კოხტა ბარძაყს მჭიდროდ შემოკრულ წინდაზე მიქარავალი ორნამენტი.

ჯორჯის მზერა დაბნეულია, მაგრამ მხ-ოლოდ მზერა. ნია მისთვის მორიგი სილამა-ზანია, რომელსაც ფაიფ ო ქლოქ თიის დას-რულებისთანავე დაივინყებს. ჯორჯის ცხ-ოვრებაში მრავალი ქალი ყოფილა მხ-ოლოდ გავლით. ჯორჯს არ სჯერა სიყ-ვარულის და ეშინია შერყვის. სექსიც კი, მოწყენილი კაცობრიობის ეს უკანასკნელი გასართობი, მისთვის უკვე მოწყენილი გასართობია... ამიტომ ერთსა და იმავე ქალს შეიძლება თვეში ერთხელ, საერთო ჯამში, სამ-ოთხჯერ შეხედეს. ფიქრობს, რომ ეს ის მაქსიმუმია, რომლის იქითაც ქალთან შეჩვევის საფრთხე იქმნება.

არა, ჯორჯს არ ეშინია ქალების. უბრალოდ, ადამიანებთან უსაქმო და ხან-გრძლივი ურთიერთობა ღლის, უსარგე-ბლოდ და დროის ამაო ფლანგვად მიანჩნია. შესაძლოა, თავიდანვე ასეთად, სოციალ-ური აუტიზმით დაავადებულად დაიბადა. ან იქნებ, მიზეზი მის ბავშვობაშია. ფინან-სურ ანგარიშებში მუდმივად თავჩარგული მამის, სხვადასხვა სასიყვარულო ისტორი-აში გახლართული დედისა და ერთნაირად უსახური კიბერ-ძიძების ცვლაში. ამ მხრივ ნიას და მისი ბავშვობა დიდად არ განსხ-ვავდება ერთმანეთისგან. რა მნიშვნელო-ბა აქვს მშობლის გულგრილობა გააზრე-ბულია თუ უნებლიე.

შესაძლოა, ისინი ანმყოფი ცვანან ერთმანეთს. ნიას ცხოვრებაშიც გავლით ყოფილან კაცები, იმ განსხვავებით, რომ მთელი მისი დრო მათ ეკუთვნოდა. ნია გა-ბეზრებულია სასათუმლის ისტორიებით, სხეულთა ხახუნითა და ამ ხახუნისგან გაჩე-ნილი ტყუილი ცეცხლით... მათი შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნის ორი მარტოსულის გზების გადაკვეთაა აქ, ამ ქალაქში, სა-დაც ჯორჯი ასევე გავლითაა, შაბათ შუადღიდან კვირა საღამომდე. და ჯორ-ჯის შეთავაზებას, საელჩოში დაწყებული ჩაის სმა რომელიმე კაფეში გააგრძელონ, ნია მომავალდებელი ღიმილით თანხმდე-ბა.

კაფეებით სავსე ვიწრო ქუჩაზე ჯორჯი ერთ-ერთს არჩევს. იტალიურ რესტორან-ში, სადაც რატომღაც თეთრი, ჩინური ფარები ჰქონია, ჩაის ნაცვლად ფრანგულ ღვინოს სვამენ. ნიას გნებაც ღვინოსავით სწრაფად ეკიდება. სწრაფად... სწრაფად... ეს ცხოვრებაც სწრაფია, ძალიან სწრაფი. უნდა იჩქაროს. ძალიან უნდა იჩქაროს. სი-ოცხლისთვის გამოყოფილი დრო ცოტაა, ურთიერთობებისთვის, საუბრისთვის, და თვალბეჭდის ცქერისთვის გამოყოფილი — კიდევ უფრო ცოტა.

ამ ჭეშმარიტებას მოგვიანებით აცნო-ბიერებს. მაშინ, როდესაც ზურგზე ცივი წყლის ნაკადი ხვდება. წყალი ონკანიდან მოდის და ზურგს უსველებს. კაფის ტუა-ლექტში პირსაბან ნიჭარაზე ზის, ფეხები ჯორჯის ნელზე მოუხვევია და მთელი ტან-ით ეკვრის. ეს-ეს არის გაათავა და გონე-ბადბინდულს ონკანიდან მოულოდნელად წამოსული წყალი უსიამოდ აფხიზლებს. როგორც ჩანს, უკვე ბოლოსკენ იდაყვი აეკრა და ონკანიდან წყალი წამოვიდა. კაცის მხრებს ყურდნობა, ქვეითდება, ძირს დაგდებულ პიჯაკს იღებს და სველ, შიშვე-ელ ტანზე იცვამს. ფიქრობს, რომ ყველა წესი და რიტუალი დაარღვია, როდესაც ეს ასე მალე, გაცნობიდან რამდენიმე საათში და თან კაფის ტუალექტში გააკეთეს. ისევე უხერხულობის გრძნობა იპყრობს და ჯორ-ჯს ეკითხება, არსებობს თუ არა ინგლისურ ტრადიციებში თენ ო ქლოქ სექსი. ინგ-ლისელი იცინის, მის განწინდებულ თავს ხელებში იქცევს და ტუჩებში კოცნის. მერე

შარვალს იკრავს, მოშვებული ონკანიდან წამოსულ წყალზე თმას ისწორებს და ხე-ლებს იბანს.

სახლში დაბრუნებულ ნიას, პირველ რიგში, კაცის ეს შესტი და მოძრაობა ახ-სენდება: როგორ იბანს ხელებს. ახსენდე-ბა და სიგარეტს უკიდებს. რაღაც ამწარებს და ნერვებს უშლის ამ კაცში. ის, რაც ამავე დროს იზიდავს და მისი ნახვის სურვილს უჩენს. სავიზიტო ბარათს დაჰყურებს. ჯორჯ ქენდლი — მობილური ტელე-ფონების კომპანიის სამეთვალყურეო საბ-ჭოს თავმჯდომარე. ნიას ეცინება იმაზე, რომ ამ გვარს სმარტფონებზე უფრო, ელექტრონული წიგნები მოუხდებოდა. და რაც მთავარია, მასზე, რომ ვერც ამჯერად აცდა „სამიზნე ჯგუფს“ და საყოველთაო ჭეშმარიტება — ფული სიყვარულზე მეტად აღაგზნებს — აქაც და ახლაც მუშაობს.

ჯორჯსაც ახსენდება ნია. ორი დღის შემდეგ ლონდონში. ძილის წინ. საკუთარ ბინაში. ღამეა. ქალაქის ცაზე წვრილად სხდებიან ვარსკვლავები და აეროპორტში დასასხდომ რიგში წრეზე მფრინავი თვით-მფრინავების ფრთები და კუდები წითლად ანათებს. ჯორჯი ჩაის იღუღებს. საჩაიში იაპონურ ყვითელ სენჩას აყენებს. ჭიქაში ასხამს და მოტლანდიურ ვისკის ამატებს. ახსენდება ბიბისის მიერ გადმოცემული ცნობა იაპონურ ჩაიში აღმოჩენილი ცე-ზიუმის შესახებ. თავს აქნევს, უსიამოვნო ფიქრებს იშორებს. ოდესმე ხომ უნდა

თონა დოლენჯაშვილი

რეალური არსებები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



დაივიწყოს ეს ინფორმაციულად მონამ-ლული სამყარო. სავარძელში ჯდება, ჩაის სვამს და საღამოს გაზეთებს შლის. მოპირდაპირე კედელზე მობეზრებული ცოლივით თავისთვის რაღაცას დუღუნებს ტელევიზორი.

ჯორჯს ცოტა ხნით თვალი ტელევი-ზორის ეკრანზე უჩერდება, სადაც მსოფ-ლიოში ყველაზე დიდმკერდა ქალს აჩვენებენ. ქალს წითელი, ალბათ ყველაზე ნელვადი ქსოვილისგან შეკერილი მაისური აცვია და ორივე მხარეს უზარმაზარი, შვიდ-შვიდ კილოგრამიანი ძუძუ ჰქონია. ჯორჯს მსუფო ფორმები არასდროს იზიდა-ვდა, მაგრამ ახლა ამ ქალთან სექსიც კი წარმოუდგენლად მიანჩნია. მკერდის მასის გამო მასთან არაერთი სექსუალური პოზა ირიცხება. ერთადერთი შეგვიძლია იმით იამაყო, რომ საკუთარი ღირსება მსოფლი-ოში უდიდეს ძუძუებს შორის შეყავი.

სწორედ აქ ახსენდება ნია. მრგვალი, კოხტა საჯდომით პირსაბან ნიჭარაზე შე-მოსკუპული. მკერვი მკერდი და მუქი თაფლისფერი, გამომწვევად აბზეცილი კერტები. ვენების ჟრჟოლა უგლის. უნდება. თვე კი არა, ჯერ სულ რამდენიმე დღე გავი-და, მაგრამ ისე უნდება, სიამოვნებით დაარღვევდა ყველა აქამდე დადგენილ წესს. ნდობისთან ერთად ნუხილსაც გრძნობს. ნუხილს, რომ ახლა და ამ წამს ამ ვენების დაკმაყოფილება არ შეუძლია და ამის გამო ჩვეულ სიმშვიდეს კარგავს. ეს აღიზიანებს. ეს ალბათ ერთადერთია, როდესაც თავს ვითარების ბატონ-პა-ტრონად ვერ გრძნობს, გამოსავალი ერ-თია და მარტივი — სასწრაფოდ და-იცხროს ჟინი.

სამუშაო განრიგს უყურებს. მომავალ პარასკევამდე ვერსად წასვლას ვერ შე-ძლებს, იქამდე შესაძლოა სურვილმაც გაუაროს და საერთოდ დაივიწყოს ის გოგოც და ის ქვეყანაც, თითქმის მისი სახ-ელის მსგავსად რომ გამოითქმის.

მირიანი საკუთარი სახლის კარს ქურ-დივით ჩუმად, უხმაუროდ აღებს და ფეხ-აკრეფით შედის. სახლში სიჩუმეა. ისეთი სიჩუმე, თითქოს ზღაპრული მეფის ასულს ასწლოვანი ძილით სძინავს და მასთან ერ-თად სხვა ყველას და ყველაფერს დანარ-ჩენს. ასეცაა. მეფის ასულს თუ არა, ბოროტ დედინაცვალს — ნამდვილად. სამ-უდამოდ თუ არა, ცოტა ხნით მაინც. და ეს სავსებით საკმარისია.

საძინებლის კარი მიხურულია, მირიანი ცოლს ვერ ხედავს, მაგრამ ზუსტად იცის, როგორ სძინავს ახლა თანამეცხედრეს. პირქვე, თეთრ საღამურსა და საბანში გახ-ვეულს, ძილისგან მოდუნებული, გულზე მისიონერივით მიკრული ხელებით, ოღნავ გაღებული პირით, საიდანაც, საბედნი-ეროდ, ახლა მხოლოდ თანაბარი ფშვინვა ისმის და მეტი არაფერი...

მირიანი ფეხსაცმელს იხდის და ფლოსტებსა და სახლის ტანსაცმელში მომინაურებული ტელევიზორთან ჯდება. იმას, რასაც ახლა გრძნობს, ზედმინევით შეესაბამება სიტყვები „შვებით ამოსუნთქ-ვა“. მეტიც, მირიანი ბედნიერია. დიდი ხანია მისი „ბედნიერება“ სწორედ ამ წყალგამყ-ოფზე ტიფტივებს — სადღაც ლანასა და ქეთას შორის. როდესაც მის გვერდით არც ერთია და არც მეორე. როდესაც ქეთას-გან შინ ბრუნდება მშვიდობით. როდესაც გადარჩენილია ქეთას მძვინვარე ვნებები-

ლი. ქვიშაზე განოლილი გოგოების გვერ-დით ზის. კადრი იცვლება და თამაშის ნაცვლად ახლა უკვე მათ ცხელ, ატკეცილ ზურგებს, გახურებულ დუნდულებს უყურებს. მიკას უნდა, გოგოებს შეეხოს. ისინი იმდენად ახლოს არიან. მათი სხ-ეულების ფეხბურთის ბურთივით მრგვალი ფორმები, როგორც პორნო ფილმებში, ისე გადიდებულია და ცხვირწინ მოტანილი, ხელის განწვენიაც არ უნდა, მაგრამ მიკა გაშვებულია, იცის, რომ არ შეიძლება. არა იმიტომ, რომ სადმე, ახლომხლოს ჩასა-ფრებული ლანა-ქეთას კრებითი სახე უც-ქერის, არამედ იმიტომ, რომ უკვე ძველია, მეტისმეტად ბებერია ამ გოგოებისთვის...

მიკა ხვნეშის, ეღვიძება. უეკირს, რომ სექსუალური ენერჯია, რომელიც ქეთას თითქოსდა ბოლომდე გამოწოვა, ცოტა ხნის შემდეგ ისე აღდგა და გაცოცხლდა. ქეთას გახსენებაზე ზიზღის გრძნობა ეუ-ფლება. ყოველთვის ასეა. კარგა ხანია დაასკვნა, რომ ქეთა სძულს. არა მხოლოდ იმის გამო, რომ ქეთასთან სექსის მერე თავს რაღაც ბლანტ და წებოვან ცხიმში ამოვ-ლებულად გრძნობს. ქეთა ეზიზღება ისე, როგორც დამნაშავეს — თანამოაზრე, მკე-ლელს — თავისი მოწმე. ყოველი აქტის დროს, დასაწყისშიც, პროცესშიც, მერეც, ფიქრობს რომ სადღაც იქვე ბავშვი კვდება და ისინი მაინც აკეთებენ ამას. სხვისი სი-ცოცხლის ხარჯზე. აი, იმ ყველაზე მნიშ-ვნელოვან და ძვირფას ნამებში, განწი-ფლობის, სასონამაზის, სიცოცხლის და სიკვდილის ზღვარზე ეძლევიან ერთმა-ნეთს. ეს გავს მკვლელობას. და მეტს არაფერს. როდესაც ქეთას ზემოდან აწევს და მასში შედის, ან თითონ ქეთა უპირებს თავისი უზარმაზარი ძუძუებით გადათელ-ვას, ეხება სიკვდილს, მის მძიმე ტორებს. და იმის ნაცვლად რომ შეწყვიტოს, პირი-ქით, ტემპს უმატებს. ჰო, იცის, იაზრებს, რომ საშინელებაა, მაგრამ თან რომ უფრო აღაგზნებს და ამგებებს?..

ნამდვილად ასეა. მირიანს სძულს ქე-თას ზორბა, ხორცსავსე სხეული. სძულს ეს ავბორცი ქალი, მუდამ მზადყოფნი, სვე-ლი და მომლოდინე. სძულს, მაგრამ ვერც ეშვება. სძულს საკუთარი თავიც. ამ საზა-რელ ვნებაში ისინი ერთად არიან. დამნა-შავენი. მკვლელობაში თანამონაწილენი. ერთად რომ ისტუმრებენ იმქვეყნად უმან-კო ბავშვებს. შვილებს, რომლებიც უნდა ეშვათ და გაეზარდათ...

„წმინდა სისხლის. ხუთი წლის. არა სა-დოლედ, არა საგამოფენოდ, არამედ სელექციისთვის“. საჯინიბო საქართველოს მთებშია. ტელეფონზე გამართული ინგლი-სურით პასუხობენ. ოდნავი აქცენტით. მე-პატრონის დახასიათებით სწორედ ისეთი ულაცია, როგორსაც ეძებდა. დანარჩენს ადგილზე ნახავს. სიმათლე ითქვას, საქართველოში მეორედ ჩასვლის მიზეზი მარტო ცხენი არ არის. მაგრამ არც უმაგ-ისობაა. ბევრი მიიჩნევს, რომ ჯორჯი უგ-ულო მიზანთარობა და შესაძლოა ასეცაა. თავადაც არაერთხელ უფიქრია, რომ ცხ-ოველები, განსაკუთრებით ცხენები, ადამი-ანებს ურჩევნია.

ასე გადანყვიტა. ერთი კვირით წავა. თან ცოტას დაისვენებს. ალბათ საინტერე-სოა საქართველოს მთა. კავკასია. ველური, უცხო, ყრუ — არა, ჯორჯი ასე არ ფიქრობს. თანამედროვე სამყაროში ასე-თი ადგილები აღარ არსებობს. თითქმის აღარ არსებობს. მთის ცხოვრება, რიტუ-ალები, ძველი და ველური ეთნოსი ნიშნე-ბის სახით მხოლოდ ეგზოტიკისთვისაა შე-მონახული, ტურისტების მისაზიდად. ჯორჯს არ აინტერესებს ტურიზმი, ახალი ადგილები, კულტურა, სამზარეულო. მისი მოგზაურობები ხანმოკლეა, საქმიანი. ყოველთვის კონკრეტული მიზნისთვის განსაზღვრული. ამჯერადაც ასეა. ცხენს ნახავს, იყიდის და წამოიყვანს. და დანარ-ჩენი ექვსი დღე? თვალწინ ნია უდგება. მის წინ დგას და კაბას ხდის. ყელზე კოცნის. თბილა.

ეს სურათი კიდევ რამდენჯერმე გაუმე-ორდება. თვითმფრინავის სალონში მჯ-დომის და მერე უკვე სასტუმროში, ნიას მოლოდინში... გამეზარებამდე ერთმა-ნეთში სულ სამი-ოთხი წინადადება გაცვალეს, როდესაც მთაში ერთად დას-ვენებაზე შეთანხმდნენ. არ დაურეკავს. არ უყვარს, როდესაც ტელეფონის გაბმული ზუმერი ესმის, როდესაც ელოდება, როდის უპასუხებენ. როდესაც არ იცის, როგორ გაიჟღერებს ხმა მეორე ბოლოში, რა სი-ტყვეებს წარმოთქვამს. ახნევს ინტონაცია, რომელსაც ყოყმანი ეტყობა, მისთვის არასასურველი ემოცია სდევს. ამიტომ

მშრალი სატელეფონო შეტყობინება გაუგზავნა. პასუხმა დააგვიანა. მალევე მიაციოლა მეორე, მხოლოდ ამჯერად უსიტყვო — „?“ პასუხი ათის წუთის მერე მოვიდა. ასევე მოკლე და მშრალი: „კარგი. ჩამოვალ.“ და ღიმილის ნიშანი ☺. არ უფიქრია, რომ უარს ეტყოდნენ, მაგრამ მინც გაეხარდა სწრაფი და მარტივი თანხმობა. სასტუმროს სახელი და მისამართი მისწერა, ჩასვლის დღე და რიცხვი. ისევ დასტური, მოკლე — „O.K.“ ნია მასსავით ძუნწია კომუნიკაციისას. შეიძლება, ცდილობს მისი მსგავსი იყოს. არ გადააჭარბოს. ან შეიძლება მართლა ასეთია.

თვითმფრინავი თბილისში დილის ხუთ საათზე ჩაფრინდა. აეროპორტში ტაქსი აიყვანა და პირდაპირ აქ მოვიდა. ახლა სასტუმროს ტერასაზე დგას და მთებს უყურებს. სისხამი დილაა. ცივი და სუფთა ჰაერი ფილტვებს უსერავს. დათოვლილი მწვერვალი ხელისგანვდენაზეა და მთის წვეროდან წამოსული ნისლიც მის წინ დგას. მზე ამოდის, ღრუბელს და ნისლს შორის იჭრება. მთა, ცა, ნისლი, მზე, თოვლი. ყველაფერი ერთად. დიდებულია!

საუბნობისას მოუთმენლობა იპყრობს. ხომ შეიძლება, ნია არ ჩამოვიდეს. უბრალოდ, გადაიფიქროს და აღარ ჩამოვიდეს. ამის წარმოდგენაც კი არ უნდა. სურვილი, ამ ნისლში ჩაფლულ დილას ნიას მოეხვიოს, იმდენად დიდია, ყველაფერს ავიწყებს. ჯორჯი იმით რიცხვს არ მიეუთვნება, დიდხანს ლოდინი რომ შეუძლიათ. ვნებამ რომ არ დანავს, საჭიროა სწრაფად ჩააქროს. ყოველთვის ასე აკეთებდა და პრობლემები არასდროს შექმნია, ოდნავი ტკივილიც არ უგრძობია. ჯორჯმა, რა თქმა უნდა, არ იცის, სად არიან ახლა ის ქალები, რომელთაც ეალერსებოდა და შემდეგ სურვილის დაკმაყოფილებისთანავე ივინწყებდა. საინტერესოა, ახსენდებათ თუ არა მათ ჯორჯი, და თუ ახსენდებათ, როგორ? უმეტესად, ალბათ წყენით. ბრაზით, რადგან მათთვის ურთიერთობა შუაში განწყვეტილი, დაუსრულებელი იყო, ისინი ენთუბოდნენ, ხურდებოდნენ და... სწორედ ამ დროს აღმოაჩენდნენ, რომ ყველაფერი დამთავრდა. მოკლედ, ჯორჯი სიყვარულში სპრინტერია. სტარტი, გარბენი, ფინიში. გრძელ გზაზე მართონული, ქანცამწყვეტი ძუნძული — მხოლოდ საქმეში.

რატომ იხსენებს ახლა ამ ყველაფერს. ალბათ იმიტომ, რომ ნია ავგიანებს და ეს ადარდებს. რომ არ ჩამოვიდეს, გამოვა, რომ სამაგიერო გადაუხადებს...

მიუხედავად იმისა, რომ ცივა, ტერასაზე ყუზმობს. ყავას სვამს. შავ პურს და აქაურ ყველს ჭამს. ცხიმიანი, მოყვითალო, ზომიერად მარილიანი ყველია. ამ გემოს შერევა უნდა. ნასაუზმევს საჯინიბოში მიდის. გზის მაჩვენებლად სასტუმროს მენეჯერი ბიჭს აყოლებს. 16-17 წლის იქნება. ბიჭმა ინგლისური არ იცის, ამიტომ წინ მიდის და ჯორჯი უკან მიყვება. სამანქანო გზას ცდებიან, ჯერ მინდორ-მინდორ მიდიან. მერე სოფლის გზაზე. უმეტესად საოჯახო სასტუმროებად გადაკეთებული სახლები ხვდება. მერე უკვე უფრო ღარიბული, ნაცინიფერი ქვისგან ნაშენი ხის აივნისანი სახლები. საკვამურებიდან ალაგ-ალაგ კვამლი ამოდის. საძოვარზე ნახირს მირეკავენ. სოფლის სკოლის თუ ადგილობრივი სამრეკლოს ზარის ხმა და მამლის ყივილი ისმის. ნისლი ვინრო გზაზეც დგას, რომელიც აღარ იღვეა და შემოთ, მთის მწვერვალისკენ მიდის. ჯორჯი ეჩვენება, რომ ეს, უზარმაზარ მთებს შორის მოქცეული სოფელი, მინაზე კი არა, ცაშია გამოკიდებული. არარეალურია. სიზმრისაა. და თავადაც აქ მოხვდა, სამყაროს ბოლოში. მარტოობას არასდროს შეუწუხებია, მაგრამ ახლა ეს სხვა მარტოობაა. უფრო უცხოობაა. ამ უცნაურ ცასა და მინას შორის, სიზმარში დაკარგვას ჰგავს. მისდაუწებურად ტელეფონს დახედავს. ტელეფონი ქსელშია.

ბიჭი თავს უქნევს და ხელით ანიშნებს. მივიდნენ. გრძელი, ასევე რუხი ქვით ნაშენი საჯინიბოა დიდი ეზოთი, სადაც ალბათ ცხენებს ათვინიერებენ, აჭენებენ. საჯინიბოში შედის. თავლებს ჩამოუვლის. ათვალიერებს. ცხენების შავ, ნაბლისფერ, თეთრ ზურგებზე ხელისგულს ატარებს. სველ დრუნჩებს ეხება. მათი ფრუტუნია და თვის სუნი ამშვიდებს. თავს გაცილებით უკეთ გრძობს.

უკანა გზაზე ცხენებით ბრუნდებიან. მოკლე კვა ყოფილა და რა შორი იჩვენა. ეზოში ქვეითდება. ცხენები ბიჭს მიჰყავს. თვითონ ნომერში ადის. ნია ისევ არ ჩანს. გული ეწურება. ბანაობს და საწოლზე გულადმა წვება. ჯერ ჭერს უყურებს, მერე ისევ ფანჯარაში შემოჭრილ თეთრ

ღრუბლებს. ლურჯ ცას. ითიმება.

ვერ ხვდება რამდენი საათი ეძინა. შუადღეა თუ საღამო. თვალს ახელს და ისევ ფანჯარაში შემოჭრილი ცისკენ იყურება, მაგრამ მის ნაცვლად საწოლის კიდზე ჩამოძვდარ ნიას ხედავს. ლურჯი, ტანზე მომდგარი შირვალე აცვია, მაღალყელიანი ჩექმები და თხელი, თეთრი ქურთუკი. თმა კეფაზე აქვს ახვეული. რომელიც უცხო ყვავილის სუნი ასდის. ისევე ის სასიამოვნო, რომ წამით გონება ებინდება. ცდილობს, არ შეიმჩნიოს რამდენად გაეხარდა მისი დანახვა. სიხარული, სითბო, სურვილი, ვნება — ყველაფერი ერთად აწვევა და წამით ისევ თვალს ხუჭავს.

— როგორ ხარ? — ჩაესმის ნიას ხმა. — კარგად, — პასუხობს და ხელზე ხელს ჰკიდებს, — ძალიან კარგად, — თავისკენ იზიდავს. ეხვევა, ტურნეში კოცნის. ზუსტად ისაა, რაც უნდოდა. სწორედ ეს გემო, სუნი, სუნთქვა ეძახდა. ეს გულისცემა. ქურთუკს ხდის და ხელებს მაისურის ქვეშ უცურებს.

როგორ შეიძლება ეს მკერდი მხოლოდ ხელისგულს ეყოს. სურვილისგან გამკვრივებულ კერტებს ცხელ ტურნეში იქცევს. თვალდახუჭული კოცნის. ნიას მსუბუქი ამოკენსა კიდევ უფრო ახელებს. თმას უშლის. ამიშვლებს. იქამდე, ვიდრე მასში შევა, საღამოს მზეში განათებულს დაჰყურებს. ნია თვალმოჭულული უღიმის და ხელებს სურისავით მთელს ტანზე ახვევს. მეტის მოთმენა აღარ შეუძლია. ეს შემოიღობა, ეს უწონადობა ალბათ ამ ცაში გამოკიდებული ადგილის ბრალია. ამ ქალის ბრალი, ახლა ასე ძალიან რომ უნდა.

ქეთა სილამაზის სალონიდან გამოდის. შუქნიშნისა ჩუჩას ჭრის. ტანსაცმლის მაღაზიების ვიტრინებს ათვალაიერებს. ვიტრინებში — ტანსაცმლის და საკუთარ, შიგარეული სილუეტს, ახლადმეტყობს თმას, იმას, თუ როგორ მოძრაობს, როგორია. მხრებში სწორდება, მუცელს ისუნთქავს, მკერდს ზნექს. თმას — ნიავე და თვალს — ეშოი. იფ, იფ... მოკლედ, ყველაფერი რიგზე! ჯერ კიდევ შეუძლია, ქუჩაში გამველეთა ყურადღება მიიქციოს. არა მხოლოდ მისი ასაკის კაცების, უფრო უმცროსების. სულ პატარა ლანჩაკებისაც კი.

ქუჩაში ნახევარსაათიანი სეირნობა ქეთასთვის თვითშეფასების ამაღლების სავარჯიშოებია. შემონეშულია. გუნება-განწყობის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც უკეთ მუშაობს, ვიდრე რელაქსაციური მასაჟი ან ფსიქოლოგის კონსულტაცია. მაღაზიაში შედის. ტანზე მომდგარ ლურჯ კაბას არჩევს. სარკის წინ იზომებს. მოსწონს. გარუჯულ სხეულს მოუხდება. შაბათ-კვირის ზღვის სანაპიროზე გატარება მისი მორიანთან ერთად გეგმავს. სასტუმრო უკვე დაჯავშნა. ზღვა, ოქტომბერი, ხავერდი...

სახლის კარი ღიაა, მაგრამ შიგ არავინაა. მალაქუსლიანი ფეხსაცმლიდან ჩამოქვეითებული ქეთა ოთახებში დადის, მაგრამ თუნგ არასად ჩანს. ქეთა აბაზანაში შედის და კარს ოდნავ შეღებულს ტოვებს. ცოტა ხანში წყლის ჩხრიალი ესმის, როდის შემოდის თუნგო სახლში. როგორც ჩანს, მარტო არაა, რადგან ვიღაცას ელაპარაკება. ვიღაცას ან ვიღაცებს. ბანაობას ასრულებს თუ არა, პირსახოცის ხალათოცმული პირდაპირ სამზარეულოსკენ მიემართება, სადაც თუნგოს უკვე პატარა, სახელდახელო სუფრა გაუშლია. ტრადიციული: თევზი, ლუდი, არაყი. სამზარეულოში კიდევ ორი, ქეთასთვის უცხო კაცია. ერთი პომიდორს ჭრის. წინ მაცივრიდან გამოღებული ბოსტნეული შეყვია. სალათს ამზადებს, ასე ვთქვათ. მერე, უფრო მოუთმენელი, მაგიდასთან ზის და ჭიქაში ჩამოსხმულ ლუდს სვამს. მის დანახვაზე პირველი პომიდორს თეფშზე დებს და თუნგოს უყურებს, მეორე — ჭიქას მაგიდაზე და ქეთას ამტერდება. ჯერ ისევ სველ და ხალათის კიდეს დაუდევრად ამოფარებულ მკერდზე.

ქეთა დაკვირვებულია, რომ თუნგოს მოყვანილი, საიდანაც გამომტყვრალი სტუმრები უმაღლესად აღიზნებულნი ითხებიან, ალბენ მაცივარს, კარადებს, აწყობენ ჭურჭელს, ჭრიან პურს, ყველს, ეძებენ გადანახულ სასმელს. ქლესა ღიმილი, ზედმიწევნით თავაზიანი სიტყვა-პასუხი, აუტანელი ფაბილატოლობა. რამდენიმე წუთში შექმნილი ოჯახის წევრები. ქეთას ახლა ეჩვენება, რომ მართლაც ასეა, რადგან ის ორი ისე წააგავს მის ქმარს, თითქოს გარეთ გასული თუნგო გასამდა. სხვადასხვანაირები არიან და თან სამივეს

ერთი სახე აქვს, სამივეს უბრალოდ აცვია, ასე თუ ისე სუფთად. ალკოჰოლიზმის იმ სტადიაში არიან, როდესაც ცდილობენ, გარეგნულად მინც არ დაემსგავსონ ქუჩის ლოთებს, ბინძურ და აქოთებულ მანანალებს. სველი სავარცხლით საგულდაგულოდ დაავარცხნილი განებილი თმით და სევდიან ინტელიგენტური იერით უმუშევარ ლექტორებს წააგვანან და შესაძლოა, ასეცაა. ყველაფერი შეიძლება იყვნენ, სულაც ნობელიანტები, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ყველაფერი წარსულშია. დანვრილებული და მღვრიე თვალები, ფეროვანი სახის კანი, აკანკალებული თითები აწმყოში ყველას ერთ სახელს არქმევს. ყველა კოლექტიური თენგოა. მის სახლში, მის სამზარეულოში, მის საწოლში შემოსული. ჯერ უაზროდ გაკრეჭილი, მერე ბლუკუნით მოლაპარაკე და ბოლოს უგონოდ გაღმეილი, საკუთარ წარწყვეტი მოცურავე თენგო.

— ქეთათ... უკვე დაბრუნდი? მეგონა სამსახურში ხარ, — ჯერ კიდევ პირველ სტადიაშია და დაბნეული უღიმის ნამდვილი თენგო.

— არა! როგორც ხედავ, სახლში ვარ. გამარჯობა! — ქეთას მიერ წარმოთქმული გამარჯობა ისეთ აგდებულ ტონსა და ცხარე ინტონაციაშია წარმოთქმული, როგორც სიტყვა — „გაეთრიეთ!“

— მოგესალმებით, ქალბატონო ქეთევან, ბევრი რამ გვსმენია თქვენზე, — ამბობს მის უბეს ურცხვადმიტერებული სტუმარი თენგო და ხელზე ისე კოცნის, იმ ქეთასაც კი გულს ურევს, კაცები და მათი ყოველგვარი თავყვანისცემები რომ უყვარს.

— გამარჯობა. უკაცრავად რომ შემოგეჭრით, — ბოდიშობს სტუმარი მზარეული თენგო. ალბათ უფრო იმიტომ, რომ სახლში ფეხის შედგმისთანავე მაცივარსა და იმ დიასახლისის როლში შეიჭრა, რომელიც ახლა მის წინ დგას.

— ეს გელაა. ეს კიდევ... მმ... აჩიკო, — სტუმარ თენგოებს აცნობს ცოლს ნამდვილი თენგო. კარგია, რომ სახელები ახსოვს! თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ამათი სახელებიც წარსულშია.

ქეთა სტუმრებს არ უყურებს. არ აინტერესებს. ხალათის ჯიბეებში ხელჩანყობილი ქმარს თვალს თვალში უყრის და კბილებში ცრის:

— ხვალ ბებეს დღეა! თუნგოს სახიდან ღიმილი ეშლება, პატარავედება. ცოტა ხნის წინ ხომ ამდენი იყო და ახლა ლამის საერთოდ გაქრეს. აცრემლებული თვალებით უყურებს, მაგრამ თვალებით ისედაც სულ ასე აქვს. განსაკუთრებით, ვიდრე დალევს.

— პო. აი, ბიჭები აქ ცოტახ... ისა... ვისადილეთ. შესანდობარს ვიტყვი. და...

ქეთა სამზარეულოს ტოვებს და ოთახის კარს მთელი ძალით იჯახუნებს. რატომ არ გაშორდება ამ ლოთს? რაში ჭირდება? რატომ კინწისკვრით არ გააგდებს სახლიდან? რატომ?! იმიტომ?! იმიტომ, რომ... არ უნდა მარტოხელა, ქმარს გამორეებული ქალი ერქვას. რატომ არ უნდა? თუნდაც იმიტომ, რომ ლანასთან რინგზე ერთ ნონით კატეგორიაში მოხვდეს. მასაც ოჯახი აქვს. მეტიც, ყველაფერი რიგზე აქვს. დიახ! და კიდევ. არის ქიდეე ვიღაც მიზეზები. თუნდაც ის, რომ ქეთა არის ფატალური ქალი, რომელსაც ვერ სცილდებიან, რომელზე ეჭვიანობამაც გააუბედურა და გაალოთა საბრალო თენგო. და ვისაც თენგო ახსოვს, როგორი ბიჭი იყო. ეკ...

ქეთა სამგზავრო ჩანთის ჩალაგებას იწყებს. სულ ორი დღით მიდის, მაგრამ ჩანთაში იმდენ ტანსაცმელს აწყობს, ორ თვეს განვდება. საცურაო კოსტიუმები, პარეოე-ნი, სათვალეები, კაბები. დღეს ნაყიდ კაბასაც ამატებს. კაცმა არ იცის, აქ როდის და რის ჩაცმას მოისურვებს. ასე რომ, იყოს... ჩანთას კრავს, პირსახოცის ხალათს იხდის და გამჭვირვალე საღამურს იცვამს. ახლა ჩაის აიღვლებს და დაიძინებს. ძილის წინ მწვანე ჩაის სვამს ხოლმე. მლაკები, ცხიმების წვა, ჯანმრთელობა. სამზარეულოში მსმელი თენგოები? ჰკიდია. ისედაც ყოველ ღამით ორგია აქვს გამართული ქმრებთან თუ სრულებით უცხო ათობით წარმოსახულ მამაკაცთან. სამზარეულო ცარიელია. სუფთა ალაგებული. ქეთა საჩაიუმი ჩაის ფოთლებს ვერის. სამზარეულოს მაგიდაზე გაჭრილი პომიდორი დევს და რაღაც გაუგებარი, სახელდაურქმეველი სუნი დგას. სამი აორთქლებული თენგოს სევდიანი და წარსულში დარჩენილი სულების სუნი.

მუქი ნაბლისფერი ულაყია. მალაღ და გამძლე ფეხებზე დგას. ნელა, ჩორთით მიჰყავს. თავს კისერზე ადებს. ეფერება, მზინვარე ფაფარს თითებით უფარცხნის. უკვე იყიდა და ხვალ გაამგზავრებს. ჯორჯის საჯინიბოში ათობით მისნაირი რამია. ცხენები მისი სისუსტეა, უფრო სწორად, მისი ერთადერთი მეგობრები.

უმისამართოდ მიდის. უკან პატარა, ცნობისმოყვარე ბავშვები მისდევენ. გზაზე შემხვედრი სრულიად უცნობი ადამიანები ესალმებიან. სოფლის წესი... შუადღეობით მზის სხივები მწველია, მცხუნვარე. მერე ისე გრილდება, რომ ცივა. მთის კლიმატის წესი... სოფლის გზიდან გადადის, ტყის ზოლს მიუყვება. ცხენი თანდათან ნაბიჯს უმატებს. გაშლილ მინდორზე უკვე მთელი სისწრაფით მიქრის. უცხო მინაზე დაკარგვის მსუბუქი შიში უბრუნდება, მაგრამ ახლა ესეც სიამოვნებს. სამყარო მის თვალწინაა, ხელისგულზეა. და მიუხედავად იმისა, რომ ცხენზე ბავშვობიდან ზის, პირველად გრძობს, რომ ნამდვილი მხედარია, ცხენთან თანშეზრდილი, მისი და ცოცხალი ბუნების ნაწილი.

სასტუმროში მოლოდინი ნია ახსენდება და გული კიდევ უფრო სასიამოვნოდ და სწრაფად უცემს. ნია უფრო და უფრო უკეთესი ხდება, უფრო და უფრო სასურველი. საწოლში მათი მოძრაობები ჰარმონიულია, ალერსი — ტიკილამდე სასიამოვნო. კულმინაცია თითქმის ყოველთვის ერთდროულად დგება, წლობით მძინარე ვულკანით იღვიძებს და მერე დიდხანს უნდება დამშვიდდება. ტემპერამენტიც მსგავსი აქვთ. მათი სიყვარული ჩუმიცა, ხანგრძლივი, დრამატული. ჯორჯს არ ახსოვს ვისთან იყო ასე კარგად და იყო თუ არა საერთოდ. საკუთარ თავს ველარ ცნობს. ნერვებიც კი ეშლება. რადგან ფიქრობს, რომ ნია ამგვარად იმაზე მეტს გეზულობს, ვიდრე საჭიროა. მეტისმეტად კარგად იცნობს ქალი უკვე მას.

თავს მალაღ სწევს, ჩამავალ მზეს და მასთან ერთად გაქცეულ ცას უყურებს. აღმერთი ფეხს უწყობს. რა კარგია. მოკლედ, ეს ყველაფერი ალბათ ისაა, რასაც უნდა ნატრობდეს, რაც უნდა მოსწონდეს, რითიც, უბრალოდ უნდა ტკებოდეს.

მაგრამ ჯორჯი სხვა ცხოვრების კაცია, სხვა მინის შვილი და უკვე წასვლაზე ფიქრობს, რადგან იცის, რომ ასე დიდხანს ვერ გასტანს. მეოთხე დღეა აქ არის, მაგრამ ჰგონია, თვე მინც გავიდა. არასდროს დრო არ ყოფილა ასე შეკუმშული და თან ასე გაზრდილი. ის თითქოს ჩაიკვტა. გაჩერდა. ეს ადგილი ჰგავს მოჯადოებული მეფის ასულის სამეფოს, სადაც უცხო ქვეყნის რაინდებს ატყვევებენ. ისე, როგორც ოდისეუსი კირქესთან, ჯორჯიც გრძობს, რომ აქ დიდხანს დარჩენა არ შეიძლება, თორემ სამუდამოდ ჩარჩება.

არ უფიქრია, ასე თუ აენციობოდა, თუ ასე შეტოპავდა და ახლა აქ ამოყოფდა თავს. ცალმხრივად შეყვარებულით სევდიან პლანეტაზე, სასტუმროში, სადაც დღის განმავლობაში უმეტესად მარტოა და იმის მოლოდინში, ვის დანახვაზეც ყველაფერი ავიწყდება და გული ბაგა-ბუთით უდასტურებს, რომ ასეა. კი, ნამდვილად ასეა! რომ ეს ჯორჯია, აჟოჟია, ხორხვა, გიორგია თუ ვინცაა, უყვარს და მისია წელიწადში 365 დღე. თავადაც მისია. როგორც იტყვიან, სულით ხორცამდე. სარაცენივს არ უყვარდებათ. და თუ ასე ხდება, ესე იგი, მისი ყვავილი უკვე საკუთარ თავს ათობს, წამლავს და კლავს...

ლოდინი ტანჯავს. იმაზე ფიქრი, თუ როდის გამოჩნდება, როგორ შეხედავს, რას იტყვის. შეუძლია, საჯინიბოში გაყვას, ეს ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ ასე არ აკეთებს. ერთხელ გაყვა და მას შემდეგ აღარ! იდგა და უყურებდა, როგორ აჭმევდა ცხენებს, დაატარებდა ეზოში, ვარცხნიდა ფაფარს, ეფერებოდა. როგორ საუბრობდა ტელეფონზე, ნახულობდა ფოსტას, პასუხობდა წერილებს. ანეს-რიგებდა ცხენის ინგლისში გასაგზავნ დოკუმენტაციას. იდგა და უყურებდა. თავი უდემეტად იგრძობდა. არა, ამათთან კონკურენცია არ სურდა. ცხენები, ჯორჯი — დამთავრებული საქმე იყო. შესაძლოა, ეს დანახვისთანავე იგრძნო, ან თმა ცხენის კუდივით რომ დაამოკრა, სარკეში ჩაიხედა და საკუთარ თავზე გაეცინა, მაშინ. მერეც, უოკეით რომ ჩაიცივა, კაბები და ფეხსაცმელი შარვალსა და ტყავის მალაყელიან ჩექმებზე რომ გაცვალა.



დასასრული

ერთი, სანოლოში ცხენივით ქიხინის ვერ ატეხდა, თორე სხვა რაღა...

სასტუმროდან გამოდის და სოფლის გზაზე მიაბიჯებს. ფიქრობს, რომ განწირულია. ჯორჯი ნავა და ყველაფერი დამთავრდება. და ამ გრძობას, სადაც ახლაც კი ასე მარტოა, რომ ვერ მოერიოს? ასე რომ გაუგრძელდეს, რა ეშველება? ალბათ, არაფერი. უნდა დაელოდოს. უბრალოდ, უნდა დაელოდოს, როდის გაივლის დრო და მორჩება. როგორც ავაღ-მყოფი მოიხდის სახადს, ისე, ჯორჯის გამგზავრების მერე ნიასთვის უთუოდ დადგება მძიმე და ხანგრძლივი ზამთარი. მაგრამ ამის მერე, ეს ზამთარი, ტკივილი და კვდომა რომ ჩაივლის, იქნებ თავიდან დაწყების, ხელახლა გაცოცხლების შანსიც მიეცეს. ვინ იცის?!

გზაზე ცხვრის ფარა ეწევა. თეთრი და ხუჭუჭუნეიანი ცხვრები მშვიდად, თავნახორილი მიბაკუნებენ, ნია მათთან ერთად მიაბიჯებს. ფარაში მთის მეცხვარე ძაღლის პატარა ჩალისფერ ლეკვს ხედავს. ხელში აჰყავს. გულზე იხუტებს. მეცხვარე ბიჭი ეწევა. ჯინსი და გაურკვეველი ფერის ქურთუკი აცვია. ბიჭი უყურებს. რაღაცნაირი შორიდებით, გვერდიდან, მაგრამ მაინც უყურებს. აშკარაა, გამოლაპარაკება უნდა და ვერ ბედავს. ნია ლეკვს ეფერება და ფიქრობს, შეძლებდა თუ არა მათთან ერთად ეცხოვრა. აი, ასე. ამ მეცხვარე ბიჭის ცოლი ყოფილიყო. უბრალო ნაჭრის კაბა და შინნაქსოვი წინდა, ცმობა, ბავშვებისთვის მოველო, თქვა მოეთელა. საღამოობით საძოვრიდან დაბრუნებულ ქმარს ცხვრის დაბინავებაში დახმარებოდა, დაღლილი და ჭუჭყიანი ფეხები წყაროს წლით დაეხანა, საჭმელი მიეტანა — დღითი გამომცხვარი პური და გუდის ყველი. რამე შეჭამანდი. ცოტა ღვინო.

მერე ძაღლებისთვის ეჭმია. ფიქლით ნაგებ სახლში მძინარე ბავშვებისთვის დაეხედა. ნაბოლარასთვის ხის სანოლი დაერწია, სანოლზე დაკიდებული ქვის საჩხარუნოთი გაერთო. ნანა ემღერა, ვიდრე ჩაიძინებდა. მერე დაღლილ ქმარს თავადაც დაღლილი გვერდით მისწოლდა. მის ზურგს მიყრდნობოდა, მზისგან გახუნებულ თმაში ჩაერგო თავი. ეფიქრა, რომ ბედნიერია.

ბიჭი უყურებს და ნიას ელიმება. ბიჭი ვერ ხვდება, რომ გოგომ მასთან ერთად უკვე იცხოვრა. გრძელი და უბრალო მწყემსური ცხოვრება განვლო, იქორწინეს და დაიხოცნენ კიდევ. და ნია ხვდება, რომ მასაც ამ მეცხვარე ბიჭივით შეუძლია ელოდოს იმას, რაც არასდროს მოხდება. რაც ამ დროში და ამ სივრცეში შეუძლებელია მოხდეს. და მაინც — მას შეუძლია ელოდოს.

ნია ლეკვს მიწაზე სვამს. ჩერდება. ლეკვი გაბრბის. მწყემსი და ცხვრის ფარა თანდათან შორდება და ნია გზაზე მიმავალი ისე უყურებს, თითქოს გვერდზე ჩავლილი ბედნიერი ცხოვრების ნაწილს ემშვიდობება. მართალ ნაწილს. საღამოვდება. საღლატე გარმონს წელავენ. გარმონს აყოლილი ქალის გაბმული, სევდიანი სიმღერა, ბავშვების შეძახილები, ძაღლების ყეფა. ნია ტრიალდება და სასტუმროსკენ მიდის.

ზღვის სანაპიროზე ქარი ქრის. ცაზე ღრუბლებს ერეკება, მაგრამ ტალღებსაც აგორებს. ზღვა საცურაოდ არ გამოდგება. ღია კაფეში პოლგებს კეცავენ. მიმტანი ბიჭი მაგიდებიდან აფრთხილებულ ხელსახოცებს დასდევს. ქეთას სევდა იწყობს. არ უყვარს დაკლილი სანაპირო, სადაც ალაგ-ალაგ შერჩენილი დამსვენებელი დახეტიალობს და კაფეებშიც ძირითადად საპენსიო ასაკის წყვილები სხედან.

მარტო ჩამოვიდა. მატარებლით გრძელი გზა განვლო და სასტუმროს ნომერში დაბინავდა. გარდერობში კაბები შეკიდა, გზის მტვერი ჩამოიბანა. ახლა სარკესთან დგას და იპუდრება. ორი კვირის წინ გაკეთებულმა ბოტოქსის ინექციებმა შედეგი გამოიღო და თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თვალის კუთხეები ცოტა არაბუნებრივად და დაჭიმული, ყველაფერი ძალიან კარგადაა. მშვენიერად! სახეზე ნაოჭების სანაწინააღმდეგო ბოტოქსი უკანალის დუნდულების ანევისა და ფავინის პლასტიკის ოპერაციებს ბონუსად მოყვა. სარკის წინ ტრიალებს და მიაჩნია, რომ მუდმივად გაახლების განსაკუთრებულ უნარს ფლობს. იმედი აქვს, სიტერეს პლასტიკური ქირურგიის მიღწევები დაასწრებს და ყოველთვის აღმოაჩენენ რაღაც ისეთს,

თონა დოლენჯაშვილი

რეალური არსებები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

რაც მის ასაკს და ჭკნობის ბუნებრივ პროცესს მოერივება.

კაფეში შედის და ყავას უკვეთავს. კაფეცარიელია, თუ არ ჩავთვლით გვერდით მაგიდასთან ჩამომსხდარ კაცებს, რომლებიც კედელზე დაკიდებულ ტელევიზორში რაგბის მატჩს უყურებენ. უფრო სწორად, ქეთას შემოსვლამდე უყურებდნენ. ახლა უკვე ქეთას. ქეთას სიამოვნებს. ერთ-ერთი საინტერესოდაც კი ეჩვენება. მით უფრო, რომ მირიანზე ბრაზობს. ბრაზობს, რომ სათანადოდ არ აფასებს, რომ ახლაც მარტო იმგზავრა, რომ აქამდე არ ჩანს. მაშინ, როდესაც ბევრი, მათ შორის, ეს სამიც, ინატრებდა მის ადგილზე ყოფნას. რა თქმა უნდა, ქეთას ჰყავდა საყვარლები და ყოველთვის გამოჩნდება ვინმე, მაგრამ მიკა მაინც მისი მთავარი მიზანია, რომელსაც გაახლებულ სხეულსა და სახეს უჩვენებს და ჩამომჭკნარ ცოლთან შედარების საშუალებას მისცემს.

მირიანი ტელეფონზე მისულ შეტყობინებას ეღვის სისწრაფით შლის. ნერვები ეშვება. ყველაზე მეტად ამას ვერ იტანს. ამ შეგრძნებას. ახლა რამე დამაჯერებელი რომ უნდა მოიგონოს და სამსახურის ორდღიანი „მივლინება“ გაამართლოს. ტყუილის თქმა კი არ უჭირს. უფრო იმ შიშთან გამკლავება, რომ ტყუილი გამჟღავნდება და ლანას ბოლო-ბოლო ხელიმ ჩაუვარდება ფაქტი, რომელიც არა მხოლოდ იმ კონკრეტულ, არამედ ყველა მის მრავალწლოვან ეჭვს ერთად გაამართლებს.

მაგრამ არც საყვარელზე ფიქრი ასე ენება. იმაზე ფიქრი, რომ მასთან წასასვლელია. ეს აუცილებლობა, საიდანაც გაჩენილი ვალდებულებები, ინერცია მის ცხოვრებას ამსგავსებს სათამაშო მატარებელს, რომელიც ოდესღაც ჩართეს და მიაგინყდათ. და ისიც დადის, ერთ გრძელ წრეზე, მძღოლის, მგზავრებისა და ყოველგვარი მიზნის გარეშე.

ოთახში ვირობების ახალმეზობლობისგან განაწმენილი ლანა შემოდის. ქეთას განუწყვეტელი სატელეფონო შეტყობინებების შიშით მირიანი ტელეფონს ხმას უდუმებს და შარვლის ჯიბეში იტენის. ლანას საღამურზე თხელი, მოყვითალო ხალათი მოუცვამს და ამოღამებულ თვალებს იფშვინებს. ხეზე შერჩენილ ლეღვის მიმჭკნარ ნაყოფს ჰგავს, უკვე გამომშრალს, უგემურს. არც სიტყვით რომ აღარ აქვს, არც წვენი. მირიანს წამით ეცოდება თანამეცხედრე. და მასთან ერთად საკუთარი თავიც. შესაბამისა ეს არის არის სიბრალოლი, რის გამოც არ ტოვებს. და ვერც ვერასდროს დატოვებს. ეს არის ლანას სისუსტე, რომელიც მას მუდმივად გალიზიანებულ და აგრესიულ ტირანად აქცევს. მირიანი ცოლს უცხო თვალთ უყურებს და ხვდება, რომ ცოლის მიერ გამოგონებული ავადმყოფობები ერთი ავადმყოფობის ანამნეზია, რომელსაც საკუთარ ქალურ ბუნებაზე უარის თქმა ჰქვია.

ლანა გაზუქურაზე ყავადანს დგამს. აივნის კარს ალბის, სიგარეტს უკიდებს და მოღუშული სახით აბოლებს გარესამყაროს. ლანას ჩვევების უცვლელობა, დროსა და სივრცეში ამ სურათის მუდმივი განმეორადობა, მარადიული დილა, სულ რომ ასე იწყება, რუტინა, რომელიც ჭაობის წყალივით ერთ ადგილზე დგას, ქმნის სტაბილურობის ილუზიას. ეს არის უძრაობა, რომელიც ამავე დროს მრავალი მექანიკური მოძრაობისგან შედგება და რომელიც მიკას სათამაშო მატარებლის წრეზე სვლაში, თუ ლანას ყავის მოღუშებასა და ათასობით ღერი სიგარეტის ფერფლად და კვამლად ქცევაში მდგომარეობს.

ამ მოძრაობებში შედის ქეთასთან ჟიმაობაც. რომელიც მიკამ ახლა რომ არ შეასრულოს, დაირღვევა ეს სტატიკური ცხოვრებისეული კანონზომიერება. წონასწორობა, რომელიც აბალანსებს მათ საერთო ყოფას.

ყავას ერთად სვამენ. ეწევიან. ლანა ჭურჭელს რეცხავს და ნუნუნებს ატკივბულ თავზე, უძილო ღამეზე, მეზობლის ძაღლზე, რომელიც მთელი ღამე ყეფდა. დედამისზე, რომელიც ისევ ექიმთანაა ნადაყვანი. სააბაზანოში გაფუჭებულ ონკანზე. დედაზეც და ონკანზეც ნუხილი ერთნაირად მძაფრია. „ყველა და ყველაფერი ჩემი მოსავლელია“, — გამოაქვს მისიონერული დასკვნა. მიკა ცოლს ბლომად ორთქლისა და სიგარეტის კვამლის

გამოშვებას აცდის და ხმას მერე იღებს. ამბობს, რომ ონკანს მიხედავს, მაგრამ მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ. დღეს კი უნდა წავიდეს. ცნობა ორდღიანი მივლინების შესახებ მშრალია, მოკლე, მაგრამ გასაგებად ნათქვამი. დამაჯერებელი ხმით. საუბრის დროს გამოირიცხულია თვალების აქეთ-იქით ცეცება, ზედმეტი მიმიკა. რთული თანწყობილი და ქვეყნობილი წინადადებები. მიკას ინფორმაცია დამატებითი კითხვებისა და ინტერპრეტაციების საშუალებას თითქმის არ იძლევა. ლანა მაინც მოახერხებდა კამათსა და ჩხუბს, მაგრამ როგორც ჩანს, მართლაც უძილო და დაღლილია. ამიტომ მისი წინააღმდეგობა სუსტია და საბოლოოდ დათუნას საიდუმლო ლაბორატორიაში მარტო დარჩენაზე ნუნუნით სრულდება.

„პიჯაკიც დაგჭირდება?“ — ყრის ბოლოს ფარ-ხმალს ლანა, — „ჩავდო ჩანთაში?“ — ეკითხება ხრინწარევი ხმით და სიგარეტის ნაშენს საფერფლეში დაუნდობლად ასრებს. მირიანი თავს უქნევს და სააბაზანოში შედის, წვერს იპარსავს. „მოვიდევარ. პოო!!!“ — კრეფს ტელეფონზე შეტყობინებას და ქეთას უგზავნის. უხარია, რომ ლანასთან ადვილად მოაგვარა და ქეთაზე ბრაზობს. ველარ გაუფია სადღაა თავის-დაღწევა და სად სიხარული. კარგა ხანია, ყველაფერი აერია, ყველაფერი...

- რეისი დღის ოთხზეა?
- ჰო.
- გაგაცილებს.
- ღამისთევად არ ღირს. დაღვე?

ნია თავს უქნევს. აივანზე სხედან და ნითელ ღვინოს სვამენ. ნახევრად მშრალს, ოდნავ მომჟავოს, არომატულს. ისეთია, თითქოს ჭიქშიმ ციდან ვარსკვლავები ცვივა. გრილი ნიავი უბრავს. ნიას აჟრჟოლებს და ჯორჯი პლედს მზრუნველად ახურებს. ახლა მამას ჰგავს. მამას, რომელიც ნიას არასდროს მოსწონდა და მისი შეცვლის, თავიდან აღმოჩენის სურვილით ეცნობოდა სხვადასხვა კაცებს, ხოლო შემდეგ იმედგაცრუებული ტოვებდა და გულგრილად იმორებდა თავიდან.

ჯორჯს მოსწონს ქართული ღვინო, მოსწონს ნია, უყვარს ცხენები. არის 34 წლის, აქვს საკუთარი კომპანია, ფლობს მნიშვნელოვან კაპიტალს. წარსულში იყო დაქორწინებული. შვილები არ ჰყავს. ცხოვრობს ლონდონში. ალბათ სულ ესაა, რაც ნიამ ჯორჯის შესახებ იცის. ჯორჯი სიტყვაძუნწია და ნიასთან გულის გადაშლის სურვილს არ ანუღავნებს. ნიაც არ ანუხებს კითხვებით, ისევე, როგორც ჯორჯი არ იკვლევს მის ცხოვრებას და ნიაც ცდილობს მათ ურთიერთობაში საიდანადაც დანესებული უხილავი ნითელი ხაზები დაცივას. უცნაურია, მაგრამ რამდენადაც კარგად იცნობენ მათი სხეულები ერთმანეთს, იმდენად უცხოა ის ცხოვრება, რომელიც ხვალ სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ქალაქში ისევ ცალ-ცალკე უნდა განაგრძონ.

— საინტერესოა, როგორ ცხოვრობ იქ. ვეცდები, წარმოვიდგინო, — ღიმილით ამბობს ნია, — ალბათ უამრავი საქმე. მერე მეგობრები, პაპები.

ტელეფონზე კონცენტრირებული ჯორჯი თავს მალა ნეეს და უღიმის:

- პაპებში იშვიათად დავდივარ.
- სულ საქმე, საქმე?
- ასე გამოდის. სხვალდანვე საქმე, — ჩაფიქრდება, — შენ ხომ არ მოიწყენ?
- რატომ უნდა მოიწყინო? — ნია, ცოტა არ იყოს, ბრაზობს. ამას საქმეები აქვს, დიადი საქმეები სამყაროს ცენტრში და ჩერჩეტი ნია თურმე მხოლოდ მონყენილობასთან ბრძოლით არის დაკავებული.

საუბარი ჩიხში შედის. ჯორჯი ისევ გულმონყაყად იღიმება და ინტერნეტით მონონდებულ ამბებს უბრუნდება. სირიის კონფლიქტი, დამასკო. რუსეთი, ნავთობის აქციებზე ფასი ეცემა. ფოსტაზე წერილი მოდის. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წერილი. ყველაფერი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნია და მისი სიტყვები. ნიას სიგარეტის მოწევა უნდება, მაგრამ ახსენდება, რომ რადგან ჯორჯი არამწეველია, მოშორებით, ღამის მალულად ეწევა. მოსწავლე გოგოსავით. „რა დეგენერატი ვარ“, — ფიქრობს დანაებით, — „ღმერთო, რატომ ვარ ასეთი დეგენერატი?!“

„მე მაქვს საქმე, რომელიც არ მიყვარს, მაქვს სახლი, რომელიც მიყვარს კაცმა, რომელიც მძულდა. მყავს მეგობრები, რომელთაც არასდროს ესმოდათ ჩემი, ისევე, როგორც მე მათი. თითქმის ყოველ საღამოს დავდივარ კონოთეატრებში, კლუბებში, საღამოებზე, სადაც, რა თქმა უნდა, მარტო ვარ. საერთოდ, ყოველთვის მარტო ვარ და ძალიან მონყენილი,“ — ეს უნდა ეთქვა, მაგრამ აზრს ვერ ხედავს. ფიქრობს, რომ რაც უნდა უთხრას, ყველაფერს ერთი ფასი ეწევა, თანაგრძობას ვერ გამოიწვევს და მის გულში ვერ შეაღწევს. ამიტომ ყველაფერი, რაზეც სურს ახლა სიტყვა დაძრას, ისე უმნიშვნელო ეჩვენება, შემდეგი კითხვის დასმისაც კი ეძინია. ხომ შეიძლება, ჰკითხოს და საერთოდ უპასუხოდ დარჩეს. მისი სიტყვები ჯორჯამდე არ მივიდეს, სადღაც მათ შორის გაიყინოს, ჰაერში დაეკიდოს, როგორც ეს ვარსკვლავები, თავზე რომ დანათით და ხედავენ, მაგრამ ამავე დროს ისე უცხო და გაუგებარია, რა ხდება იქ.

ისინი სხვადასხვა ენობრივ ველში ცხოვრობენ, მაგრამ მიზეზი ეს არ არის. მათი საუბრის, კომუნიკაციის თუ კიდევ რაღაც სხვა ურთიერთობის ბაბილონის გოდოლი ნიასთვის არასდროს აშენდება, სწორედ მასში შეუღწევლობის, მასში წვდომის უუნარობის გამო. სიტყვებს არაფერი მოაქვს. ისინი ახლა უფრო ამორებს მის წინ მჯდომს, რომელსაც ტელეფონზე გვერდზე გადაუდევს და ხელსახოცი ხელებს იმშრალებს. „ეს ხელები მეფერება ყოველ ღამით“, — ნია ჯორჯს მამაკაცურ და დახვეწილ თითებზე უყურებს, მერე სახეზე: „ეს ტურჩები მკოცნის.“

ჯორჯს თითქოს ესმის გოგოს ფიქრები და მზერა ეცვლება. ერთმანეთს ახლა თვალბეჭდით უყურებენ. დიდხანს. დაუჩინებო... ჯორჯს მთელ სხეულში სურვილის ტალღები უვლის. უნდა ეს ქალი. როცა ხედავს, თავიდან, სულ, ყოველთვის, მუდმივად უნდა. ამიტომ ეცდება, იშვიათად ხედავდეს. უნდა წავიდეს და რაც შეიძლება მალე დაივიწყოს. იქამდე, ვიდრე მისი ყოველდღე ცქერის დაუძლეველი სურვილი არ გასჩენია, მთელი ანკონილი ცხოვრება თავზე არ ჩამონგრევიან, არ შეყვარებია.

სიყვარული ჯორჯის გეგმებში არ შედის. მერე რა, რომ მისი თვალები ახლა სხვა რამეს ამბობს. დღეს ზღაპრის ბოლო დღეა და ჯანდაბას. სხვალდანვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ყველაფერი ძველი-ბურად იქნება.

„და მაინც, ნეტა რა არის ის, რის გამოც გვიყვარდება? ის, რაც ამ თვალბეჭდითაა? მის შიგნით, მის სიღრმეში. ნეტა ეს ისაა, რასაც სული ჰქვია?..“ — ნია გრძობს, რომ ახლა სიტყვებს კი არა, მზერას უნდა ჩაეჭიდოს. რადგან მისთვის სათქმელი ყველა სიტყვა აქაა. აქ ახლა მთელი სიგნია მისთვის დაწერილი. მთელი ის ცხოვრება, რომელიც შექმლო ჯორჯს მისთვის მიეცა... ნიას თვალები ცრემლით ევსება. სარაცენია ტირის? არ არსებობს! ეს არავინ უნდა ნახოს. პირველ რიგში, აი, ამ კაცმა! დგება, ტერასას ბოლოში გადის, სიგარეტს უკიდებს. ცრემლით ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოდის. ნერვები კვლავ საკუთარ თავზე, საკუთარ სისუსტესა და უძლურებაზე ეშლება. ჭრიჭინები ერთხმად და მთელი მონდომებით ჭრიჭინებენ. შორს განათებული, ხის აივნისი სახლელი, ღამის სიბნელებში გაუჩინარებული მთები და მის წინ გაშლილი, ცრემლებით გადაღობნილი სურათი ბავშვობაში დახატულ ორგანზომილებიან, მარტივ ნახატს ჰგავს.

„წარსული ისევე არსებობს. ცხოვრება შეიცვალა, ისევე, როგორც მე“, — ფიქრობს ნია ოთახში, როდესაც ჯორჯის წინ დგას ისეთი სუსტი, მორჩილი, მომლოდინე. ჯორჯი კაბას ხდის და რამდენიმე წამი ერთმანეთს უყურებენ თვალბეჭდით. ისე, თითქოს ორივე საკუთარ უკანასკნელ სურვილს იფიქრებდეს. და ნიამ თავადაც არ იცის, როგორ ნყდება მის ბავშვებს სიტყვები: „მიყვარხარ,“ — ამბობს ჩუმად, — „მიყვარხარ, მიყვარხარ“, — იმეორებს ტკივილით, დარღით, ისე, რომ არც პასუხს ითხოვს, არც ექოს, არც საფასურს.

ჯორჯმა არ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვები, რომელსაც გოგო თავის ენაზე ეუბნება და წარმოთქმისას ღამის გულმუცელს აყოლებს. არ იცის, მაგრამ ხვდება, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანია და ეს უცნაური, ასე მწვანად წარმოსთქმული სიტყვები ახლა ისე უხდება ნიას ხმას, მის დაბინდულ თვალბეჭდს, შიშველ სხეულს, გულისწასვლამდე მაგრად რომ ეკვრის მისას.

ლიტერატორი ლევან გიგინეიშვილი:

„ახალი თვალთშეპყრობის კითხვები“

კლასიკური ფილოლოგი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლევან გიგინეიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უნგრეთის, ბელგიისა და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში იღრმავებდა ცოდნას და პარალელურად მუშაობდა ნიგნზე, რომელიც იოანე პეტრიწს ეძღვნება. იგი მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორია, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში. არაერთხელ სტუმრობდა საქართველოს მწერალთა სახლსაც, სადაც ვაჟა-ფშაველასა და ჰომეროსზე საინტერესო ლექციები წაიკითხა. დღეს ახალგაზრდა მეცნიერი „ლიტერატურული გაზეთის“ მკითხველისთვის საუბრობს.

— ერთ-ერთ ინტერვიუში, პროფესორულ არჩევანზე საუბრისას, ამბობთ, ანტიკური ბერძნული და ლათინური ლიტერატურის შესწავლით გავიგებდი, როგორ უყურებდა ის ხალხი სამყაროს, ღრმა წარმოდგენა შემექმნებოდა ადამიანებზე, საკუთარ თავზე, ცხოვრებას გავიმდიდრებდი. როგორი ნახეთ იმ ხალხის თვალთშეპყრობის სამყარო, ან მათი გადმოსახედიდან — დღევანდელი ადამიანი?

— არსებობს თუ არა ადამიანი, როგორც მარადიული მოცემულობა, როგორც უცვლელი კატეგორია? რომ დააკვირდეთ, ადამიანს ქმნის ეპოქა, დრო. არაბული ანდაზისა არ იყოს, ადამიანი თავის დროს უფრო ჰგავს ვიდრე მშობელ მამას. წარმოდგინეთ, დავით აღმაშენებლის ეპოქაში რომ აღმოვჩენილიყავით, მართალია, იგივე ენაზე ვილაპარაკებდით, ძველი ქართული ყველა გვისწავლიდა და ამ მხრივ არ გავიჭვრდებოდა, მაგრამ მენტალობა, ადამიანის პირადი სივრცის მიმართ დამოკიდებულება, ქალის მიმართ დამოკიდებულება, ადამიანის უფლებათა მიმართ დამოკიდებულება იმდენად განსხვავებული იქნებოდა, შეიძლება ერთი კვირაც ვერ გაგვეძლო. გარკვეულ წილად, ჩვენ საფრანგეთის რევოლუციის შვილები ვართ, ვაცნობიერებთ ამას თუ არა — ასეა. ზოგჯერ ეპოქებს შორის ასტონომიული დისტანციებია, ადამიანები სხვადასხვა კატეგორიებით აზროვნებენ, მიუხედავად ამისა, არსებობს მაინც რაღაც ადამიანური კოდი, რომელიც ეპოქებს მსჭვალავს, მარადიული ნიშნის მატარებელია. ამის აღმოჩენა საკმაოდ ძნელია და, როგორ ვთქვა, პრობლემატურიც, რადგან შეიძლება იმას დაარქვა მარადიული, რაც სინამდვილეში წარმავალია და ამით სამყაროზე წარმოდგენა დაიმახინჯო. ან შეიძლება, ძველ კულტურაში, ძველ ნაწერებში მარადიულობა ვერ დაინახო, ჰუმანური, ზოგადასაკავობრივი მნიშვნელობა ვერ განჭვრიტო და ის შენთვის, ანტიკვარიატად დარჩეს; მაგალითად, მიიჩნიო, რომ ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობას თანამედროვე მეგობრობისგან განსხვავებული ასპექტები განსაზღვრავს, იმდროინდელი კულტურა, იმდროინდელი ვითარება განაპირობებს. არადა, არის ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობაში ის განზომილება, რომელიც მნიშვნელობას დღესაც არ კარგავს. თუმცა ამის აღმოჩენა და თარგმნა თანამედროვე ენაზე არც ისე ადვილია. ლიტერატურის მასწავლებელმა ეს რაღაცნაირად უნდა მოახერხოს, ტექსტი დისკუსიაში, მსჯელობაში უნდა გააცოცხლოს. თუმცა პრობლემა ყოველთვის იარსებებს, რადგან ზუსტად ისე, როგორც დაინერგე ტექსტი, მას ვერ გაცოცხლებ, შენ უამრავი სხვა, ახალი რამ გაქვს ნაწახი, ახალი თვალთშეპყრობის კითხვები ძველს და ახლებურად აღიქვამ.

— ანტიკურ ლიტერატურას, ძველ ქართულ მწერლობას, რელიგიურ ტექსტებს, იგივე, სახარებასა თუ ძველ ალექსანდრიულ მწერლობას რაღაც ნიშანი, რაც მათ დღემდე აცოცხლებს, აქტუალობას სძენს, როგორც მოციქული ამბობს: „იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი უკუნისამდე“. მოქმედების, სიცოცხლის რა ნიშანია ეს?

— მარადიულობა და პროცესი, სახარების ტექსტი და ეპოქების განვითარება, სახარების ტექსტი და ისტორია — ეს ურთულესი და ძალიან საინტერესო საკითხია. ქრისტიანობამ შექმნა ხედევა, რომ ცხოვრება უნდა იყოს პროგრესი. ესაა ლოგოსის კულტურა, ლეთიური სიტყვის კულტურა — შენ არ კმაყოფილდები იმით, რაც გაქვს, არამედ ეხსენები სულ უფრო უკეთესსა და უკეთესს, მსჯელობ, კრიტიკულად აფასებ საკუთარ თავს და ეს სიტყვა ბაცილასავით, ფერმენტისვითაა შენში, რომელსაც გამოყავხარ შენი სტატუსიდან, არ გაძლევს საშუალებას მიე-

ჯაჭვო ერთ მდგომარეობას, არამედ უკეთეს მდგომარეობაზე, უკეთეს სტრუქტურებზე დაგაფიქრებს. სახარებაში ეს მეტაფორებითაა გადმოცემული. ახალ ღვინოს ჭურჭელიც ახალი სჭირდება, ძველი ტიკები სკდება და ღვინო ახალ ტიკებში ისხმება. ქრისტიანობა მარადიული ახალი ღვინოს, ლოგოსის რელიგიაა. მასში სწორედ განვითარების იდეაა და არა — კანონის, „ნომოსისა“, როცა შენ მხოლოდ კანონებს მორჩილებ, კრიტიკული განსჯის გარეშე მისდევ მათ და ესე იგი, ნრეზე ტრი-ალეზ. აქ განვითარება მანკიერებად ითვლება, ცვლილება ოქროს სტრუქტურიდან გამოსვლად აღიქმება. ქრისტიანობაში კი პირიქით, გამოსვლა კარგია, აქ შენ შეუცნობელს ეხსენები. თუმცა სახარებაში ლაპარაკია უფრო მეტად ვერტიკალური პროგრესზე ადამიანისა ღმერთისადმი, მაგრამ ისტორიაც თუ საჭიროებს პროგრესს, ამაზე ლაპარაკი არ არის. თუმცა, არსებითად, ქრისტიანობაში ეს იდეაც დევს — თუკი არსებობს სულის ვერტიკალური სწრაფვა ღმერთისკენ, რატომ არ შეიძლება არსებობდეს ჰორიზონტალური პროგრესი? ქრისტიანობა არის ისტორიული რელიგია და ისტორიაში უნდა სუნთქავდეს. თუ არსებობს მარადიული მცნებები, რატომ აღვასრულოთ ისინი მხოლოდ ეკლესიებში, დაე, გადმოიღვაროს გარეთაც.

— ქრისტიანულმა კულტურამ, ევროპულმა კულტურამ ეს მოახერხა.

— განმანათლებლობა სწორედ ესაა — მცდელობა, მარადიული, სახარებისეული მცნებები სოციო-პოლიტიკურ არეალში გააცოცხლო. ხანდახან ამას არარელიგიური ხალხიც აკეთებდა, მაგრამ ისინიც ქრისტიანული კულტურით იყვნენ ნასაზრდოები.

ისტორიაში ამ მარადიულ იდეებს თავისი ცხოვრება აქვს, ისინი ცვლიან სამყაროს. იცვლება სამყარო, იცვლება ადამიანის ცნობიერება, იცვლება ეპოქაც. მე ახალი თვალთშეპყრობით სახარების ტექსტს, ანუ სახარების ტექსტიც ეპოქასთან ერთად ვითარებ. ჰეგელი იტყოდა, ეპოქის განვითარება ღვთიური პროცესიაო. ასევე ფიქრობს ილია ჭავჭავაძეც — ეპოქები იცვლება და ამ პროცესში რაღაც ღვთიური განგებულებაა. მაგრამ ეპოქის შუქზე, შენ ახლებურად იაზრებ, მაგალითად, წმინდა ტექსტებს, ამდირებ მათ ახალი საზრისებით, იმ საზრისებით, რომელზეც წმინდა მამებსაც კი წარმოდგენა არ ჰქონდათ, რადგან ისინი სხვა დროში ცხოვრობდნენ, სხვა კატეგორიებში აზროვნებდნენ.

ახსოვს კულტურად ყველა ლიტერატურულ ტექსტზე იგივე შეგვიძლია ვთქვათ.

— თქვენ ხშირად იხსენებთ არისტოტელეს სიტყვებს, აზროვნება, ფილოსოფია იწყება გაკვირვებით და სრულდება უფრო დიდი გაკვირვებით. როცა ბოლომდე უღრმავდები ამა თუ იმ საგანს, გატაცებით შეისწავლი მას, ალბათ, გაკვირვება არ გტოვებს. ამის გარეშე შეუძლებელია იყო მეცნიერი. თუმცა ამის გარდა ალბათ არის ცხოვრების განსაკუთრებული წესი, რომლითაც უნდა იცხოვროს მეცნიერმა, ეს არის მონესტრიკობა, დისციპლინა, რაღაცებზე უარის თქმა, როგორც თქვენ ამბობთ ხოლმე — მეცნიერული ასკეზა. მისი თუ არა შესაძლებელი ასე იცხოვროს თანამედროვე მეცნიერმა?

— არსებობს გამოყენებითი მეცნიერებები, დანაწევრებული ვიწრო სპეციალობები, დისციპლინებად, რასაც ხანდახან ისე მიეჯაჭვებიან ხოლმე სპეციალისტები, რომ საგანს ფართოდ, მთლიანობაში ვეღარ ხედავენ. მე უფრო ისეთი მეცნიერები მიყვარს, ვისაც შეუძლია, არამარტო თავისი კვლევის ვიწრო დეტალი დაინახოს თუ შეისწავლოს, არამედ ფართო კონტექსტში აღიქვას იგი, ასეთი მეცნიერი ადვილად მოთარგმნის თავის კვლევას

ფართო პუბლიკისთვის. უმბერტო ეკო, შესანიშნავი მედიაველისტია, და იმდენად კარგად ერკვევა საგანში, ისე ღრმად იცნობს შუასაუკუნეების კულტურას, რომ შეუძლია იგი მხატვრულ ტექსტებად თარგმნოს და ასე მიანოდოს თანამედროვე ადამიანს. რაც შეეხება მეცნიერულ ასკეზას, ის აუცილებელია. შეიძლება პოეტი იყოს ბოჰემური, მეცნიერი კი ვერ წარმომიდგენია. ინტერესის კულტივაცია ხშირად რუტინულ პროცესში ხდება. გაქვს შთაგონება, ცნობისწადილს, ინტერესს მიჰყვები, მაგრამ მეორე მხრივ, უნდა ნაიკითხო აუცილებელი ტექსტები, ხანდახან — ძალიან მოსაწყენიც, უნდა დანერო სტატიები, უნდა დაიმონო ლიტერატურა, მონაწილეობა უნდა მიიღო კონფერენციებში, რათა შენი ცოდნა აცოცხლო და ურთიერთობა გქონდეს იმ ხალხთან, ვინც ამ ცოდნაში ტრიალებს, კონფერენციის წინ კი უნდა მოემზადო. ძალიან მონესტრიკული ცხოვრება უნდა გქონდეს. პუშკინს შეეძლო ღამეები ეთენებინა, ბანქო ეთამაშა, მერე კი ეწერა. ალბათ, მეცნიერი პოეტივით ვერ იცხოვრებს.

— ფიქრობ, „მეცნიერული ასკეზის“ გამოცდილება უცხოეთში მიიღეთ, იგი უნგრეთიდან, ბელგიიდან, შეერთებული შტატებიდან მოგყვებათ. მგონია, რომ მეცნიერულ რუტინას იქ ბევრად განსხვავებული სახე აქვს. ასეა?

— არ ვიცი, სხვებს არ უყურებ. ჩვენთანაც არიან კარგი მეცნიერები. ერთი ის არის, რომ ჩვენთან შესაძლებლობები ნაკლებია. მაგალითად, ამერიკიდან რომ ჩამოვყავდი, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს უჰაერო სივრცეში აღმოვჩნდი. იქ ყველანაირი პირობაა მეცნიერული კვლევისთვის — კარგი ბიბლიოთეკებია, ელექტრონულ ლიტერატურასთან წვდომაა, შესაძლებლობა ნიგნი სხვა უნივერსიტეტიდან გამოიწერო. აქ მსგავსი საშუალებები არ არის, ხანდახან აუცილებელია ნახვილ უცხოეთში, რადგან საქონი ნიგნები, საჭირო მასალა სწორედ იქ არის.

რაც ახლა მაკლია, ეს არის მეტი თავისუფალი დრო კვლევისთვის. ლექციებს დრო მიაქვს. მეცნიერებიდან შემოსავალი დიდი არ არის, ამიტომ ვინც ამთავრებს უნივერსიტეტებს უცხოეთში, ჩამოდის აქ და იწყებს არაპროფესიით მუშაობას. სხვათა შორის, ჯორჯ სოროსს აქვს დახმარების პროგრამა ყოფილ საბჭოთა კავშირის და ვარშავის ბლოკის ქვეყნების სტუდენტებისთვის, რომლებმაც განათლება საზღვარგარეთ მიიღეს და დაბრუნდნენ. მეცნიერულ სამუშაოს რომ არ მონყდნენ, სოროსის ფონდი მათ სტიპენდიას აძლევს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამ პროგრამის სტიპენდიანტი მეც ვარ.

— თქვენი ნიგნი იოანე პეტრიწზე დიდი მუშაობა, კვლევის პროექტია. პეტრიწთან მრავალი წლის ურთიერთობა გაკავშირებთ. სათქმელიც გექნებათ.

— როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვამთავრებდი, სადილომო თემად ავირჩიე „განათლების სისტემა ბიზანტიასა და საქართველოში“. გელათის სკოლაზე ვმუშაობდი, მისი მთავარი წარმომადგენელი იოანე პეტრიწია. მასთან ნახსენებია იგივე სამეცნიერო დისციპლინები, რაც მონინავე ბიზანტიურ და ევროპულ სკოლებში. არ ვხეობდი პეტრიწის ფილოსოფიას, მხოლოდ კულტურულ ასპექტში განვიხილავდი მას. მაინტერესებდა, ტრივიუმ-კვადრიუმის სისტემიდან რომელი დისციპლინები ჰქონდა დასახელებული განათლების აუცილებელ კომპონენტებად... როცა ბუდაპეშტში ჩავედი, აღმოჩნდა, რომ ნინასწარვე უნდა მეთქვა, რა თემაზე ვიმუშავებდი. ვთქვი, იოანე პეტრიწზე-მეთქი. ასე დაიწყო ჩემი ხანგრძლივი და რთული ურთიერთობა პეტრიწთან. შეიძლება პეტრიწს ბევრ რამეში არ ვეთანხმები, მაგრამ მან ძალიან მნიშვნელოვანი რამ მასწავლა — ამას სხვა დიდ ფილოსოფოსებთანაც ვხედავდი — რწმე-



ნასა და აზროვნებას შორის პეტრიწი არ ხედავს დაპირისპირებას, მისთვის ორივე ერთი შუქიდან მოდის, მისთვის დიალექტიკა და რწმენა, დიალექტიკა და ქრისტიანობა, დიალექტიკა და ლოცვა ერთ განზომილებაშია მოქცეული, ეს ძალიან ჯანსაღი ხედევა მგონია. არ შეიძლება აზროვნება ლოცვით ჩაანაცვლო. უდიდესი, უმთავრესი რაც ადამიანს ღვთისგან ებოძა, არის აზროვნების უნარი, ამით განსხვავდება ის ცხოველისგან, ჩვენ გვაქვს შეფასების შინაგანი კრიტერიუმი, შინაგანი შუქი, სინდისი, რომლითაც განვარჩევთ კეთილს ბოროტისგან და ვაკეთებთ არჩევანს. ზოგადად ეს არის პეტრიწის დიდი ხედევა რწმენისა და დიალექტიკის ჰარმონიაზე, მისი ფილოსოფიის რთულ დეტალებს აქ არ შევხებით.

— ინტერნეტსივრცეში განთავსებულია თქვენი ვიდეოლექციები ჰომეროსზე, პლატონზე, პავლე მოციქულზე, ილია ჭავჭავაძეზე. მომისმენია თქვენი ლექცია ვაჟა ფშაველასზეც, სადაც მის პოემაში პიროვნების დაბადებაზე ამახვილებდით ყურადღებას. ეს პიროვნებები, მოაზროვნებები, ალბათ რაღაც ნიშნით შეარჩიეთ. მათ შორის განსხვავება დიდია, მაგრამ ამავდროულად რაღაც საერთოც აქვთ. რა არის ის საერთო ან განმასხვავებელი ნიშანი, რის გამოც თქვენ სწორედ მათზე მოისურვეთ საუბარი?

— მნიშვნელოვანია სწორედ ის, რითიც ლაპარაკი დავიწყებთ, მარადიულობა ადამიანში და მისი უსასრულო განზომილება. არაფერი ემპირიული, დროითი, პოლიტიკური პიროვნებაზე მაღლა არ დგას, რადგან პიროვნება თავის თავში უსასრულობას ატარებს. ქრისტიანობაში ამას ღვთის ხატი ჰქვია, ჰომეროსთან — „კლეოსი“, ანუ მისწრაფება სამარადისოდ იდებობსკენ, ეს განცდა თითოეულ ადამიანში არსებულ უსასრულობაზე მეტყველებს და რაღაც კონინტელურამდე, კონკრეტულ სივრცეში არ დაიყვანება. დიდმა პიროვნებებმა, ჰომეროსთანაც, ვაჟასთანაც, ეს თავის თავში აღმოაჩინეს. ჩემს ლექციაზე, ჰომეროსზე რომ მქონდა, სწორედ ამაზე გავამახვილე ყურადღება, რომ აქილევსმა და პრიამოსმა, ყველაზე დიდმა წარმომადგენლებმა თავიანთი ხალხისა, აღმოაჩინეს — იმ დროს, როცა ბერძნები და ტროელები სამკვდრო-სასიცოცხლოდ მტრობდნენ ერთმანეთს — ერთმანეთს შორის კავშირი, აღმოაჩინეს საერთო, აქილევსმა პრიამოსს შეხედა როგორც მამას, პრიამოსმა აქილევსს — როგორც ღვთაებრივ არსებას. მათ შორის თანაგრძობის სივრცე გაჩნდა, მოყვარებად იქცნენ, გადავიდნენ უსასრულო სივრცეში, რომელიც ფლეთს ყველანაირ კონკრეტულ, შეზღუდულ მოცემულობას. პავლე მოციქულზეც იგივე ითქმის — ლოგოსის შუქზე ის ფლეთს იუდეურ მოცემულობებს და ხსნის ქრისტეს მთელი წარმართული სამყაროსთვის. ამ ავტორებში პიროვნების უსასრულო განზომილება მიზიდავს, ალბათ, არ ვიცი.

— ამჟამად რა არის თქვენი კვლევის საგანი?

— ძალიან მაინტერესებს რა კავშირშია ერთმანეთთან მარადისობა და პროცესი, იგივე, სული და ისტორია, ადამიანი და ისტორია, რა არის ისტორიის საზრისი და როგორ ურთიერთობს მარადიული ისტორიასთან. ლისაბონში იმართება კონფერენცია, რომლის თემა სწორედ ესაა — მარადისობა და პროცესი. ეს ჩემთვის ძალიან საინტერესოა, მიხდა დავწერო კვლევა, ჩავიდე ლისაბონში და მოეფსმინო სხვათა თეორიებს პროცესსა და მარადისობაზე.



ვერონიკა ტუშნოვა

მიყვარხარ.
გიცნობ ყველაზე ახლოს,
ყველაზე უკეთ. შენ ჩემში სახლობ.
ვერავეინ გნახავს,
ვერასდროს, ისეთს, როგორსაც გხედავ.
გხედავ წარსულში, მომავალში,
გხედავ მიღმა უამრავ დღეთა...
მხოლოდ მე გიცნობ, როგორც ხარ,
შენს შესახებ ვიცი ყოველი.
მე ერთადერთი დავეუფლე შენს გულს,
ყველა მფლობელზე მეტად,
მე ვარ მფლობელი!
ის ხომ დაფარულ საგანძურს ჰგავს,
ხელმიუწვდომელს —
ურჩხულეები და ეშმაკები ინვდიან დეზებს...
თვალდახუჭული,
ალაღბედზე წავედი მისკენ.
ვიბორიალე ბნელ უღრანში,
მივცოცავდი ციკაბო კლდეზე,
უკვე რამდენჯერ ვაპირებდი უკან დახევას,
რამდენჯერ ლამის ჩავიჩეხე, მაგრამ არ ვჩივი...
მე შენ მიყვარხარ,
არ მიყვარდე არ შემოძლია!
არ შემოძლია დაგთმო!
ეს მე აღმოგაჩინე!

მეუბნებიან:
არ არსებობს ასეთი ტრფობა.
მეუბნებიან:
როგორც ყველა,
ისე იცხოვრე!
მტკივნეულია, ბევრი გსურს და
ვერაფერს ჰპოვებ.
ტყუილად სტანჯავ სხვებსაც,
თავსაც ტყუილად იღონებ!
მეუბნებიან: ამაოდ სწუხარ,
უძინარი, მშვიერი ნუ ხარ,
ძალ-ღონეს გართმევს!
მანაც დაიხვე, სულ ერთია,
ამიტომაც ახლავე
დასთმე!
... მაგრამ ის არის.
არის.
არის.
მაგრამ ის — აგერ,
აგერ,
აგერ,
ჩემს გულში ბუდობს,
თოთო ბარტყია.
მოედინება ჩემს ვენებში
გამდნარი ტყვია.
ის — ჩემს თვალეში სინათლედ კრთება,
ის — ჩემს ცრემლებში მარილად დნება,
მხედველობა და სმენა ჩემი,
მრისხანე ძალა,
ჩემი მზე,
ჩემი მთები და ზღვები!
თავდავინყების ჟამს — ის მიცავს,
სიცრუისგან — ჯავშანი მფარავს...
თუ არ იქნება, მასთან ერთად
წამსვე გავქრები!
...მაგრამ ამბობენ:
არ არსებობს ასეთი ტრფობა.
მეუბნებიან:

ვერონიკა ტუშნოვა არათუ ქართველი, არამედ რუსი მკითხველისთვისაც დიდი ხნის განმავლობაში ნაკლებად ცნობილი პოეტი ქალი იყო. ეს, ალბათ, გასაკვირიც არაა — სიყვარულის თემა ნაკლებად პოპულარული იყო კოლექტივიზმის ხანაში, ტუშნოვა კი მეტწილად სიყვარულზე წერდა. თუმცა, უკვე მრავალი წელია ძალიან პოპულარულია მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები — „I am in love with you“, „Nó i -am a n-ano iŷ“, „A čí dšó ii, mŷ, mŷ, áinšó !..“, „Am i i éi áe i m ŷ“.

პოეტს, რომელსაც პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა (ორჯერ იყო გათხოვილი და ორივე ქორწინება დაშორებით დასრულდა), სიცოცხლის ბოლო წლებში თავდავინყებით შეუყვარდა პოეტი და პროზაიკოსი ალექსანდრე იაშინი. ამ ურთიერთობამ განსაკუთრებული გავლენა იქონია მის ლირიკაზე. მისი ბოლო კრებულიც — „ბედნიერების ასი საათი“, რომელსაც უკვე მძიმედ ავადმყოფი წერდა, ამ სიყვარულის ერთგვარი დღიურია.

ისინი ერთმანეთს ფარულად ხვდებოდნენ — ქალაქგარეთ, სასტუმროებში, მეტყვევების ქოხებში... თუმცა, საბოლოოდ, ალექსანდრე იაშინმა, რომელიც მესამედ იყო დაქორწინებული, ვერ გადაწყვიტა, მიეტოვებინა სულიერად ავადმყოფი ცოლი და ოთხი შვილი.

1965 წელს იაშინმა ვერონიკა უკანასკნელად ინახულა საავადმყოფოში, როცა პოეტი ქალი სასიკვდილო სარეცელზე იწვა.

სამი წლის შემდეგ იაშინი გარდაიცვალა იმავე დღიანობით, რითაც ვერონიკა — სიმსივნით. გათვალისწინებული ვერონიკა ტუშნოვას ლირიკული ლექსების რამდენიმე ნიმუშს.

როგორც ყველა,
ისე იცხოვრე!
არავის მივცემ ნებას,
სული ჩამქრალი მქონდეს.
მე მართლაც ვცხოვრობ,
როგორც ყველა
იცხოვრებს ოდეს!

გთხოვ, მაპატიე, მე არ მახსოვხარ!
არ მახსოვს შენი ბაგე, მკლავები.
ხსოვნაში ვეძებ დღეთა სახსოვარს,
გაყრაზე ფიქრებს ვერ ვუმკლავდები.
იქნებ ოდესმე დავიცხრობთ ტკივილს,
უაზროდ გაქრა ყველა ოცნება,
ჯერ კი მილოდავს დღეების მწკრივი
და ჭრილობები ნელა ხორცდება.
შეხვედრაც, გაყრაც გვარგო ამგვარი
ცხოვრებამ, ჩვენი გზები არია.
მორჩა — ჩანაცრდა უკვე ლადარი,
მკაცრი ღმერთები სიცილს გვაყრიან.
მე არ მახსოვხარ, გთხოვ პატიებას!
გაყრას ვერჩევი და მაინც ვერ ვძლებ,
რუხი დღეები დღეებს მიება,
ისევ შენს ბაგეს და მკლავებს ვეძებ.

ჩემსკენ მომავალ ყველა გზას იჭრი,
რომ არ მიხილო და არ მომწერო,
ინანებ, ვიცი, და ფრჩხილებს მიჯრით
დაკვენეტ, გემო რომ დაგრჩეს მომწარო.
რომ არ მიხილო...
მაგრამ შენ მნახავ.
შემომხედავ და — ვერ მომწყვეტ მზერას.
შუალამისას ქარბუქში გახვალ,
მაგრამ ხსოვნას ვერ ნაუხვალ, ვერა.
— ორივე ხელით შევიპყრო, ნეტავ,
გადავაქროლო მთები და ზღვები!
რად არის ასე, ამგვარს რომ გხედავ?
ჩემი არ არის და ვერ ვეხები?
გაყინულ მიწას თოვლი ედება,
ხორხოშა თოვლის საფარი თხელი...
იყო, ხომ იყო ბედნიერება, —
ვერ გამოილო მჭედელმა ხელი.

წამიყვანე სამოთხეში,
ერთხელ გამაბედნიერე,
წყალი მასვი მწყურვალს პეშვით,
ოდნავ სული შემებერე!
განა არის ღრუბლებს მიღმა,
ანდა განა ცხრა მთის ძირას, —
იქ თოვლი დევს ფთილა-ფთილა,
აპრილის ბუქს მშვიდად სძინავს.
იქ სილურჯე დაჰკრავს ნაძვნარს,
ხეების ტანს ჟანგავს ხავსი,
ხან გაკრთება ციყვი სადღაც,
ვარდისფერი კვამლის მსგავსად.



მოლაპლაპებს ვერცხლისწყლისფრად,
წყალს ყინულის ფენა ბურავს...
შენ ერთხელაც
დილასისხამ
იქ მომიხმე ძველებურად!
მე შენს ჩრდილად ვივლი, სულაც
არაფრით არ შენუხდები...
ცოტას ვცოცხლობთ, გაზაფხულიც
წელიწადში ერთხელ დგება.
ფრინველების ტკბილ გალობას
ხმას აუწყობს სული როდის...
ასი ცოდვა შეგენდობა,
თუ ერთ სიტყვას იტყვი:
— მოდი!

მოლოდინი

დაუძლევი სუსხი დგას და
თითქოს ორთქლიც მოსდევს სუნთქვას!
თვალეში ხარ ახალგაზრდა,
გულს სიბერის ჟამი უდგას.

ცხოვრობ მშვიდად რა ხანია...
წყალობაა ესეც დიდი!
ალარ გახსოვს, როგორია,
როგორია მოლოდინი!

იჯდე გულხელდაკრეფილი
და ცდილობდე, ტკივილს სძლიო...
დაგავინყდა, ხმები ფრთხილი
რომ ნვავენ და ჩხვლეტენ ძლიერ...

გაჩხრიალდა კარის რაზა,
ვილაცის ხმა ისმის ფეხის,
ყველა ჩქამი ერთი ასად
მოასკდება სმენას მეხად!

უცდი — და დღე გაიწელა,
დასასრული აღარ მოდის...
მე თუ ვერ, სხვამ გაიძულოს,
რომ ითმენდე ასეთ ლოდინს!

სახლში ყოველი მოწყენილა,
მოძველებულა,
ხავსი აქვს ფიცრებს, ჭრიალებენ საფეხურები...
ფანჯრებს მიღმა კი — ალიონი
მოძალეზული,
აკვამარინის ცრემლი ტოტზე ჩამოცურდება.
ფანჯრებს მიღმა კი
უსასრულოდ ყვეფენ ყვავები,
და ბალახია საოცარი ხასხასა ფერის,
და ისმის გრგვინვა, თითქოს ცაზე ჩამოხვავდებოდა
უზარმაზარი მორების ჯერი.

ფანჯრიდან ვუმზერ,
ცრემლი მომდის ბედნიერების,
და ჯერაც მთვლემარს, სითბოთი მავსებს,
ვგრძნობ შენი გრილი მხარის შეხებას
ჩემს ცხელ ლოყაზე.

მაგრამ შორეულ, სხვა სახლში ხარ ახლა სრულებით,
ქალაქიც კი სხვაა, უცხოა.
და მბრძანებლურად მესაკუთრე ხელისგულები
ძვირფას გულზე სულ სხვას უწყვია.

...ყოველივე კი — ეს ალიონი,
ბალი, ხეები წვიმაში მდგომი, —
ეს მე, უბრალოდ, გამოვიგონე,
რომ ერთად ვიყოთ
მე და შენ ორნი.

იქნებ, ცოცხალი დავრჩები?
ვინ იცის, ვინ იცის?
სიხარული მხედვს არჩივად?
ვინ იცის, ვინ იცის?
იქნებ, ეს მძიმე წუთები
ცუდია არც ისე?
მარაგად ბედნიერების
შემომრჩა ნამცეცი...

ხომ დარჩა კიდევ: სხვა ღამე,
ზამთარი, თოვლის ზღვა,
და უიმედოდ, ცრემლამდე —
„ძვირფასო... მიყვარხარ!“
და შენს სახეზე წამიერ
შუქი რომ გაკრთება,
თითქოსდა შარავანდია,
წმინდანის ნათება.
სახლი ტყის გულში, გადივლის
ნამქერი, გვაჩუმებს
კარზე, ვით თეთრი ნადირის,
თებერვლის ფხაჭუნი...
შენ რომ ანთე ფითილი,
ჯერ კიდევ ანათებს,
როგორც ფარვანა ყვითელი,
საბრალოდ ფარფატებს...
რა ვუყო, სულს რომ ფარავენ
ღრუბლები საზარი?
ო, შენს თვალზე ალალი
თვალეები სად არის!
ო, შენი თბილი თვალეები
და, თითქოს განწვენი
მათრახს, ძილს არ გაკარებენ,
სიტყვები გკანარავენ.
...
ბედნიერება საჩვენო
შევძლო, რომ დაგროვდეს,
გადავრჩე, გადავარჩინო,
არ მოგკვდე, არ მოგკვდე!

არაფერი მაქვს სადარდებელი,
მამ, რად მაქვს თვალი
ცრემლებით სავესე?
ნუთუ, ეს გული ემშვიდობება,
რაც არის ქვეყნად ძვირფასი ასე —
ამ ბურუსიან მზის ჩასვლას ცაზე,
ამ ფოთლებისგან გაძარცვულ ტყესაც...
და ახლობელთან განშორებაზე
მე არაფერი არ ვიცი დღესაც.
ჯერ კიდევ მჯერა:
მოგვიანებით,
ოდესმე...
მარტში... ანდა მაისში...
ჩემს უკანასკნელ შემოდგომაზე.
მე არაფერი ჯერაც არ ვიცი.
სიზმრებს სულ უფრო სევდიანს ვხედავ,
მიძვირფასდება თვალეები შენი,
უშენოდ ყოფნა თანდათან ხდება
უფრო უაზრო,
სულ უფრო ძნელი!

უნდა უერთგულო სამარემდე,
ტრფობა მიიტანო აქამოდის,
დროულად უნდა განერიდო,
თუკი ერთგულება არ გამოდის.

დაე ნუ მოხდება ნურასოდეს,
მაგრამ რა მოგველის, ვიცით ხოლმე?
აღამიანები ვართ ყველა ოდეს...
მაინც — ერთი რამე დაიხსომე:

შენგან მიგდებული არ ვიქნები,
როგორც მტერს, ვერ მეტყვი ტყუილ-მართალს.
ისე დავმორდებით, ვით ეგების, —
ამაში ხელს თავად გაგიმართავ.

კარგი, შეგიძლია მიმატოვო,
დამშორდე, შეგიძლია, როგორც გნებავს —
ჩემი სიმდიდრიდან იცოდე, რომ
მეტი არაფერი მოგცემს.
უფლება აღარა გაქვს არაფერზე,
რაც იყო, ყველაფერი ისე რჩება.
ჩემი ჭირ-ვარამის საპირსონედ
მას ბედნიერება ვერ ერგება.
ის ვერც სიყვარულს,
ვერც მოფერებას
ვერაფერს შეიმატებს თუნდაც მისხალს!
შენ ვერ მოახერხებ,
არ გამოვა
ჩემი სულისგან თავი გამოიხსნა.
ყველა ცდა ამაო აღმოჩნდება:
არ არის სიყვარული — არც გექნება,
არის სიყვარული — ვერ გადაშლი
და ბედნიერება გაგიქრება.
აყალო მინას მიაყრი და
შესანდობარს შესვამ ფილიდან...
სახლში შებრუნდები — სიცარიელეა,
სახლიდან გამოხვალ — სიცარიელეა,
გულში ჩაიხედავ — სიცარიელეა,
ან და მარადის — სიცარიელეა!

თარგმნა პასილ გულუშრაბ

გიორგი ლორთქიფანიძე

იდუმალი, მამრამ ქალზე ბუნებრივი კავშირი



ანდრო ბუაჩიძის მოთხრობა „ოთხკედელი“ („ლიტერატურული გაზეთი“ N 110, 29 ნოემბერი-12 დეკემბერი) იმ იმეით ნაწარმოებებს მიეკუთვნება, რომელთა კითხვისას წამიერად გაგვეღვებს კეთილი აზრი — არა, რეაგირების გარეშე ეს არ უნდა დარჩეს!

ამ მოთხრობამ ერთბაშად სამი რამ გამახსენა — საკუთარი წარსული, ჩვენი გაუბედურებული სამშობლო 90-იანებში და კიდევ ის, რომ თანამედროვე ქართულ და ევროპულ პროზას შორის რაღაც იდუმალი, მაგრამ ძალზე ბუნებრივი კავშირი ჯერ კიდევ არსებობს, არ განყვეტილა.

უპირველესად, რაც მომეწონა (წერის ხარისხს არ ვგულისხმობ — ანდრო ბუაჩიძე შესანიშნავი კალმოსანი და სტილისტი ამ მოთხრობის შექმნამდეც იყო), ავტორის ადამიანური თუ ლიტერატურული სიღრმეა. გამაძიებელი მუშაისათვის — ყოველი, ყველაზე ყოფითი დეტალისა თუ მოვლენის მიღმა უფრო დიდი დეტალი თუ მოვლენა იკვეთება. რედაქცია — იმდროინდელი საქართველო; ლოთობა და მრუშობა — იმ საქართველოს ცხოვრების წესი, ქალაქში შემთხვევით მოხვედრილი არაიდელური „უცხოპლანეტელის“, თავგადასავლების იაპონელი მადიხელის სავალალო ბედი — ცენზურული გაუტანლობისა და იმდროინდელი ინტრიგანობისა თუ პოლიტიკურ-საინფორმაციო ცხოვრების მკვეთრი სიმბოლო, გაუთავებელი გზა სახლისკენ ჩაბნელებულ ქალაქში — იმედი და შუქურა, რომლის მისაღწევად დაგეშილი ქუჩის ძაღლებით სავესე უკაცრიელი მოედნის გადაჭრა გინევს... აი, უკვე რამდენი პლასტი გამოჩნდა და კიდევ რამდენი შეიძლება მოიძიოს დაკვირვებულმა თვალმა (იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი საქართველოც, გვინდა თუ არა, იმ „გუშინდელის“ უკანონო ნაყოფია, ისტორიაში კი უკვალოდ არაფერი ქრება). განსაკუთრებით კი ის მომეწონა, რომ მოთხრობა სრულიად თავისუფალია რაიმე კონიუნქტურისგან, ეგრეთ წოდებული „პოსტმოდერნისტული აქტუალობისგან“, რომელიც დღეს იმდენად გავრცელებულია, რომ ლამის სრულიად ჩაანაცვლოს ჭეშმარიტი ლიტერატურა. ავტორს კი პოსტმოდერნისტული „ილეთები“ და „ფინტები“ არაფერში სჭირდება, ისე ამბობს თავის სათქმელს. სტრიქონებს შორის მკაცრი რეალიზმი სუფევს. ანდრო ბუაჩიძე აღწერს წარსულს ისეთს, როგორც ის იყო სინამდვილეში — ყოველგვარი შეღებვების, ცრუ-პათოსისა თუ ისედაც მძიმე ყოფის კიდევ მეტად დამძიმების გარეშე. და მხოლოდ ბოლოს, ფინალში ავტორს თითქოს ახსენდება, რომ დიდ ლიტერატურას ფარული „ზეამოცანაც“ უხდება და ახალ, პირობითად კავკიანურ (ვეროპა!) ხერხს მიმართავს: აფართოებს დიდი მეტროსთან გაშლილი, ბიოლოგიური ჭუჭყითა და ნავთობის სავსე, „საბაზრო“ მოედნის საზღვრებს ლიტერატურული მეტაგალაქტიკის ფარგლებამდე — და რაღა უნდა მოთხოვო ნაწარმოებს ამაზე მეტი? დიახ, ეს ნააგავს კიდევ რაღაცით კავკას — ოღონდ არა ნაძალადევად ან ეპიგონურად. ეს ქართული ეროვნული ნიაღვრის ნამოსული ბუნებრივი და ევროპული კავკიანობაა — სავსებით თვითმყოფადი და ორგანული.

გარეგნულად მოთხრობაში აღწერილია — არც მეტი, არც ნაკლები — შიდასარედაქციო ბრძოლა არსებობისა და გადარჩენისთვის. ადამიანთა ნიღბების ეს ჭიდილი თითქმის უხილავი, მაგრამ იმავდროულად უმძაფრესი შინაგანი დრამატიზმითაა აღსავსე. კითხვისას თანდათანობით ხვდები, რომ შენს წინაშე არა რაღაც ჩამყვებულ დაწესებულებას და მორიგი „ცისფერი მთები“ (რომელიც შესანიშნავად აღწერდა საბჭოთა საქართველოს ბიუროკრატიული ევოლუციის შედეგებს, მაგრამ არ

შქონდა პრეტენზია მეტაფიზიკაზე), არამედ მთელი მამინდელი ქართული კოსმოლოგიური სამყარო. და ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც რედაქციის „ბოსები“ გულმოდგინედ მალავენ შარში გახვეული იაპონელი მოგზაურის ციხის საკანში მოთავსების საკმაოდ ბანალურ ამბავს მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ინფორმაციის გაუონვა არ აწყობთ, რადგან გარკვეულ წინააღმდეგობაში შევა იმ ეიფორიულ მიდგომასთან, რომელსაც ისინი იმ „უცხოპლანეტელის“ მიმართ აღწერ იჩენდნენ. ყველა „პასუხისმგებელი პირი“ პასუხისმგებლობას გაურბის და დუმის არჩევს — ერთი ადამიანის გარდა, რომელმაც შეიძლება სამსახური და ლუკმა პური დაკარგოს სუბორდინაციის უმნიშვნელო დარღვევის გამო. ლუკმის დაკარგვის ფიზიოლოგიური შიში ბნელ, ცივ და გულგრილ სამყაროში... მიუხედავად მეტაფიზიკური ბნისა, ფრიად ცხოვრებისეული ისტორიისა, არა? და განა დღესაც ასე არაა? არადა, იმ იაპონელის — როგორც ადამიანისა და პიროვნების — ბედიც სინამდვილეში ისევე არავის აინტერესებს და აღეგებს, როგორც იმდროინდელი (და, თუ გნებავთ, ამდროინდელი) საქართველოს მთელ დუნიაზე. დუნიაზე კი არა — ლამის ქართველებსაც აღარ გვაინტერესებს და საზოგადოებრივად მსოფლიოში ყველა დარღვევისტული ბრძოლით იყო გატაცებული მაშინაც და გატაცებულია დღესაც — რა შეიცვალა და რა დროს სამშობლოა? აი, ასეთი მძიმე ფიქრებიც გეძალება კითხვისას... არ ვიცი, შესაძლოა, სხვამ განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეს ანდრო ბუაჩიძის ტექსტს, მაგრამ ნაწარმოები იძლევა განსხვავებულად ამოკითხვის საშუალებას, რაც მის სიღრმესა და მრავალნაზნაგოვნებაზე მიუთითებს და, ჩემი წარმოდგენით, უდავო პლიუსია.

არ ვიცი, რა ნიშნით ახდენენ ჩვენი კრიტიკოსები და კოლეგა-ლიტერატორები ყოველწლიურად ათი საუკეთესო მოთხრობის სიის დადგენას. ალბათ, სადმე იკრიბებიან, მსჯელობენ, კამათობენ... პოსტმოდერნულ საუკუნეში არეალისტურ სანყისებზე აგებული ნარატივის დაფასების რეალისტურ დიდი შანსი გააჩნია. ჩვენში არსებული ე.წ. „მეინსტრიმი“ (შორს წამიყვანს იმაზე საუბარი თუ რატომ და ვისი ძალისხმევით) კარგა ხანია რეალიზმს აღარ ეკუთვნის, გაურბის მას. იმედი, დროებით — რადგან, გითხრათ მართალი, ნამდვილი ლიტერატურა მიმდინარე თუ ისტორიული მოვლენების რეალურად ასახვის გარეშე მე ვერ წარმომიდგენია, თუნდაც ეს რეალიზმი შემოქმედებითი აღსრულების პროცესში სხვა, უფრო „მოდური“ მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელი ხერხებითაც სარგებლობდეს. ანდრო ბუაჩიძის მიერ „ოთხკედელი“ მოქცეული ჩვენი ყოფიერება კი, ერთის მხრივ, აბსოლუტურად რეალისტურია, მეორეს მხრივ კი... არც ჩვეულებრივი რეალიზმია. უფრო კავკიანური მოდერნია რეალიზმის საბურველი, ან პირუკუ — რეალიზმის ნიღბქვეშ ამოფარებული კავკიანობაა. მარტო ის რად ღირს, რომ ფინალში დუნე სიცოცხლის უიმედო ნაკადი თითქოს ერთიანად წყდება, მაგრამ ცივი და მღვრიე მტკვარი განაგრძობს დენას ისე, რომ არ ირეკლავს ვარსკვლავებით მოჭედილ (ეს იგულისხმება) ცას, დიდიმის ტრიალი მინდორს შეჩვეული ქუჩის ძაღლების ყეფა უცებ ქრება და გარშემო იმედის დაახლოებით ისეთი ატმოსფერო იქმნება, როგორც „პროცესის“ უკანასკნელ სურათში — როდესაც მსხვერპლად განწირული უკანასკნელ მზერაში უცნობი ხელანდენილი ქალის სილუეტი გაივლებს. ოღონდ იმ პრინციპული განსხვავებით, რომ კავკას გმირი იმ იმედის ნაპერწკალთან ერთად კვდება, უფრო სწორად მას კლავენ, ანდრო ბუაჩიძე კი უტოვებს თავის გზად მიმავალ გმირს არჩევანსა და იმედს — დიდიმის ხიდის გაერთიანებისაკენ. და ეს ძალიანაც კარგია!

ლიტერატორი

ირმა რატიანი:

ინსტიტუტი სავსე თავთავს ჰგავს

ირმა რატიანი — მეცნიერი, მთარგმნელი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო ჟურნალის — „სჯანის“ რედაქტორი, 8 ნიგნისა და 70-ზე მეტი მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი.

ირმა რატიანი ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო კულტუროლოგიურ ფორუმებში. 2013 წლის 2-4 დეკემბერს იმყოფებოდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც მეორე საერთაშორისო კულტურული ფორუმის ფარგლებში წაიკითხა ლექცია ქართული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებზე.

— ქალბატონო ირმა, როგორ აღმოჩნდათ პეტერბურგის საერთაშორისო ფორუმზე?

— პეტერბურგის საერთაშორისო ფორუმზე გავემგზავრე რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის („პუშკინის სახლის“) დირექტორის, ბატონ ვსევოლოდ ბაგნოს მიწვევით. მას დიდი სურვილი ჰქონდა, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, პეტერბურგის აკადემიური წრეების წინაშე წარმეგვინა თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი და გამართულიყო პროფესიული დიალოგი იმ ვითარების გარშემო, რომელიც დღეს რეალურად არსებობს. რუსი კოლეგის სურვილი დამეხმება ჩემს სურვილს: მიმარჩია, რომ დე ფაქტო კულტურული რეალობის კვალიფიციური ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანია სწორი შეფასებებისა და პოზიციების შემუშავების თვალსაზრისით, ხოლო უშუალო დიალოგი აკადემიურ წრეებს შორის ამ სწორი შეფასებებისა და პოზიციების დანერგვის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

— კონკრეტულად რა იყო თქვენი გამოსვლის თემა და დანიშნულება?

— მე წავიკითხე საჯარო ლექცია სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში თემაზე — „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობები გუშინ და დღეს“. გარდა ამისა, სიტყვით გამოვედი მრგვალი მაგიდის სხვადასხვა, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო კულტუროლოგიურ პრობლემებს და რომელშიც მონაწილეობდნენ თეორიული ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენლები, პროფესიონალი მთარგმნელები, აგრეთვე, ცნობილი მწერლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (საფრანგეთი, ამერიკა, სერბეთი, რუსეთი, ჩინეთი და სხვ.)

— ქართულ-რუსული ურთიერთობები გუშინ, ეს ფაქტი და საკმაოდ ცნობილი, მაგრამ დღეს... არსებობს რაიმე საგულისხმო, არსებითი, ხელშესახები?

— საქმეც ის არის, რომ ეს ურთიერთობები დღეს ფაქტობრივად არ არსებობს და ამას, ცხადია, თავისი სერიოზული მიზეზები და საფუძველი აქვს. საბჭოთა რეჟიმის დასრულების შემდეგ, 90-იან წლებში, საქართველო არაერთი მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა: „საბჭოური მთლიანობის“ პოლიტიკამ „ბოროტების იმპერიის“ ნაწილებში გადანიშნა და გზა დაუთმო დაძაბულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებსა და გამწვავებულ ეთნიკურ კონფლიქტებს. საქართველოს თავს დაატყდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ომები, რამაც მოიტანა სისხლისღვრა, ათასობით ადამიანის სიკვდილი, ტერიტორიების დაკარგვა... რუსეთის მოქმედება საერთაშორისო საზოგადოების მიერ შეფასდა როგორც ოკუპაცია, ხოლო ქართული და რუსული კულტურული წრეები სრულიად ლოგიკურად აღმოჩნდნენ ერთმანეთისგან დისტანცირებულნი.

დღესდღეობით ეს დისტანცია საკმაოდ საგრძნობია, აკადემიურ წრეებსა და ინტელიგენციას კი ერთურთის აზრი კულტურულ-ლიტერატურულ რეალობასა თუ შეხედულებებზე გამრუდებული პოლიტიკური პიარის მიღმა მიეწოდება... საქმე ის არის, რომ დღევანდელი საქართველო და რუსეთი არაფრით აღარ ჰგვანან იმ ქვეყნებს, რომელთაც ოდესღაც რუსეთის იმპერიის საზღვრები, ხოლო მოგვიანებით „მშერი ოჯახის“ საბჭოთა იდეა „ამთლიანებად“ დღეს საქართველო და რუსეთი დამოუკიდებელი ქვეყნება, ცალკე პოლიტიკური ერთეულები, განსხვავებული სოციალ-პოლიტიკური კურსებითა და ამოცანებით. თანამედროვე ქართულ-რუსული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების შესაძლებლობაც, პირველ ყოვლისა, ამ რეალობის აღიარებას გულისხმობს. ნოსტალგიური მზერა უკან — იქნება ეს რომანტიზმის ეპოქის თუ სიმბოლიზმის პერიოდის მწერლობის

მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობები (ან ნებისმიერი სხვა ეტაპი ამ ურთიერთობებისა) — ვერ გამოდგება კონტაქტების ახალი ეტაპის დასაწყებად: წარსული, რამდენად მიმზიდველიც არ უნდა იყოს ის, ქართული სახელმწიფოს კოლონიურ მდგომარეობას უკავშირდება და შეუთავსებელია ახალი ქართული ცნობიერების ფორმირების პროცესთან. მეხსიერება არსებობს იმისთვის, რომ გვახსოვდეს, ხოლო დღეს საჭიროა ინოვაციური კულტურული ამოცანებისა და მეთოდების გამოკვება, თვისებრივად ახალი, ორმხრივად საინტერესო საქმიანი ურთიერთობების დანერგვა, აქტუალური სამეცნიერო პროექტების დამუშავება, დიალოგების გამართვა მრგვალი მაგიდის ფორმატში. ამ ინიციატივების რეალიზაცია კი, პირველ ყოვლისა, უნდა დაეფუძნოს პარიტეტულ საწყისებს, ურთიერთპატივისცემისა და აღიარების პრინციპებს. თუკი რუსული საზოგადოების პროგრესული ფრთა მომზადებული აღმოჩნდება მსგავსი ინფორმაციული ნაკადისათვის, კვალიფიციურმა კულტურულმა და ლიტერატურულმა დიალოგმა შესაძლოა გარკვეული გავლენა იქონიოს საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებაზე. ასეთი იყო ჩემი ლექციის პათოსი.

— როგორ შეხვდნენ თქვენს ლექციას?

— სწორედ იმიტომ, რომ მსმენელთა დიდი ნაწილი სანკტ-პეტერბურგის ინტელიგენციას წარმოადგენდა — სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მწერლები, მთარგმნელები, გამომცემლები, მსხვილი ლიტერატურული ჟურნალების რედაქტორები — აუდიტორია პოზიტიურად შეხვდა ლექციის პათოსს, თუმცადა, ზოგიერთს მაინც ჰქონდა კრიტიკული კითხვები ლექციის იმ ნაწილთან, რომელიც ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების სრულიად ახალ, ინოვაციურ ჭრილში წარმართავს ეხებოდა.

ძალიან დიდი ინტერესი და გაოცებაც კი (ალბათ, მისი მრავალფეროვნებისა და მასშტაბურობის გამო) გამოიწვია თანამედროვე, პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურული პროცესის წარდგინებამ (ასეთი რეაქცია ჩემთვის ცოტა მოულოდნელიც კი იყო): აუდიტორიას ან საერთოდ არ ჰქონდა არავითარი ინფორმაცია, ანაც ჰქონდა ძალიან მცირედი პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურის შესახებ! ლექციის შედეგ, თითქმის საათის განმავლობაში, ვასუსობდი უფრო დეტალურ შეკითხვებს ამ საკითხის გარშემო.

— მაშ, რა იცან რუსებმა თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ?

— დიდმა ნაწილმა — ბევრი არაფერი. ძალიან მცირე წრემ — ლიტერატურული კრებულებისა თუ ჟურნალების რედაქტორებმა, ცალკეულმა ავტორებმა და მთარგმნელებმა, რომელთაც პირადი კონტაქტები აქვთ ქართველ მწერლებთან და პოეტებთან, ამ კონტაქტების მეშვეობით, როგორც ჩანს, მოახერხეს გარკვეული წარმოდგენის შექმნა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო პროცესზე. თუმცადა, მსგავსი პრაქტიკები ხშირად ტენდენციურ და ნაკლებად კვალიფიციური ხასიათს ატარებს. ქართულ-რუსული კულტურული დიალოგი, თუკი ის შედგება, უსათუოდ სწორ კალაპოტში უნდა წარიმართოს და მიმართული იყოს ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვისაკენ — ქართველმა მეცნიერებმა, მწერლებმა, პოეტებმა თუ მთარგმნელებმა სწორედ ის ღირებულებები უნდა გამოკვეთონ, რომელთა აქცენტირებაც აუცილებელია ორ ქვეყანას შორის ჯანსაღი კულტურული ურთიერთობების ახალი ეტაპის შესაქმნელად.

— ამგვარი დიალოგის აღდგენა ალბათ წარმოუდგენელი იქნება მთარგმ-

ნელობითი საქმიანობის განახლების გარეშე?

— რასაკვირველია. ჩემი ლექციის დასკვნითი ნაწილი სწორედ ამ პრობლემას შეეხებოდა. რეალური სურათი ასეთია: თანამედროვე ქართული ლიტერატურის თარგმნა რუსულ ენაზე პრაქტიკულად შეწყვეტილია (თუ არ ჩავთვლით ორ-სამ რომანს და რამდენიმე ათეულ ლექსს), ისევე როგორც უკიდურესად შემცირებულია თანამედროვე რუსული ლიტერატურის თარგმნა ქართულ ენაზე (რუსული კლასიკური ლიტერატურა მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს პოზიციებს). მოგეხსენებათ, თარგმანი ინტერკულტურული კომუნიკაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს, თუმცადა, მისი ფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ითარგმნება, რისთვის და როგორ. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ნიშნავს თარგმანის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განსაზღვრასა და მის მორგებას თანამედროვე სტანდარტებზე: ვგულისხმობ თარგმანის ტექნოლოგიებს, მოთხოვნის ბაზარს, წიგნის ბაზარს და ა.შ. მახარებს, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული ლიტერატურის თარგმნის საკითხს, მისი ინტერნაციონალიზაციისა და პოპულარიზაციის მიზნით. ქართული სახელმწიფო სულ უფრო და უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთრი ლიტერატურული პროდუქციის გავრცელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, 2011 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ტარდება ლიტერატურული ფორუმ-დიალოგები; ბოლო პერიოდში საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო წიგნის ფესტივალების აქტიურ მონაწილედ გვევლინება; 2013 წლიდან დაწესდა პრემია „საბა“-ს საგანგებო ნომინაცია ქართული ტექსტების უცხო ენებზე მთარგმნელთათვის; შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ეროვნული სამეცნიერო საგრანტო ფონდის მხარდაჭერით, უკვე მესამე წელი იმართება თარგმანის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა, ხოლო ქართველ კომპარატივისტთა ლიტერატურულმა ასოციაციამ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, შექმნა ახალი ვებ-გვერდი — „თარგმანის ლაბორატორია“. ქართული ლიტერატურა, რომელიც ორენოვანია და ფართო მომხმარებლისთვის არის განკუთვნილი. ვფიქრობ, რომ ყველა ეს ინიციატივა ძალზე მნიშვნელოვანია და შემდგომ ხელშეწყობას საჭიროებს.

— ვიზიტის დროს, ხომ არ გამოიკვეთა კონკრეტული სამეცნიერო პროექტები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა ექნება ქართული მეცნიერებისთვის?

— დიახ, ასეთი პროექტები გამოიკვეთა. ერთი მათგანი ეხება ქართული და რუსული ლიტერატურების ინსტიტუტების კოლაბორაციას საარქივო მუშაობის მიმართულებით, რამაც ქართულ ლიტერატურულ სივრცეს არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე უნდა შესძინოს; მეორე საპროექტო ნინადადება კონკრეტულ ტექსტოლოგიურ კვლევასა და კვლევების შედეგების გამოცემას შეეხება; არის კიდევ ერთი ძალზე საინტერესო ნინადადება, რომელიც თბილისის ყოველწლიური ლიტერატურული ფორუმ-დიალოგის ფარგლებში შეიძლება დაიგეგმოს... ვნახოთ.

— როგორია თქვენი საახალლო გეგმები? რა სიახლეებს შესთავაზებს ჩვენს საზოგადოებას ლიტერატურის ინსტიტუტი?

— გასული წელი ძალზე პროდუქტიული აღმოჩნდა ქართული ლიტერატურის



ინსტიტუტისთვის. ის არაერთი საინტერესო ღონისძიებით აღინიშნა. მათ შორის: ინსტიტუტმა გამოცა მალალკვალდიციური სამეცნიერო თარგმანები — ფერდინანდ დე სოსიურის „ლინგვისტიკა და სემიოლოგია“ და ჟან მარკ მურას „ფრანკო-ფონური ლიტერატურები და პოსტკოლონიური თეორია“, სახელმძღვანელო — „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“ (მეორე გამოცემა), „გალაკტიონოლოგია“ მე-7 ნიგნი, „ლექსმცოდნეობის“ მე-5 ნიგნი, აკაკი წერეთლის აკადემიური გამოცემის მე-3 ტომი (რითაც დასრულდა პოეზიის ტომების ნაწილი), ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალებისა და კრებულების — „სჯანი“, „ლიტერატურული ძიებანი“, „კრიტიკა“, „რუსთველოლოგია“ „ქართული ფოლკლორი“ — მორიგი ნომრები, სლოვენიაში, გამომცემლობა „გორასთან“ თანამშრომლობით, — კრებული „ლომ-ფერი მწვერვალები. თანამედროვე ქართული მოთხრობა“ (სლოვენური ენაზე); გარდა ამისა, ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ინსტიტუტმა მოიპოვა ექვსი სამეცნიერო გრანტი, აქედან — ხუთი ფუნდამენტური და ერთი გამოყენებითი, მივიღეთ, ორი საერთაშორისო გრანტიც; ინსტიტუტში ჩატარდა რიგით მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი (156 მონაწილე, აქედან — 68 უცხოელი), გაიმართა თემატური საერთაშორისო კონფერენცია და რამდენიმე ლოკალური კონფერენცია; მოენყო საერთაშორისო საზაფხულო სკოლა თარგმანში სამი ენობრივი გვერდის მიმართულებით და ჩატარდა სტუდენტური კონკურსი თემაზე — „ქართველ ემიგრანტთა ლიტერატურულ მოღვაწეობაზე“... ვფიქრობ, ამ ღონისძიებებმა ერთობადა გაზარდა ინსტიტუტის ისედაც საკმაოდ მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი.

2014 წელს ინსტიტუტი ახალი სამუშაო გეგმებითა და დიდი იმედებით ხვდება. გვერა, რომ სახელმწიფო მიიღოს ღირსეულ გადაწყვეტილებას ამ მართლაც დიდი ტრადიციებისა და აკადემიურ-კულტურული მნიშვნელობის მქონე ეროვნული კვლევითი ცენტრის მომავალი მოწყობის შესახებ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბოლოდროინდელი მოღვაწეობა თანამედროვე ფილოლოგიური სტანდარტებისაკენ ქართული ეროვნული მეცნიერების სწრაფვის, საერთაშორისო პროცესში მისი ღირებული ჩართვისა და ინტერნაციონალიზაციის დადასტურებაა. ასეთი რანგის კვლევითი ინსტიტუტით ბევრი ქვეყანა იამაყება.

2014 წლის იანვარშივე ინსტიტუტი ძალზე საინტერესო ახალ გამოცემებს შესთავაზებს მკითხველებს: სერია „ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი“-ს მესამე ნიგნს — „ათონის სალიტერატურო სკოლა“, ლიტერატურის ქრესტომათიის მესამე ტომს და როლად ბარტის საეტაპო ნაშრომის — „S/Z“ თარგმანს. დაგეგმილია, აგრეთვე, ორი ძალზე საინტერესო ვებ-გვერდის პრეზენტაცია და მერვე საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის სამუშაო თემის გამოცხადება (მოლოდინი დიდია!). და, რაც მთავარია: ტრადიციული საახალლო შეხვედრა ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის! მინდა ვუსურვო ჩემს კოლეგებს ჯანმრთელობა, სიმხნევე, წარმატებები და მათი შრომის სათანადოდ დაფასება: ჩვენი ინსტიტუტი, მისი კოლექტივი, იმ სავესე თავთავს ჰგავს, რომელიც ფუყესაგან განსხვავებით, კი არ ყელყელაობს, არამედ თავდახარილი აკეთებს თავის საქმეს — ჩვენს შემთხვევაში, საქვეყნოს.

ესაუბრა ივანე ამირხანაშვილი

საახალწლო საღამო მწერლებთან

მწერალთა სახლმა 2013-ის გაცლივ-
ბა და ახალი წლის შემოსვლა ერთგულ
თანამოსახლეებთან — მწერლებთან და
პოეტებთან ერთად აღნიშნა.

ახალი წლის მოახლოებას რაღაც ჯა-
დოსნური ხიბლი ისედაც ახლავს და ამ
„ზღაპარში“ ნებისმიერი ასაკის ადამიანი
დაჯერებულიად, გატაცებით მონაწილე-
ობს, რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდ-
ინშია.

მწერალთა სახლში ახალი წლის საღ-
ამოზე მისულ სტუმრებს სადღესასწაულო
განწყობა ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე
შეექმნათ. გამხიარულებულმა ბუხარმა,
ლამის ჭერამდე აზიდულმა საახალწლო
ნაძვის ხემ, სადღესასწაულო ფურშეტმა,
გაჩახჩახებულმა დარბაზებმა და სტუმარ-
თა ინტერესმა, რა სიურპრიზები ელოდათ,
ან რა მოხდებოდა იმ საღამოს, გან-
საკუთრებული სადღესასწაულო სული
დაატრიალა მაჩაბელზე. იმგვარი განწყ-
ობა სუფევდა, თითქოს გარეთ ბარდნიდა,
თითქოს ერთიანად ცოცხლდებოდა ყვე-
ლა ტექსტი თუ გადმოცემა, რაც ახალი
წლის ღამეზე ოდესმე დაწერილა თუ
მოთხრობილა. ჩვენ, ყველანი, იმ ჯადოს-
ნურ სახლში ვცხოვრობდით, იმ ერთი
დიდი ზღაპრის მონაწილენი ვიყავით. ზღა-
პარს კი არც დასაწყისი ჰქონდა, არც —
დასასრული.

სტუმრები თანდათან ემატებოდნენ,
მოიკითხავდნენ, ულოცავდნენ ერთმანეთს
და ეკითხებოდნენ: „ნეტავ რას უნდა
ველოდეთ?“ „ხომ არ იცი, რაა დაგეგმილი
ამ საღამოს?“ პასუხებიც ისმოდა: „ამის
შესახებ არაფერი ვიცი“, „წარმოდგენა არ
მაქვს“, „როგორი საინტერესო მოლოდინ-
ია“.

შემდეგ ერთ-ერთი ოთახის კარი გაიხ-
სნა და სტუმრებმა მრავალფეროვანი
ხილით, ტკბილეულითა და სასმელით დახ-
უნძლული სუფრის გარშემო მოიყარეს
თავი. თითო ჭიქა ყველამ ასწია, დაილო-
ცა, სადღესასწაულო შეგრძნებები
გაიმძაფრა და უკვე სასმისით ხელში გა-
დაინაცვლა დიდ დარბაზში, სადაც მწერ-
ალთა სახლის მშვენიერმა, ყველასთვის
საყვარელმა დიასახლისმა და გულითად-
მა მასპინძელმა ნატა ლომოურმა დამდე-
ვი 2014 მოგვილოცა და სადღესასწაულო
პროგრამა გაგვაცნო.

საქართველოს მწერალთა სახლი 2013
წელს, დაახლოებით ექვსი თვის წინ გაიხს-
ნა და მიუხედავად იმისა, რომ ამ წლის გან-
მავლობაში სირთულეები მრავლად ჰქონ-
და, იქ მომუშავე რამდენიმეკაციანი
ჯგუფის მონდომებისა და ძალისხმევის
შედეგად მოახერხა მდიდარი, დატვირთუ-
ლი ცხოვრებით მცხოვრებ კულტურულ
სივრცედ გადაქცეულიყო. მისი კარი
პირველივე დღიდან ღია სხვადასხვა
კულტურული, სახელოვნო ჯგუფები-
სთვის, თუმცა სახლის ყოველდღიურობა-
ში განსაკუთრებული ადგილი მაინც მწერ-
ლობასა და მწერლებს უჭირავს. რით
დაამახსოვრდება ამ სახლის სტუმრებს
2013? დაუფინყარი შეხვედრებით საყ-
ვარელ ავტორებთან, მთარგმნელებთან,
არაჩვეულებრივი ნიგნების პრეზენტაციე-
ბით, შთამბეჭდავი გამოფენებით, საუბრე-
ბით ლიტერატურაზე, „საბას“ პრემიის
ლაურეატების მოსმენით, დავით სარაჯიშ-

ვილის იუბილისადმი მიძღვნილი კვირეუ-
ლით, „ნობელის დღით“, პოეზიისა თუ
პროზის საუკეთესო ნიმუშების საჯარო
კითხვით, ამა თუ იმ მწერლის ხსოვნისად-
მი მიძღვნილი გულისამაჩუყებელი
ლონისძიებებით, გადაჭედული დარბაზით,
თბილი, მხიარული, შემეცნებითი თავყრი-
ლობებით, გულთბილი მასპინძლებით,
საინტერესო კულტურულ ცხოვრებაში
თანამონაწილეობით.

ნატა ლომოურმა განვლილი წლის შე-
ფასებისას იმ ტრადიციებზეც ისაუბრა,
დავით სარაჯიშვილმა და მისმა ოჯახმა
რომ დაუდო საფუძველი და დღემდე რომ
ცოცხლობს. შემდეგ საზოგადოებას მიმარ-
თა: „დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩვენ
გვერდით იდევით გასული თვეების განმავ-
ლობაში. ჩვენ გვექონდა სირთულეებიც,
სიხარულიც, წინსვლაც, გვექონდა ძალიან
კარგი ღონისძიებები. მთავარია, რომ
დღეს ამ სახლში ისევ იკრებიებიან მწერლე-
ბი, და არამარტო ისინი, ვფიქრობ, ორგანი-
ზაცია, რომ სახლი კულტურულ კერად
იქცა, ორგანიზაცია, რადგან ხშირად ცდი-
ლობენ ესა თუ ის სივრცე კულტურისა და
ხელოვნების ცენტრად გადააქციონ, მა-
გრამ არაფერი გამოდის. რასაკვირველია,
ეს არის მწერალთა სახლი, ღონისძიებების
უმეტესი პროცენტი ლიტერატურული ხა-
სიათისაა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვცდი-
ლობით, ფართოდ გავუხსნათ კარი სხვა სახ-
ელოვნებო სფეროების წარმომადგენლებ-
საც...“

ფიქრობ, ეს სახლი უნდა გადაიქცეს
ისეთ ადგილად, სადაც თქვენ, მწერლები
მოხვალთ, შეხვედრებით მოგობრებს, მოი-
წვევთ ჟურნალისტებს, მისცემთ ინტერვი-
უებს, ეს უნდა იყოს ადგილი, სადაც ყველა
თავს იგძნობს სახლში, თავს იგძნობს
კომფორტულად. იმისთვის, რომ ეს სურ-
ვილი რეალობად იქცეს, თქვენი დახმარე-
ბაც დაგვჭირდება. თქვენ ხელოვანი
ხალხი ხართ, იდებო გაქვთ, ამ სახლში კი
მუშაობს თქვენდამი კეთილგანწყობილი
ნიჭიერი ადამიანებისგან შექმნილი პატ-
არა ჯგუფი, ისინი მზად არიან დაგეხმა-
რონ ამ იდეების განხორციელებაში,
პროექტების შექმნაში. ასე რომ, იყავით
ჩვენთან და ერთად შევასხათ ხორცი ახალ-
ახალ წამონწყებებს.“

პატარა, მრგვალ მაგიდაზე საახალწ-
ლო საჩუქრები იდო. გასაკვირი არ არის,
რომ იმ სასაჩუქრე ყუთებში სწორედ წიგნე-
ბი ენყო და არა სხვა ნივთები. ცნობილი
ქართული გამომცემლობების მიერ დას-
ტამებული მსოფლიო ლიტერატურის
საუკეთესო ნიმუშები ახალ მფლობელს,
მკითხველს ელოდა. თუ ვინ მიიღებდა
საჩუქარს, ამას ვიქტორინა გამოავლენდა,
ვიქტორინას კი მწერალთა სახლის თანამ-
შრომელი, მამო სამადაშვილი უნდა
გაძღობოდა. აი, დაიწყო კიდევ ვიქტო-
რინა და უკლებლივ ყველა სტუმარი გატა-
ცებით ჩაება თამაშში. შეკითხვები მწერ-
ალთა სახლს ეხებოდა, ახლა გაირკვეოდა,
ვინ იცოდა კარგად სარაჯიშვილისეული
სახლის ისტორია აშენებიდან დღემდე.
მამო სამადაშვილმა და დათო გაბუნიამ
წინასწარ გაგვავრთხილეს, ადგილიდან
პასუხის წამოძახებებს არა ვართ, ხელი
ასწივთ და სიტყვას მოგცემთ.

„სად შეისწავლა კონიაკისა და ღვინის

წარმოება დავით სარაჯიშვილმა?“

„ვინ იყო დავით სარაჯიშვილის
მეუღლე?“

„სარაჯიშვილის დაბადებიდან მერამ-
დენე იუბილე აღინიშნა ახლახან მწერალ-
თა სახლში?“

„ვინ იყვნენ ამ სახლის თბილისელი არ-
ქიტექტორები?“

„რა ერქვა დავით სარაჯიშვილის დროს
მაჩაბლის ქუჩას?“

„რომელი ქართველი კლასიკოსი ცხ-
ვრობდა ერთხანს ამ სახლში?“

„ვინ იყო ის 5 ახალგაზრდა, რომელმაც
დავით სარაჯიშვილის სტიპენდიით გა-
ნათლება საზღვარგარეთ მიიღო და
შემდგომში ცნობილი მოღვაწე გახდა?“

„როდის გაიხსნა მწერალთა სახლი?“

სულ ათი შეკითხვა დაისვა, ათი გამარ-
ჯვებული გამოვლინდა და, შესაბამისად,
ათი წიგნი გაიცა საჩუქრად. ერთს ჰაინ-
რიხ ბოლის ფონდის მიერ, პროექტ „50 ქა-
ლის“ ფარგლებში გამოცემული წიგნი
„კატო მიქელაძე“ ერგო, მეორეს „არეტეს“
გამომცემელი თორნთონ უაილდერის
„მეფე ლუდოვიკ ნმინდას ხიდი“, სხვებმა
ჯეიმს ჯოისის „ულისე“, პოლ ოსტერის
„მისნის ღამე“, მაქსველ კუტზეის „სირცხ-
ვილი“, ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუ-
ბი“, ოთარ ჭილაძის „პოეზია“ დაიმსახ-
ურეს. მეც დამასაჩუქრეს! იმისთვის, რომ
ვიცოდი პასუხი შეკითხვაზე, სად დაეუ-
ფლა სარაჯიშვილი კონიაკის დაყენების
ტექნიკასა და წარმოებას, ავგუსტ
სტრინდბერგის „რომანი და პიესები“ გად-
მომცეს. საჩუქარმა უზომოდ გამახარა.
ერთ-ერთმა მონაწილემ ორი წიგნიც კი
დაიმსახურა.

ვიქტორინის დასრულებისთანავე
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული
ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის
დირექტორმა, ლამა ბაქრაძემ ნატა ლო-
მოურს საჩუქრად გადასცა ლიტერატურ-
ის მუზეუმის 2014 წლის კალენდარი.

დასაჩუქრებების შემდეგ სტუმრების
ნაწილი ფურშეტს დაუბრუნდა, ნაწილმა კი
სიგარეტი გააბოლა — ოლონდ, გარეთ,
ყინვაში კი არა, შუშაბანდში, ვერანდაზე
რომ გადის და ზამთრობით დახურულია.
იქ მზრუნველ მასპინძლებს საფერფლე-
ბი დაეწყოთ და გამათბობელიც კი
დაედგათ.

უკვე ვიცოდით, რომ საღამოს მერაბ
ნინიძისგან ლექსების კითხვა დაავგირ-
გვინებდა. ამას ყველა მოუთმენლად ელო-
და და ეს მოლოდინი ბუნებრივად იყო. აკი
ახალ წლამდე ცოტა ხნით ადრე მწერალთა
სახლში გამართული შეხვედრა ბატონ მერ-
აბთან, სადაც მან „ჰამიშით მთვრალი დე-
კადენტების“ სახელით ცისფერყანწლებ-
ის პოეზია გაახმოვანა, ბევრმა წლის ერთ-
ერთ საუკეთესო ღონისძიებად მიიჩნია.

საახალწლო საღამოს კი პაოლო იაშვი-
ლის მხოლოდ ერთი ლექსის წაკითხვას
აპირებდა — „წერილი ანა ახმატოვას“. წა-
კითვის შემდეგ წიგნი დახურა კიდევ, მა-
გრამ საზოგადოების თხოვნას დამორჩილ-
და — ერთ ლექსს, მეორე მოჰყვა, მეორეს
— მესამე. კიდევ ერთიცო, გაისმოდა აქეთ-
იქიდან შეძახილი თუ თხოვნა. თავიდან, სა-
ნამ კითხვას დაიწყებდა, ბატონმა მერაბმა,
მსახიობებისა არ იყოს, დიდი ხმაურიანი
ხალხი ხართ ეს მწერლებო, მერე კი ყველა
გასუსული ისმენდა ლექსებს. ალბათ მწერ-
ალთა სახლში სწორედ ლექსების კითხვაში
უნდა გასულიყო ძველი და შემოსულიყო
ახალი წელიწადი. ასეც მოხდა, პაოლოს
ლექსების მოსმენა საახალწლო საჩუქრად
გაგვყვა ყველას ამ თბილი სახლიდან...

მომზადდა თამარ ჟურნალმა
გურამ ნიხაშვილის ფოტოები



დავიუბი

რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან:

როცა დილით ერთ-ერთი მეზობლის ჩახლეჩამდე ანიკვინებულმა ხმამ გამო- მალვიდა, ისეთი განზრახვა გამიჩნდა, აშკარად რომ ისჯებოდა ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით — ამელო სამზარეულოს დანა და იმ ქა- ლის ყელში რამდენჯერმე ჩამეცა, თავისი უბედურებით სხვებსაც რომ ამწარებდა (ვისაც მისი ნივილ-კივილი საკუთარი ყურით არ მოუსმენია, ნუ განმსჯის).

ჩემი ხმაურიანი სამეზობლოს გადა- მკიდე, ტკბილი ძილი დიდი ხანი იყო შორეულ ოცნებად მექცა — ჩვენს ციციქ- ნა, საერთო ეზოს რა არ დაუტევია — ღამით ატეხილი ქურდული გარჩევები, საკუთარი ფინანსური მდგომარეობით უკ- მაყოფილო მეძავთა საპროტესტო სცენე- ბი (განრისხებულები, რატომღაც, ვინმე კონკრეტულს კი არ მიმართავდნენ, არამედ ზოგადი მიმართულებით გაჰყვი- როდნენ — ბოზებოოოოოო, გათახსირე- ბულებოოოოოო, ქურდებოოოოოო — აშკარად არ გვაქვს კარგი რეპუტაცია), მეზობლური გარჩევები („რა იქნა ბოლოს- დაბოლოს, მართლა სანაგვეში ხომ არ ვცხ- თვობთ! გავწყვიტე ქალი წელში, დილიდან ვხვეტავ, გამოივლის ვიღაც ნაბოზარი და ნაგავს მიყრის! ფულს მაინც მიხდიდეთ, თქვენი დედა!.. გადაეუკეტავ ყველას წყ- ალს და ეგ იქნება!“)...

ცხადია, მინიერ სამოთხეს ვეზიარე (სულ რაღაც ორას ორმოცდაათ ლარად თვეში) და მერე რა, თუ ღამით, სასუსნავის საყიდლად გასულს (როცა ჩემი მიამიტო- ბის მიზეზით, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ უახლოეს მაღაზიაში მისვლამდე შეიძლე- ბოდა ის სასუსნავისთვის განკუთვნილი ფული, სულ მცირე, ცხრაჯერ „დამეკარ- გა“), ოდისევისთვისაც კი შესაშური ხი- ფათები დამატყდა თავს?! საბოლოოდ ხომ მაინც უმნიშვნელოდ ჯანმრთელობაშე- ლახულმა მოვადინე უკანვე (ექიმმა სახიფ- ათო არაფერია)?

ასე რომ, როცა სამზარეულოს დანასა და მეზობელი ქალის ყელზე ესთეტიკურად ულამაზო ფიქრები ავანყვე, ვიფიქრე, ჩემზე სამეზობლოს აურამ თუ იმოქმედა- მეთქი. აქამდე ხომ წარმოდგენაც არ მქონ- და, რომ ამგვარმა ბოროტებამ შეიძლება ადამიანი ასე მიიზიდოს, გაიტაცოს — დე- ტალებში დავგეგმე მკვლელობა: ახლა ავდგები, არაფერსაც არ ჩავიცმევ, პირდა- პირ დანას დავავლებ ხელს, კარებს შე- ვუმტვრევ, ის ალბათ დროებით ჩაიგდებს ენას და გაოცებული შემომხედავს, მეც მიმოვიხედავ, მის არანაკლებ გაოცებულ მევალებს ყურადღებას არ მივაქცევ, ერთ მოზრდილ სკამს ავიღებ, საზურგით დავი- ქვრ, ისე მივუახლოვდები, განზრახვას ვერ მიმიხედვს, მერე სწრაფად მოვუქნევ და ცხვირ-პირში შევალენავ, რის შემდეგაც სისხლდადენილი იატაკზე დავარდება და შიშითა და გაოცებით ამომხედავს, უნ- ებლივ მოწმეების უმრავლესობა გაიქცე- ვა, ნაწილი კი სეირის საყურებლად დარ- ჩება. მე სკამის ნარჩენებს კიდევ ერთხელ მოვუქნევ ხელეფარებულ თავს და კვილის რომ მორჩება, რიტორიკულ შე- კითხვას დავუსვამ: „რა განიკვინებდა, შენი დედა?..“ რაღაცის თქმას რომ დააპირებს, ჩავიცუცქევი და იმ სამზარეულოს დანას ყელში ჩავჭრი, მერე აფართხალეულს მშ- ვიდად გავშორდები, დაფურუნდები ჩემს ოთახს, ხელებიდან სისხლს მოვიშორებ, სანოლზე გულაღმა დავწვები და კმაყო- ფილების ღიმლით დაველოდები სასჯელს.

რა თქმა უნდა, სულ სხვა გეგმებს მივდე- ვ — კერძოდ, ყოველდღიურს. მექანიკურ რეჟიმზე გადავივიარ, ღმერთო, როგორ მიყვარს ცხოვრება (კიდევ გამაჩინე ხოლმე)! ზოგჯერ მართლა მაშინებს ჩემი დეპრესიული მიდრეკილებები. გარემო ისე მონდომებით მიწყობს ხელს და ისე მონ- დომებით ცდილობს ჩემს გასხივოსნებას, რომ ტირილი მინდება. მაგრამ, თუ ბუდა გასხივოსნებისას ნირვანაში შევიდა, მე გეზი სამსარასაკენ მტკიცედ მიჭირავს. ამ

ბეჯა ბერულავა

სიუჟეტი

ტრილოგია



გეზის უტყუარობაში ყოველდღე ვრწმუნ- დები, აი, ახლაც, როცა გარეთ გავდივარ. ლევანის მიხედვით, შიდასი მხოლოდ სე- კსით ან სისხლით გადადის, ჩვენთან, მგო- ნი, ჰაერიც სახიფათოა — ღამ-ღამობით იმდენი მეძავი ქოშინებს ქუჩის ბნელ კუნ- ტულებსა და იაფფასიან ოთახებში, იმდენ დაავადებას ამოაყოლებენ ხოლმე თავიანთ ცრუ ორგანოებს, რომ სულაც არ იქნება გასაკვირი თუ ამ ჰაერს გადაამკიდემ, რაღაც ავიკიდე (რამდენიმე კილომეტრის რადიუსში ერთი მოლამაზო ხე ან ყვავილიც კი არ ჭაჭანებს).

სიბინძურე ბინძურთა და ყოველივე სიბინძურეა, ასე იტყობა სოლომონი ჩემ მეზობლად რომ გაზრდილიყო. ნაგვის ურნებზე დიდი ხანია, ყველამ ხელები ჩაე- იქნით, აღარც ჰიგიენასა და მსგავს მა- ლალ მატერიებს ვეპოტინებით. ყველამ დიდი ხანია გავაცნობიერეთ, რომ ჭუჭყში ვცურავთ, ამიტომ, უბრალოდ, ცურვა ვის- ნავლეთ. დაუფიქრებლად მივირთმევთ სახედაუმუშეკებული გამყიდველის ჭუჭყ- ისფერი ხელებით შეხვეულ მაურმებს, ცომ- ში ამოთხვრილი, მსუქანი დედაკაცების მიერ დამზადებულ ფენოვანებს და ლობი- ანებს, ვინ იცის, სად ჩამოსხმულ იაფფა- სიან ლიმონათებს. გემრიელადაც ვილუქ- მებით, რადგან შიმშილი ყველგან სატან- ჯველია. ნეტარებისაგან მიბნედილი თვალებით გვერდს ვუვლით ყურადღების მისაქცევად შუა გზაზე განოლილ მათხ- თვრებს, თვალს ვარიდებთ კუთხეში საკუ- თარ ნარწყევზე გადახობილ მთველმარე ლოთებს და მადას მაინც არ ვიფუჭებთ.

— აქეთ წამოდი-მეთქი, ბიჭოოო! — საყელოში ჩაჰფრენია საშუალო სიმაღ- ლის შეშინებულთვალება მსხვერპლს დაბა- ლი, შავტყავისქურთუკიანი განრისხებუ- ლი ბიჭი, რომელიც, სავარაუდოდ, „კაი“- ა. ხალხი დუნე ინტერესით ადევნებს თვალს ახალგაზრდული შემართებით ან- თებულ თანამემამულეს, „ჰკა მაგასა“-ს არავინ ყვირის, მაგრამ ბიჭი, რომელიც კაია, დამატებით მოტივაციას არც საჭიროებს.

ვოქსპოპი ჯოჯოხეთიდან:
— რამდენად უბედური ბრძანდებით და რაში გამოიხატება თქვენი გათახსირე- ბულ-აზრდაკარგული ცხოვრების მიზანი?

გამვლელი ერთი: „ძალიან უბედური ვარ, სხვათა შორის. იმდენად, რომ ზოგჯერ მიკვირს, მარა არც სხვები არიან უკეთეს დღეში. მე ვისზეც ხელი მიმინვდება, ჩემ- დათავად, ცდას არ ვაკლებ, გავაუბედურო, ვისზეც არ მიმინვდება, იმას სხვა ჩემნაი- რი უვლის და ასე შემდეგ. ადამიანები დაკავშირებული ვართ ერთმანეთთან, გინ- და ბედისწერა დაარქვი ამას, გინდა ჩემი ფეხები, ასეა: ყველანი ერთმანეთს ვათახ- სირებთ. რაც შეეხება ჩემს უაზრო ცხოვრე- ბას, ბედს არ ვუჩივი, ხშირად ვაგინებ, იშ- ვიათად მაგინებენ, ხშირად ვურტყამ, იშ- ვიათად მირტყამენ, ხშირად ვპარავ, იშვი- ათად მპარავენ, ერთი სიტყვით, თავი გამ- აქვს, რა.“

გამვლელი ორი: „შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ უბედურება ჩემი სტიქია. ყვე- ლაფერი საათივით მაქვს აწყობილი — ამ დალოცვილ ადგილას ბითურები არ მაკ- ლდება და მეც მეტი რა მინდა, ვასულე- ლებ და ჩემი მიმაქვს. მიზანზე არ მიფიქრია და, მგონი, არცაა საჭირო, მთავარია, სხვა რაღაცები გქონდეს, თორემ მიზანი რისი მაქნისია, შეჭამ, კარაქს გადაუსმევ თუ მოსტყნამ?“

გამვლელი სამი: „ვერ ვიტყობი, რომ უბედურების დონეს ვუჩივი, მაგრამ მეტ- იც შემიძლია, პოტენციალს ვგრძნობ და გამოყენების საშუალება ხომ მაქვს და მაქვს, უბრალოდ, ზარმაცი ვარ. ვცდი- ლობ, სიზარმაცე დაეძლია და ბეჯითად შევუდგე ჩემში უბედურების სრულყოფას, ვნახოთ რა გამოვა. ჩემი აზრდაკარგული ცხოვრება ყველანაირად მაკმაყოფილებს, არც ფული მიჭირს, არც რამე მჭირს ისე- თი, რომ დროზე ადრე ჩაჰაღებოდა მემუ- ქრებოდეს. მგონი, დიდხანს გავძლებ და

ჩემს გასაფუჭებელს, ასამყრალბელს, გასანადგურებელს და გასათახსირებელს, მე გავაფუჭებ, ავამყრალბ, გავანადგურებ და გავათახსირებ.“

გამვლელი ოთხი: „იმდენად უბედური ვარ, რომ ყველაფერი მაღიზიანებს და ყვე- ლა მძულს. პასუხს, რომ გაცემ, არ გაგიკვირდეს ცხვირ-პირი თუ გაგიერ- თიანე. ერთადერთი, რაც სიამოვნებას მანიჭებს, შენაირების შეშინება და ცემაა — ხმას ბოლომდე რომ ავუნევ, თვალებს გადმოვკარკლავ და ვითომ დასარ- ტყმელად გავიქაჩები, თქვენი შეშინებული თვალების დანახვა ერთი სიამოვნებაა. მა- გრამ ეს ისეთი სიამოვნებაა, ზიზი რომ მოყვება და ცხვირ-პირშიც ამიტომ გადებთ, რაც არ უნდა თქვათ. მერე რა თუ მეც მომხვდება, ტკივილი ბოლოს როდის ვიგრძენი არც მახსოვს. ჩემი გათახსირე- ბული ცხოვრების მიზანიც ესაა — რაც შეიძლება მეტ შენაირზე ამოვანთიო ჩემი სიძულვილი, თუ დავიცალე, ხომ კაი, თუ არადა, შენაირებს რა დალევს?“

ვოისერი ჯოჯოხეთიდან:
მე ვიმყოფები ზუზუნა ბაზრის შუაგულში, სადაც გამწარებ-გამალბებით მიმდინარეობს ალბ-მიცემობა.

ხანში უიმედოდ შესული ქალები ჩანთა- ჩაბლუჯულები აწყდებიან სავაჭრო წერტილიდან სავაჭრო წერტილს, რათა საფულიდან რაც შეიძლება ცოტა სახსა- რი დაეხარჯოთ. თვალემორსკურულნი ათვლიერებენ შემოთავაზებულ საქო- ნელს, ასჯერ ზომიერად და ერთხელ იხდიან; გამყიდველთა უმრავლესობა გადამეტებუ- ლი ენთუზიაზმით (ისეთით, სასონარ- კვეთაში რომ გადადის) ცდილობს დღიური ნორმის შესრულებას.

და, აი, კვლავ შევესწარი ტრადიციულ სცენას, როგორ შავ-ბნელად ცდილობს უპერსპექტივო ახალგაზრდა, რომ გამე- ლელ-გამომვლელს ჯიბე-ჩანთაში შეუმ- ჩნეველად ჩაუძვრინოს ცოდვილი ხელი. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ბედი მოკრძალებულად უღიმის და გარემოსათვის შეუფერებლად უყურადლე- ბო ქალბატონის ხარჯზე იაფფასიანი, მა- გრამ მაინც ნოყიერი ვახშამი გარანტირე- ბული აქვს!

ჩემი მხედველობის არეში, თავის შე- ბრუნების გარეშე, სამი იდუმალებით მოც- ული ობიექტი მოექცა: 1) თვალებშიბ- ნედილი, შეზარხოშებულ-აბარბაცებული კაცი; 2) სახედანაოჭებული და ტანისსა- მოსჩამოძენილი, საეჭვო რეპუტაციის მქონე ქალი; 3) არაკეთილსინდისიერი გა- მომეტყველების მქონე ჭაბუკი, რომელიც დაჟინებით მიყურებს თვალებში (რომლებ- შიც არაკეთილსინდისიერი ზრახვები იკითხება).

— ვის ელაპარაკები, ძმა?!
მომართა არაკეთილსინდისიერი გა- მომეტყველების მქონე ჭაბუკმა.

— რა თქვი? რა ჭაბუკმა, ბიჭო?!
ვგონებ, სიტუაციას დენთის სუნი აუ- ვიდა.

— მიპასუხე, რომ გეკითხები, ბიჭოოო!
დაიგრგვინა არაკეთილსინდისიერი გამომეტყველების მქონე...

— მოდი, ბიჭო, აქ!
გამომეკიდა არაკეთილსინდისიერი ზრახვების მქონე ჭაბუკი, რომელიც, სა- ბედნიეროდ, კარგი მორბენალი ვერაა...

— სად გამექცევი, შე ახვარო?..

დამადევნა რიტორიკული შეკითხვა აქომინებულმა არაკეთილსინდისიერი გა- მომეტყველების მქონე ჭაბუკმა...



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com